საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 26 თებერვალი, 2008 წელი.

№ 36 (5894)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჭიჩებით ბეჩთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

მთავრობა მორიგი ფიასკოდ გადაიქცევა

გაგვაგებინეთ, ბატონებო, რას გვთავაზობთ, 7

პროგრამას თუ საღღეგრძელოს?

რამაზ საყვარელიძე:

ოპოზიციას ამ ეტაპზე ვაჭკაცობა ეყო 3



ირწმენების გამოხმობა 14

და ვით ქრისტემ
გალილეა აირჩია,
მე ტფილისი ავირჩიე ბებერი

თბილისო, ჩემო სიცოცხლევ! 8

„პოტომკინის სოფელი“ ქართულ პოლიტიკაში 2

სერგეი ბაღაფში: აფხაზეთი ბრძოლის გაგრძელებისთვის მზად არის 6

ვლადიმერ პაპავა: ნიშნავს თუ არა საქართველოს პროდასავლური და ანტირუსული პოლიტიკა დემოკრატიას? 4

სახელმწიფო

2 ნოემბრის შემდეგ ხშირად ისმოდა მოსაზრებები იმის შესახებ, რომ ხალხს უფრო რადიკალური მოთხოვნები ჰქონდა, ვიდრე ოპოზიციას (პრინციპში ისმოდა კი არა, მე თვითონ არაერთგზის გამიგია მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის „მკვეთრი“ მოსაზრებები. ისეთი ადამიანებისგანაც კი, რომლებიც მიტინგებს მაინცდამაინც არ სწყალობენ

◎ თვალსაზრისი

„პოტიომკინის სოფელი“ ქართულ პოლიტიკაში

ეკატერინე II-ის ფავორიტმა გრიგორი პოტიომკინმა, მას შემდეგ, რაც სახაზინო ფული „შეიტყაპუნა“, იმპერატრიცის თვალის ასახვევად თხელი ფიცრისგან სოფელი ააშენა, რომელიც პირველივე ნიავის შემოგერვის დროს დაიშალა.

სამაგიეროდ მომავალ თაობებს დარჩათ ძალიან კარგი გამოთქმა „პოტიომკინის სოფელი“. ეს გამოთქმა ისეთი საქმეების დასახასიათებლად გამოიყენება, რომლებიც ისე იშლებიან, როგორც ნიფნიფისა დანუფნუფის სახლები ბორტი მგლის ღრმა ამოსუნთქვისას (ზღაპარი „სამი გოჭი“ძ.

ჩვენი ხელისუფლების მთელი „მოღვაწეობა“, რომ „პოტიომკინის სოფლის“ მშენებლობით შემოიფარგლება, ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ თუ გაერთიანებულ ოპოზიციაშიც იქნებოდნენ „მოპოტიომკინე ელემენტები“, ამას ნამდვილად არ ველოდი (არა, როგორ არ ველოდი. არც ისე გულუბრყვილო ვარ, მაგრამ ასე მალე თუ გამოჩნდებოდნენ „ფართო ასპარეზზე“, ამას არ ვფიქრობდიძ.

22 თებერვალს მთელი საქართველო ელოდა, რომ ოპოზიციის ქადილი „საქართველოს კარვების ქალაქად გადაქცევის“ შესახებ ხორცს შეისხამდა და დღეს არსებულ „პოტიომკინის ქვეყანას“ ძირფესვიანად შეარყევდა, მაგრამ „პოტიომკინის ქვეყანაში“ „ნიფნიფისა და ნუფნუფის კარვები“ დგას. ეს კარვები კი ხელისუფლების სულის შებერვისას ძალიან ადვილად იშლება.

2 ნოემბრის შემდეგ ხშირად ისმოდა მოსაზრებები იმის შესახებ, რომ ხალხს უფრო რადიკალური მოთხოვნები ჰქონდა, ვიდრე ოპოზიციას (პრინციპში ისმოდა კი არა, მე თვითონ არაერთგზის გამიგია მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის „მკვეთრი“ მოსაზრებები. ისეთი ადამიანებისგანაც კი, რომლებიც მიტინგებს მაინცდამაინც არ სწყალობენძ.

ბოლოს და ბოლოს რა მოხდა? რატომ არ გაგრძელდა აქციები? რატომ შეჩერდა დღევანდელი ხელისუფლების დასასრულის მოახლოება?

ამ კითხვებზე საკმაოდ არაერთგვაროვანი პასუხები არსებობს და ამ პასუხების დიდი რაოდენობა ნამდვილად არ არის ოპოზიციის სასარგებლოდ ნათქვამი.

ჩემი აზრით კი მოხდა ე.წ. „ქუჩის აქციებით“ ბრძოლის აღრევა „კულუარულ“ ბრძოლასთან.

როგორც ვიცით, გაერთიანებული ოპოზიციის სხვადასხვა სუბიექტს ხელისუფლებასთან „ურთიერთობის“ სხვადასხვა „სტილი“ აქვს. მაგალითად: თუ ერთნი კარგად ფლობენ მიტინგებისა და მსვლელობების მოწყობის ფორმებს, სხვებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის და მათი მეშვეობით ხელისუფლებაზე ზეწოლის მდიდარი გამოცდილება გააჩნიათ.

ბრძოლის მეთოდების სხვადასხვაობამ გამოიწვია გაერთიანებულ ოპოზიციაში ე.წ. „რადიკალებისა“ და „ზომიერების“ ჯგუფების შექმნა.

ხელისუფლებამ კარგად გამოიყენა ეს განსხვავება და ე.წ. „დიალოგით“ შექმნა ისეთი ფონი, რომელიც არც „მკვეთრი მოძრაობების“ ჩატარების საშუალებას იძლევა და არც რეალური შედეგი ჩანს.

ხალხის დამოკიდებულება ოპოზიციის მემორანდუმში წარმოდგენილი სხვადასხვა საკითხის გარშემო სხვადასხვაგვარი იყო. მართალი გითხრათ და აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს რიგითი მოქალაქეები მაინცდამაინც არ განიცდიან იმას (ზრდილობის გამო არ ვიყენებ გამოთქმას „ფეხებზე ჰკიდიათ“ძ, თუ ვინ იქნება ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ან შეიცვლება თუ არა საზოგადოებრივი მაუწყებლის ლოგო.

მათ ყველაზე მეტად მემორანდუმის პირველი შვიდი პუნქტის დაკმაყოფილება სურთ.

ამ პუნქტებში კი პირდაპირ ორმაგი სტანდარტების საფუძველზე მოხდა. სწორედ ამიტომ არ განთავისუფლდნენ პოლიტიკური მოსაზრებების გამო ნოემბრის აქციებამდე გაცილებით ადრე დაკავებული პირები.

გაერთიანებულ ოპოზიციაში „ზომიერების“ მიერ „რადიკალების“ გადაწონის პირველი ნიშნები სწორედ მაშინ გამოჩნდა, როდესაც ის მოთხოვნები გახდა პრიორიტეტული, რომლებიც, რგილად რომ ვთქვა, მოსახლეობას მეორეხარისხოვნად მიაჩნია, მაგრამ ხალხი მაინც მზად იყო შიმშილობისთვის, მზად იყო, ქარსა და ყინვაში მდგარიყო მანამ, სანამ საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესების რეალური შედეგებს არ დაინახავდა.

ხელისუფლებამ დროულად შენიშნა ოპოზიციაში არსებული ეს ბზარი და „დიალოგის“ კომენტირებისას სწორედ ამ მეორეხარისხოვან საკითხებზე აკეთებდა აპელირებას.

ძალიან ძნელია, აუხსნა საშიმშილოდ თავგადადებულ კაცს, წავიდეს სახლში იმ მიზეზით, რომ ნინო ბურჯანაძემ ღამის ოთხ საათზე საზოგადოებრივი არის დაყენებული როგორც ვიდეოთვალის ჩანაწერების გამოყენების, ხმების ხელახალი გადათვლის, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროში რადიკალური ცვლილებების განხორციელების შესახებ.

სამწუხაროდ, ეს მოთხოვნები ნელ-ნელა დაიკარგა და გადაიფარა, რგილად რომ ვთქვა, მეორეხარისხოვანი მოთხოვნებით.

ერთადერთი პრინციპული მოთხოვნა, რომელიც მართლაც ყველას ძალიან აწუხებდა, იყო პოლიტპატიმრების განთავისუფლება.

ხელისუფლებამ ბევრი წვალების შემდეგ ამ მხრივ რაღაც ნაბიჯები გადადგა, მაგრამ, სამწუხაროდ, განთავისუფლებელი პატიმრების შერჩევა მაინც ე.წ. „პოტიომკინის სოფელი“ ქართულ პოლიტიკაში

კი გატონო, გასაგებია, რომ დადო ეს პიროგა და შეასრულებს კიდეც, რადგანაც არც კინწურაშვილი და არც თარხნიშვილი არ არიან ისეთი ფიგურები, რომელთა „დაკარგვა“ დიდად დააზარალებს ამ ხელისუფლებას, მაგრამ რა ვქნათ შსს-სთან და პროკურატურასთან მიმართებაში? ნუთუ ის 200000 კაცი ამ ყინვაში მხოლოდ იმ დაგრეხილი ლოგოს შესაცვლელად დადიოდა?

სამწუხაროდ, ოპოზიციას არ მიეცა თავისი გადაწყვეტილების ახსნის საშუალება და ამის გამო მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს გული აუცრუვდა ოპოზიციაზე.

ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა სწორად განმარტა პოლიტიკური ბრძოლის სტრატეგიაც და ტაქტიკაც. მან თქვა, რომ პოლიტიკაში ცვლილებები საკმაოდ სწრაფად ხდება და პოლიტიკოსი უნდა მიჰყვეს ამ ცვლილებებს, ხოლო შიმშილობა ის იარაღია, რომელიც დროულად უნდა გამოიყენო.

აბსოლუტურად მართალია, რადგანაც ყველამ კარგად ვიცით, რომ ნებისმიერი იარაღი მანამდეა საშიში, სანამ გამოიყენებ. თუ გასროლა მოხდა, მაშინ უკვე სხვანაირი ბრძოლა იწყება და სულ სხვა წესები შედის ძალაში.

სწორედ ეს იყო ასახსნელი ხალხისთვის.

„რუსთავი 2“-მა კი „ძალიან ძლიერი“ სიუჟეტი მოამზადა გადაცემა „პოსტ სკრიპტუმისთვის“.

ჟურნალისტის მთელი „ნამუშევარი“ იქეთ იყო მიმართული, რომ მაყურებელს რაც შეიძლება ცუდი შეხედულება დარჩენოდა ოპოზიციის მიერ შიმშილობის აქციის გადადებაზე.

„შესანიშნავად“ იყო „დაჭერილი“ გაბრაზებული მათხოვრის კადრი, „ბრწყინვალედ“ იყო „დაბალანსებული“ ოპოზიციაზე გულგატეხილი მოქალაქის კომენტარი, ოპოზიციის ერთგულად დარჩენილი მოქალაქის კომენტართან, რომელმაც რატომღაც „ხელისუფლების მიერ მოცემულ შანსზე“ ისაუბრა. ასევე იყო ნათქვამი ოპოზიციაში არსებულ აზრთა სხვადასხვაობაზე და თურმე ამ „აზრთა სხვადასხვაობას ისე დაუბნევია ოპოზიცია, რომ მათ ხუთი საათის განმავლობაში გრიფინგის ჩატარებაც ვერ მოუხერხებიათ“.

მოკლედ რომ ვთქვა, ავტორი კარგ პრემიას „გამოკრავდა ხელს“.

ყოველივე ამის შემდეგ ოპოზიციას ძალიან დიდი გამოცდა ელის წინ.

პირველ რიგში ყველანაირად უნდა ეცადოს შერყეული იმიჯის აღდგენას.

უფრო სწორად რომ ვთქვა, კი არ უნდა ეცადოს, არამედ აუცილებლად უნდა აღიდგინოს.

„ზომიერი“ ძმედებებით კი ამის მილწევა ძალიან ძნელი იქნება, რადგან მე პირადად არსად არ მინახავს „ბწკენა-ბწკენაში“ დაფეხძიმებული პატარძალი.

თქვენ?

გია გაბრიჭიძე

◎ ინფორმაცია

დიალოგმა ყველას სიკეთე უნდა მოუტანოს

ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის დიალოგის განახლების შესახებ კომენტარი გააკეთა ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ გიგი წერეთელმა.

დიალოგის გაგრძელება ძალიან მნიშვნელოვანია და კარგია, როლესაც ამასთან დაკავშირებით შეთანხმება არსებობს. უმრავლესობა ყოველთვის აღნიშნავდა დიალოგის აუცილებლობას, – განაცხადა გიგი წერეთელმა 25 თებერვალს ჟურნალისტებთან საუბრისას. მისივე თქმით, ამ რეჟიმში მუშაობის გაგრძელება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ყველა გადაწყვეტილება შეთანხმების საფუძველზე უნდა იყოს მიღებული.

ძალიან ბევრი საკითხი უკვე მომზადებულია და, უბრალოდ, ამას შეხვედრა და ლაპარაკი სჭირდება. საბოლოოდ, ასევე, საჭიროა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, ზოგ საკითხს კი პარლამენტის სხდომაზე მოსვლა და კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება სჭირდება, მათ შორის საკონსტიტუციო ცვლილებებს, – აღნიშნა წერეთელმა.

მისი თქმით, ამ საკითხების უმეტესობა სწორედ ოპოზიციის მიერ არის ინიცირებული.

რაც შეეხება „საზოგადოებრივ მაუწყებელს“, როგორც გიგი წერეთელმა აღნიშნა, მისი ინფორმაციით. ჯერჯეროობით პარლამენტში სამეურვეო საბჭოს წევრობის მსურველთა 27 კანდიდატურა ჯერ არ შესულა.

რესპუბლიკელებს ხელისუფლება ჩაბრავს

„რესპუბლიკური პარტიის“ აქტივისტი თენგიზ ართილაყვა ხელისუფლებას პოლიტიკურ დევნაში ადანაშაულებს. ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრიდან“ იტყობინებიან.

მათი ცნობით, ოპოზიციური პარტიის აქტივისტის შვილი, 19 წლის გიორგი ართილაყვა 2007 წლის 13 მარტიდან პატიმროობაშია. პატიმრის მამა თენგიზ ართილაყვა მიიჩნევს, რომ შვილი მის პოლიტიკურ აქტიურობას შეეწირა.

– პატიმრის მამა „რესპუბლიკური პარტიის“ აქტივისტია. აქციების დროს ის რამდენჯერმე დაშავდა. ერთხელ გათუმის №1 საავადმყოფოშიც მოხვდა. როგორც თავად აცხადებს, მანამდე მას სახელისუფლებო წრეებიდან ოპოზიციის დატოვება შესთავაზეს, იყო მუქარაც, – განაცხადეს „ადამიანის უფლებათა ცენტრში“.

მათივე ცნობით, გიორგი ართილაყვა გათუმის საზღვაო აკადემიაში მექანიკური ფაკულტეტის სტუდენტი იყო. მას ქურდობის მცდელობაში ედება ბრალი. საბრალდებო დასკვნის თანახმად, 2007 წლის 13 მარტს, დაახლოებით ღამის პირველი საათისთვის, იგი გამოძიებისთვის დაუდგენელ პირთან ერთად ძალადობით შეიარალებული მივიდა გათუმში, ჭავჭავაძის ქუჩის №115-ში განლაგებულ სათამაშო პოკერ კლუბში. პოკერ კლუბის ფანჯარა, რომლიდან შელწევაც ართილაყვას ბრალდება, ზომით 32.5X32.5 სმ-ია.

პატიმარი ბრალდებას უარყოფს. ის ამბობს, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე საპირფარეშოში შევიდა, სადაც რამდენიმე წუთში ორმა პოლიციელმა დააკავა.

საქმეში მოწმეებად მხედველობადაკარგული ყოფილი სამართალდამცავი თამაზ თურმანიძე და საპატრულო პოლიციის პატრულ-ინსპექტორები დაკითხულ. ქურდობის შესახებ გამოძახება საპატრულო პოლიციის საგამოძიებო სამსახურში უცნობმა მამაკაცმა გააკეთა. ადგილზე მისულ პატრულის თანამშრომლებს კი, მათივე ჩვენების თანახმად, ართილაყვა დაზიანებული ფანჯრიდან დახლოებით ათ მეტრში დაიკავეს.

ართილაყვას ქურდობის მცდელობის ბრალდებით, გასული წლის 12 დეკემბერს გათუმის საქალაქო სასამართლომ ხუთწლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

ინტერპრესნიუსი

ადუღებული დრო

ხელისუფლებას რომ განეცხადებინა, არაფრის გაკეთებას არ ვაპირებო, პროტესტის უკიდურესი ფორმა გამართლებული იქნებოდა, რადგან მან თქვა, რომ ოპოზიციის მოთხოვნების დაკმაყოფილებას აპირებს, მაშინ უკვე საჭიროა კონკრეტული თარიღის მოთხოვნა, ანუ შიმშილობის გარდა მანევრებისა და ბრძოლის სხვა საშუალებაც არის

◎ ექსპერტის აზრი

რამაზ საყვარელიძე: ოპოზიციას ამ ეტაპზე ვაჟკაცობა ეყო

ექსპერტი რამაზ საყვარელიძე ფიქრობს, რომ ამ ეტაპზე შიმშილობის გადადება მართებული ნაბიჯია. შიმშილობა უკიდურესი ზომაა, რომლის დაწყება მიზანშეწონილი არ არის, ჯერ უამრავი სხვა საქმეა გასაკეთებელი, ნორმატიული აქტებიდან დაწყებული, კონკრეტული კადრების მოძებნით და მათი დანიშვნით.

„მაგალითად, სოსო ცისკარიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ ჯერ საქმეა გასაკეთებელი და არა საპროტესტო აქციების ეს რადიკალური ვარიანტიო. შიმშილობის პიროგებში, რომელიც დიდ ძალისხმევას მოითხოვს, ამ ყველაფერზე ოპოზიციას უარის თქმა მოუწევდა. თან შიმშილობა მხოლოდ რამდენიმე ადამიანის შიმშილობას კი არ გულისხმობს, არამედ მას ახლავს ხანგრძლივი, უწყვეტი მიტინგები და ეს პროცესი ფაქტობრივად, ოპოზიციის ყურადღებას წაილებდა“.

საყვარელიძის აზრით, ჯერ არ არის რადიკალიზაციისთვის პიროგები, ანუ ჯერ ხელისუფლებას რადიკალურად არ გადაუდგამს ის ნაბიჯები, რაც მისგან ურთიერთობის, დანაპირების ჩაშლას გულისხმობს. „ხელისუფლებას რომ განეცხადებინა, არაფრის გაკეთებას არ ვაპირებო, პროტესტის უკიდურესი ფორმა გამართლებული იქნებოდა, რადგან მან თქვა, რომ ოპოზიციის მოთხოვნების დაკმაყოფილებას აპირებს, მაშინ უკვე საჭიროა კონკრეტული თარიღის მოთხოვნა, ანუ შიმშილობის გარდა მანევრებისა და ბრძოლის სხვა საშუალებაც არის.

უმართებულია, როცა სიტუაციას ჯერ პიკისთვის არ მიულწევია, და ამ დროს რადიკალურ რეაქციას გამოხატავ. გეკითხებით, თუკი სიტუაციამ პიკს მიაღწია და ხელისუფლებამ მართლა უარი თქვანებისმიერ ურთიერთობაზე, მაშინ რაღა უნდა მოიმოქმედო? ამ შემთხვევაში არსებითია რეაქციის ადეკვატურობა, ანუ არის თუ არა სიტუაციის შესაფერისი რანგის რეაქცია. ვინაიდან ჯერ ვითარება, ასე ვთქვათ, ბოლომდე არ „ჩანდა“ შიმშილობის მსგავსი მკვეთრი და ძლიერი რეაქცია მიზანშეწონილი არ იყო, რადგან მერე ვერაფერს გააკეთებდი. მე მგონი, შიმშილობის გადაწყვეტილება მაინც ემოციამ განაპირობა და მოსახლეობისგან ნაკარნახევი ნაბიჯი იყო. მოსახლეობამ რამდენჯერმე ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ოპოზიცია რადიკალური არ არის. ხმები დაირხა, არიქა, ოპოზიცია რალაც გარიგებაზე მიდისო, ანუ მოსახლეობა ოპოზიციის მიმართაც აგრესიული გახდა რადიკალიზმის მოთხოვნით, და ოპოზიციამაც რადიკალური რეაქცია გამოიწვია. აი, ასე შეიძლება ხალხმა თავის პოლიტიკურ ლიდერებს შეცდომა დააშვებინოს. ხალხს დაუფიქრებლობა ეპატიება, მაგრამ პოლიტიკოსებს სჭირდებათ ფიქრი და ხანდახან გმირობაც, რომ ხალხის ნების წინააღმდეგ ნაბიჯი გადადგან. ეს ვაჟკაცობა ამ ეტაპზე ოპოზიციას ნამდვილად ეყო. საკმაოდ დიდი ვაჟკაცობა უნდოდა პოლიტმომენტში განცხადებას, ახლა შიმშილობა გამართლებული არ არის, ჩვენ ამ აქციას არ ვიწყებთ, რადგან რაღაც კონკრეტული, სხვა ნაბიჯებია გადასადგმელიო“.

ექსპერტი უარყოფს ოპოზიციაში რაიმე განხეთქილებას, მოსწონს, რომ იქ აზრის სხვადასხვაობაა. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ სხვადასხვა აზრი არ იყოს. „მაგრამ აზრია სხვადასხვა თუ არის აზრი და არის ემოციები? მე მეშინია, ემოციებს არ აყვნენ. მოსახლეობა შეიძლება ემოციებს აჰყვეს, ემოციებს აყოლილი პოლიტიკოსები კი შეიძლება მძიმე შეცდომებს ემსხვერპლონ“.

რამაზ საყვარელიძე ამ ეტაპზე გაუმართლებლად მიიჩნევს ოპოზიციის ძალების დაქსაქსვას, რადგან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვებს ის, ვინც ხმების უმეტეს ნაწილს მიიღებს. შესაბამისად, რაც უფრო დაიქსაქსება ხმები, მით უფრო წამგებიანი იქნება თითოეული მათგანისთვის და ჩვენ შეიძლება ერთპარტიული პარლამენტი მივილოთ, სადაც ადგილების უმრავლესობას ნაციონალები დაიკავებენ და ისევ დაუბალანსებელი პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნებაო.

იხ. 5 გვ.

◎ ოპოზიცია

მამუკა კაციტაძე: გაერთიანებული ოპოზიციის გადაწყვეტილებას ყველა უნდა დაემორჩილოს

ერთიან ეროვნულ საბჭოს და ოპოზიციის სხვა ლიდერებს შეთანხმება არ დაურღვევიათ და შეკრება 22 თებერვალს პარლამენტის წინ ზუსტად 2 საათზე დაიწყეს. თუმცა, ლევან გაჩეჩილაძემ აქციის მონაწილეებს შიმშილობის ჩაშლის შესახებ გადაწყვეტილება დასაწყისშივე ამცნო. მისი განმარტებით, ბურჯანაძისგან მან ყველა მოთხოვნაზე დამატებითი, მტკიცე გარანტია მიიღო და გადაწყვეტილების შეცვლაც სწორედ ამან გამოიწვია.

შიმშილობის დაწყების უპირველესი მოთხოვნა: პოლიტპატიმრების – 7 ნოემბერს დაჭერილი მოქალაქეების გათავისუფლება და მათზე პოლიტიკური ტერორის შეწყვეტა, ტელერადიოდეპარტამენტის პოლიტიკური წნეხისგან გათავისუფლება და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაყენება იყო, თუმცა, დანარჩენი მოთხოვნებიც, ბუნებრივია, ძალაში რჩებოდა.

გადაწყვეტილებამ, რომელიც აქციაზე გამოცხადდა, თავად ერთიანი ეროვნული საბჭოს წევრებისგანაც კრიტიკა გამოიწვია. ლიდერების ნაწილი შიმშილობის მომხრე იყო, თუმცა, როგორც ჩანს, მათი აზრი არ გაითვალისწინეს.

ნათლად ჩანდა, რომ უკმაყოფილებას ვერც გოგა ხაინდრავა მალავდა. თუმცა, როგორც ჩანს, აღშფოთება ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან ჩემთან საუბარში მან უკმაყოფილება უკვე უარყო და განაცხადა, რომ ეს ოპოზიციის ერთიანი გადაწყვეტილება იყო და მოთხოვნების შესრულების რეალური საფუძველი გაჩნდა.

„რაში ხედავთ განხეთქილებას, არ მესმის. ნინო ბურჯანაძისგან ჩვენ მტკიცე დაპირება მივიღეთ. ამიტომ მიზანშეწონილად აღარ ჩავთვალეთ კარვების გაშლა. ყველა ის მოთხოვნა, რის გამოც კარვები იშლებოდა, უახლოეს დღეებში შესრულდება. სამშაბათიდან ჩვენსა და ხელისუფლებას შორის ღია და საჯარო შეხვედრებიც დაიწყება და საზოგადოებაც დაინახავს რეალურ შედეგებს. თუ არადა კარვებიც და ლეიბებიც მზად გვაქვს, 200 კაციც მზად გვყავს და პარლამენტის კიბეებსაც, დარწმუნებული ვარ, არსად გადაიტანენ...“ – განაცხადა გოგა ხაინდრავამ.

ეროვნულ საბჭოში ერთიანი პოზიცია რომ არ იყო, ამას აქციაზე კონსერვატორების და „ეროვნული ფორუმის“ არყოფნაც ადასტურებდა.

ერთიანი საბჭოს კონსულტაციებში „ახალი მემარჯვენეები“ აქტიურად იყვნენ ჩართული. ისინი, როგორც ჩანს, ერთიანი საბჭოს გადაწყვეტილებას უპრეტენზიოდ შეხვდნენ.

„მემარჯვენეების“ ერთ-ერთი წევრის მამუკა კაციტაძის განმარტებით ზოგიერთი პარტია დღესაც შიმშილობის მომხრეა, მაგრამ გაერთიანებულ ოპოზიციაში გადაწყვეტილებების მიღების ფორმა, მეთოდი და სტილი თავისებურადაა დაყენებული. მისი თქმით, ის ადამიანები, რომლებიც რადიკალიზაციის დაწყებას დაუყოვნებლივ ითხოვდნენ, როგორც ჩანს, უმცირესობაში აღმოჩნდნენ. გადაწყვეტილების ფორმას კი, ყველა უნდა დაემორჩილოს.

„აქამდე, ხელისუფლების იმ 21-პუნქტიან დოკუმენტში ყველაფერი ბუნდოვნად იყო ნათქვამი. ამაზე დიდი ძალისხმევა და მუშაობა დაგვჭირდა. ახლა უკვე მოთხოვნების შესრულების კონკრეტული დღეები დაფიქსირდა. ჩვენ კონკრეტიკას ვითხოვდით და მივიღეთ კიდეც, და ეს ყველაფერი კონსენსუსის წესით მოხდა“, – თქვა მამუკა კაციტაძემ.

თუმცა, აქვე აღნიშნა, რომ გაერთიანებულ ოპოზიციაში, პერიოდულად, განსხვავებული აზრის გაჩენაში ცუდს ვერაფერს ხედავს.

„ნათქვამია, რამდენი ადამიანიცაა, იმდენი აზრიაო. მით უმეტეს, ამდენი პარტიის ფონზე, კიდევ მეტი აზრი უნდა იყოს. კამათში მე ტრაგედიას ვერ ვხედავ. აზრის სხვადასხვაობასა და განხეთქილებას შორის ძალიან დიდი სხვაობაა. უბედურება ოპოზიციაში გაჩენილი აზრის სხვადასხვაობა კი არ არის, არამედ ის, რომ უმრავლესობაში მხოლოდ ერთი აზრი და ტვინია. და ისიც უვარგისი. ამ ტვინს სახელად სააკაშვილი ჰქვია. ჩემთვის ეს არის უბედურება. მთავარია აზრი იყოს, თორემ სხვადასხვაობას რა ჯობს? ტრაგედია ერთ აზროვნებაშია და ბოლოს და ბოლოს – უაზრობაში“, – აცხადებს მამუკა კაციტაძე.

რაც შეეხება კარვების გაშლას, მისივე განმარტებით, მათი იდეა ფიქსი ეს არასდროს ყოფილა და ამ ხერხს მხოლოდ ხელისუფლების მხრიდან შეუვალი პოზიციის შემთხვევაში მიმართავდნენ.

„კარვები პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდია და მოთხოვნების დაუკმაყოფილობის შემთხვევაში ოპოზიცია ამით რადიკალიზაციას ახდენს. ბურჯანაძემ ჩვენ მიერ წაყენებულ მოთხოვნებზე მტკიცე და სარწმუნო განცხადებები გააკეთა, ასევე მყარი გარანტია მივიღეთ, რომ დიალოგი მემორანდუმის სხვა საკითხებზეც გაგრძელდებოდა. აქედან გამომდინარე, პროცესების ესკალაცია და დაძაბულობის მუსტის შემოტანა, ამ ეტაპზე, საჭირო აღარ იყო. ჩვენი გადაწყვეტილებაც შესაბამისი და ერთიანია. თბილისი, ჯერჯერობით კარვების ქალაქი არ გახდა. არც ვისურვებდი, რომ ეს დღის წესრიგში კიდევ ერთხელ დადგეს. თუმცა, თუ ამის აუცილებლობა კვლავ გაჩნდა, სხვა გზა არ დაგვრჩება,“ – განმარტა მამუკა კაციტაძემ.

ერთიანი ეროვნული საბჭოს ლიდერები თავმჯდომარის კაბინეტში დიალოგის გასაგრძელებლად, სავარაუდოდ, სამშაბათიდან შეიკრიბებიან.

სოფიო გოგლიძე

◎ SIC!

ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის განცხადება

როგორც ბრიტანეთის სასამართლოს გამომძიებელმა ბატონმა ლენ ფერლონგმა 22 თებერვალს გვაცნობა, მიუხედავად იმისა, რომ გრძელდება ბადრის სიკვდილის მიზეზების ძიება, ოჯახს შეუძლია გადმოასვენოს ის სამშობლოში.

გადავწყვიტეთ ბადრი დავკრძალოთ თბილისში, 28 თებერვალს.

გარეშე პირებს ვაფრთხილებთ, თავი შეიკავონ რაიმე ქმედებებისაგან, რომლებიც ეწინააღმდეგება ბადრის სურვილის აღსრულებას. ყველა ამასთან დაკავშირებული ქმედება უშუალოდ არის მისი მეულლის კომპეტენციაში.

უპირველეს ყოვლისა, ოჯახი გააგრძელებს ბადრი პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდის საქმიანობას და დამოუკიდებლად გადაწყვეტს ტელერადიოკომპანია „იმედის“ ბედს. სწორედ ეს ორი პროექტი იყო უმნიშვნელოვანესი ბადრის ცხოვრებაში.

№ 36. სამშაბათი, 26 თებერვალი, 2008 წელი.

დღევანდელობა

მართალია, ზოგიერთ კერძო არხს ფორმალურად არ შეუზღუდეს საქმიანობა, თუმცა ისინი მთავრობის სრულ კონტროლქვეშ იმყოფებიან. შედეგად პრესის თავისუფლება მკაცრად შეიზღუდა, რაც დემოკრატიისგან აშკარა უკუსვლაა, მაგრამ საპაკაშვილის დასავლელმა მეგობრებმა ეს უკუსვლა თავის დროზე რატომღაც ვერ შეამჩნიეს

⊙ სხვა გამოცემიდან

90 წლისთავზე, მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა რუსეთში ძალაუფლების ხელში ჩაგდება მოახერხეს და კომუნისტური რეჟიმი დაამყარეს, 2007 წლის 7 ნოემბერს, მსოფლიო იმ მოვლენების მოწმე გახდა, რომლებმაც ყველა გამოაფხიზლა. ამჯერად ეს რუსეთის სამხრეთ მეზობელთან საქართველოსთან აღმოჩნდა დაკავშირებული.

მაშინ, 1917 წელს, როცა ბოლშევიკებმა სახელმწიფო გადატრიალება წარმატებით განახორციელეს, ყველაფერი ცხადი იყო, თბილისში, საქართველოს დედაქალაქში მომხდარი მოვლენების მნიშვნელობა კი ყველასთვის ჯერჯერობით ბოლომდე ნათელი არც არის. ოთხი წლის შემდეგ, მას მერე, რაც დასავლეთი მიესალმა ვარდების რევოლუციას, რომელმაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა კაპიტალიზმისა და დემოკრატიის გზაზე დააყენა, 2007 წლის ნოემბრის მოვლენებმა — მშვიდობიანი დემონსტრაციის ჩახშობამ, ოპოზიციურად განწყობილი ტელეარხის დახურვამ და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ — უცხოელი დამკვირვებლები გააოგნა. თუმცა საყურადღებოა, რომ ქვეყანაში მოღვაწე ანალიტიკოსებისთვის ეს მოვლენები მოულოდნელი სულაც არ აღმოჩენილა.

ჯერ კიდევ ბევრი რამაა პასუხგასაცემი. კერძოდ, რატომ აღმოჩნდა საერთაშორისო საზოგადოებისათვის და, მათ შორის, დასავლეთისთვის, 2007 წლის ნოემბრის მოვლენები მოულოდნელი? ან 2007 წლის ნოემბრამდე რატომ ახერხებდა საქართველოს პოსტრევოლუციური ხელმძღვანელობა დასავლეთისთვის მიმზიდველობის შენარჩუნებას, მაშინ როცა ქვეყანაში მოღვაწე ანალიტიკოსები სულაც არ იყვნენ ილუზიებით შეპყრობილნი?

წინამდებარე სტატიაში, ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოში განვითარებული მოვლენების გაანალიზების საფუძველზე, შევეცდები პასუხები გავცე მოცემულ კითხვებს. ამ მიზნით ვუჩვენებ, თუ რატომ იყო 2007 წლის ნოემბრის მოვლენები გარდუვალი და რატომ უღალატა საქართველოს მთავრობამ ვარდების რევოლუციის დემოკრატიულ იდეალებს.

პოსტრევოლუციური გამოწვევები და პრეზიდენტის მიერ ძალაუფლების კონცენტრაცია

საქართველოს ახალ, ძირითადად ახალგაზრდა და ხშირ შემთხვევაში გამოუცდელ მთავრობას შევარდნაძის ადმინისტრაციისგან მემკვიდრეობით არაერთი გადაუწყვეტელი პრობლემა ერგო. გაუთავებელი ენერგეტიკული კრიზისის პირობებში მოსახლეობა შიშით ელოდა ყოველ შემდგომ ზამთარს, რადგან წინასწარ იცოდა, რომ არც ელექტროენერგია ექნებოდა და არც გათბობა. გადასახადების აკრეფის უუნარობამ და სურვილის უქონლობამ დააგროვა გადაუხდელი პენსიები და საბიუჯეტო სექტორში გასაცემი ხელფასები, ხოლო საყოველთაო კორუფციამ მთავრობა არაეფექტიანი გახადა.

ამ გამოწვევათა გარდა არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა (ორმა სეპარატისტულმა რეგიონმა — აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა 1990-იანი წლების დასაწყისში დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ხოლო მესამე რეგიონი — აჭარა მხოლოდ ნომინალურად ემორჩილებოდა თბილისს და ფაქტობრივად ადგილობრივი ლიდერის სრულ კონტროლქვეშ იყოძ. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პოსტრევოლუციურმა მთავრობამ ხელისუფლებაში მოსვლის პირველი დღეებიდანვე გაამართლა ძალაუფლების პრეზიდენტის ხელში კონცენტრაციისკენ გადადგმული ნაბიჯები.

2004 წლის თებერვალში, საპრეზიდენტო არჩევნებიდან რამდენიმე კვირაში, პარლამენტმა სასწრაფოდ დაამტკიცა კონსტიტუციური ცვლილებები, რომელთა თანახმადაც პრეზიდენტს უფლება მიეცა, პარლამენტსა და მთავრობას შორის დაპირისპირების შემთხვევაში ან მთავრობა გადააყენოს, ან პარლამენტი დაითხოვოს და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დანიშნოს. შედეგად მივიღეთ, რომ პარლამენტი ლოიალური გახდა არა მარტო პრეზიდენტის, არამედ მისი მთავრობის მიმართაც. ამან კი პარლამენტის დამოუკიდებლობა და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელების ფუნქციაც დაასუსტა.

2006 წლის მიწურულს ევროპის საბჭოს ზეწოლის შედეგად სააკაშვილის ინიციატივით კონსტიტუციაში მორიგი ცვლილებები შევიდა, რომელთა თანახმადაც პარლამენტის განმეორებითი დათხოვნის შემთხვევაში ასევე დაინიშნება რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებიც. ამ ცვლილების მიუხედავად, რომელიც მოწოდებული იყო ძალაუფლების განაწილების დარღვეული ბალანსის თუნდაც მცირედი დოზით აღდგენისაკენ, შემდგომმა ცვლილებებმა კონსტიტუციაში პარლამენტზე პრეზიდენტის ზეგავლენა კიდევ უფრო გაზარდა. კერძოდ, ამ ცვლილებებამდე მორიგი საპარლამენტო არჩევნები 2008 წლის გაზაფხულზე, ხოლო საპრეზიდენტო — 2009 წლის ზამთარში უნდა გამართულიყო, ხოლო ხსენებული ცვლილებიდან გამომდინარე, ორივე არჩევნები ერთდროულად 2008 წლის შემოდგომაზე უნდა ჩატარებულიყო. მართალია, პრეზიდენტი რამდენიმე თვით იმოკლებდა თავისი უფლებამოსილების ვადას, მაგრამ პარლამენტის ვადა ნახევარ წელზე მეტი დროით ხანგრძლივდებოდა. რაც მთავარია, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ერთდროულად ჩატარება მიზნად ისახავდა პრეზიდენტის პარტიის არჩევნებში გამარჯვების შანსის გაზრდას, რომელიც ხალხში ყოველდღიურად კარგავდა პოპულარობას. 7 ნოემბრამდე სააკაშვილს არ ჰყავდა სერიოზული კონკურენტი საპრეზიდენტო არჩევნებში, ამიტომ ალბათობა იმისა, რომ მისი ამომრჩეველი იმავდროულად ხმას მის პარტიასაც მისცემდა, იზრდებოდა.

ასე რომ, 2007 წლის 7 ნოემბრამდე სააკაშვილისა და მის მხარდამჭერთა გეგმაში, თუ პარლამენტი ლოიალურობას შეინარჩუნებდა, აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში რაც შეიძლება მეტი ძალაუფლების კონცენტრაცია შედიოდა. რაც შეეხებოდა ოპოზიციას, ის პარლამენტში წარმოდგენილ უნდა ყოფილიყო როგორც დეკორაცია ვარდების რევოლუციიდან თანდაყოლილი დემოკრატიულობის იმ იმიჯისა, რომლის შენარჩუნებასაც სააკაშვილის ადმინისტრაცია აპირებდა.

ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლება და ძლიერი სახელმწიფო

ძალაუფლების ამ კონცენტრაციას სულაც არ მოჰყოლია დემოკრატიის განვითარება, თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ მას დადებითი შედეგები არ ჰქონია.

უწინარეს ყოვლისა, გაძლიერებულმა საპრეზიდენტო ძალაუფლებამ სააკაშვილის მთავრობას შეაძლებინა, აღედგინა ფინანსური წესრიგი და გაეზარდა საგადასახადო შემოსავლები, დაეძლია შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ჩამოყალიბებული საბიუჯეტო კრიზისი, რამაც შესაძლებელი გახადა დაგროვილი საპენსიო და სახელფასო (საბიუჯეტო სექტორშიძ დავალიანებების დაფარვა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ 2004 წლის რევოლუციის შემდეგ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ცენტრალურ მთავრობასა და ყოფილ ურჩ რეგიონს შორის ნორმალური საბიუჯეტო პროცესის ჩამოყალიბების ახალი შესაძლებლობები შეიქმნა. ყოველივე ამან 2004 წელს საგადასახადო შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში მნიშვნელოვნად გაზარდა. ქვეყნის ფინანსურ სისტემაში შეცვლილიყო დასავლური ტიპის საპატრულო პოლიციით. ენერგეტიკულ სექტორში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლამ თავისი დადებითი შედეგი გამოიღო და არსებითად გაუმჯობესდა ელექტროენერგიის მიწოდება. მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ შემოიღო ერთიანი ეროვნული გამოცდები, რომელთაც უნივერსიტეტებში მისალები გამოცდების საბჭოთა პერიოდიდან თანდაყოლილი კორუფციული სისტემა ჩაანაცვლა. ყოფილი სახელმწიფო თანამდებობის პირები, რომლებიც კორუფციაში იყვნენ დადანაშაულებულნი, დაპატიმრების შემდეგ გასათავისუფლებლად ე.წ. „თავისუფლების საფასურს“ იხდიდნენ. ამან მთავრობას მისცა დამატებითი შემოსავლები, რომლებიც ძირითადად ძალოვანი უწყებების ბიუჯეტგარეშე ანგარიშებზე იქნა აკუმულირებული. ამას ამართლებდნენ არა მარტო იმით, რომ კორუფციაში დადანაშაულებული პირები სახელმწიფოს უბრუნებდნენ მოპარულ ფულსა და საკუთრებას, არამედ იმითაც, რომ იქმნებოდა შემოსავლების დამატებითი წყაროც. თუმცა, აშკარაა, რომ ეს პრაქტიკა შემოსავლების მილების სტაბილური წყარო ვერ იქნებოდა.

მთავრობის ძალაუფლების გაფართოებამ უზრუნველყო ისეთი ამბიციური ეკონომიკური რეფორმების გატარება, როგორიცაა ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია, ბიზნესის ლიცენზირების პრაქტიკის გამარტივება და გადასახადების და ტარიფების განაკვეთების შემცირება, რამაც აშკარად მიიპყრო საერთაშორისო ყურადღება.

საქართველოში ფინანსური სიტუაციის გამოჯანსაღებამ პოსტრევოლუციურ მთავრობას მისცა შესაძლებლობა, არსებითად გაეუმჯობესებინა მდგომარეობა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში. აშშ-ისა და ნატოს წევრი სახელმწიფოების დახმარებით სამხედრო მზადყოფნა მნიშვნელოვნად ამაღლდა, ხოლო ქართულმა სამხედრო ნაწილებმა, რომლებიც გაგზავნილია ერაყსა და ავღანეთში, კოალიციის ოფიციალური პირების უმაღლესი შეფასებები დაიმსახურა.

დემოკრატიისგან უკუსვლა

ზემოთ ჩამოთვლილი პროგრესი ქვეყანას ძვირი დაუჯდა. აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი საკანონმდებლოს დამორჩილებამ მთავრობის წევრთა პასუხისმგებლობა შეამცირა. შედეგად კანონის უზენაესობის ხელყოფის არაერთი შემთხვევა მივიღეთ. პარლამენტი იმდენად დასუსტდა, რომ მას „მთავრობის ნოტარიუსიც“ კი შეარქვეს. პარლამენტის დასუსტებას კი ისიც დაემატა, რომ სასამართლომაც დაკარგა დამოუკიდებლობა. დღეს ის გენერალური პროკურატურისა და მთავრობის სრულ კონტროლქვეშაა.

პოსტრევოლუციურმა მთავრობამ ინფორმაციის მასობრივ საშუალებებზეც, განსაკუთრებით კი ტელევიზიაზე დაამყარა კონტროლი. ვარდების რევოლუციის შემდგომ უახლოეს პერიოდში არაერთი დამოუკიდებელი ტელეარხი და პოპულარული გაზეთი დაიხურა. მართალია, ზოგიერთ კერძო არხს ფორმალურად არ შეუზღუდეს საქმიანობა, თუმცა ისინი მთავრობის სრულ კონტროლქვეშ იმყოფებიან. შედეგად პრესის თავისუფლება მკაცრად შეიზღუდა, რაც დემოკრატიისგან აშკარა უკუსვლაა, მაგრამ საპაკაშვილის დასავლელმა მეგობრებმა ეს უკუსვლა თავის დროზე რატომღაც ვერ შეამჩნიეს.

საყურადღებოა, რომ სახელმწიფო სექტორში დასაქმებულები სამსახურიდან მასობრივად გაიყარა, ხოლო ინსტიტუციური რეფორმები ბოლომდე გააზრებული არც კი იყო. გამოცდილი კადრების სანაცვლოდ (ხშირ შემთხვევაში უკანონოდ სამსახურში აიყვანეს საზღვარგარეთ განათლებამიღებული ახალგაზრდები, რამაც ინსტიტუციური მეხსიერების მნიშვნელოვანი დანაკარგი გამოიწვია. ამ პრობლემამ ყველაზე უფრო მწვავედ თავი იჩინა მთავრობის არაპროფესიონალიზმში, რაც სამინისტროებს შორის ფუნქციების განაწილებაშიც გამოიხატა. კერძოდ, 2007 წლის შემოდგომაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა გაუქმებული ანტიმონოპოლიური სამსახურის ფუნქცია, ხოლო 2006 წლის გაზაფხულზე თავდაცვის მინისტრს დაეკისრა ქართული ღვინისთვის საზღვარგარეთ გაზრდების მოძიება.

ვლადიმერ პაპავა.

(დასასრული იქნება)

ნიშნავს თუ არა საქართველოს პროდასავლური და ანტირუსული პოლიტიკა დემოკრატიას?

რამდენიმე დღის წინათ აშშ-ში, ჟურნალ „ჰარვარდ ინთერნეშიონალ რევიუში“ გამოქვეყნდა ცნობილი ქართველი ეკონომისტის ვლადიმერ პაპავას სტატია, რომელიც, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ქართველი მკითხველისთვის. გთავაზობთ ამ სტატიის ქართულ თარგმანს.

ჩვენ

სწორედ ის მოსახლეობა, რომელიც დღეს უკმაყოფილოა სააკაშვილით, იდგა „ვარდების რევოლუციის“ დროს წვიმაში, ანუ იმ რევოლუციას მხარს უჭერდა ის მოსახლეობა, რომელიც ახლაც შეიძლება რევოლუციას ითხოვს, ოღონდ იმდენი წინდახედულება არა აქვს, მიხვდეს, რომ სააკაშვილში, ნათელაშვილში ან სხვა გვარსა და სახელში კი არ არის საქმე, არამედ იმაში, რომ სახელმწიფო არ შეიძლება რევოლუციით გზით განვითარდეს

◎ ექსპერტის აზრი

რამაზ საყვარელიძე: ოპოზიციას ამ ეტაპზე ვაჭკაცობა ეყო

(მესამე გვერდიდან)

„თუ მოქალაქეების ინტერესებს გავითვალისწინებთ, წესით, უნდა გვინდოდეს დაბალანსებული პოლიტიკა, ანუ ოპოზიციით დაბალანსებული სახელისუფლო ელიტა. ამისთვის რამაზ საყვარელიძის აზრით, ერთია რადიკალური ნაბიჯის გადადგმა და შეურიგებლობა, მაგრამ როგორ არ უნდა შეურიგდე, ეს სხვა საკითხია. თუ პოლიტიკური პარტია ფიქრობს, რომ მან დღესვე რადიკალური ნაბიჯები უნდა გადადგას და პროცესი პოლიტიკურ მომწიფებამდე არ მიიყვანოს, არა მგონია, იგი სერიოზულ შედეგებზე იყოს ორიენტებული. „თუკი შიმშილობით გინდა მიიღო ის, რაც მერე ხელისუფლებაში მოსვლით უნდა გააკეთო, მაშინ ამ ხელისუფლებას, ბუნებრივია, გაუჩნდება კითხვა, რატომლა უნდა დათმოს ძალაუფლება, თუ მაინც მისი გასაკეთებელია ყველაფერი? თუკი სახელმწიფოში არსებული ყველა მწვავე საკითხი გინდა, რომ საპროტესტო აქციებით გადააწყვეტინო, ეს საბჭოთა პერიოდის დისიდენტების სტილი იყო, ამ სტილში თავისთავად იგულისხმებოდა, რომ საბჭოთა კავშირი უკვდავია და ძალით გავაკეთებინოთ რაღაცეები, ანუ ხელისუფლება კი არ გამოვტაცოთ კომუნისტურ პარტიას, არამედ ხელისუფლებაში მყოფს გადავადგმევინოთ ის ნაბიჯები, რაც ქვეყნისთვის უკეთესია. ეს ქვეტექსტი აქვს ამ ტიპის აქციებით წარმოებულ პოლიტიკას. ამიტომ ვამბობ, რომ ეს არასერიოზული ოპოზიციის ნიშანია. დისიდენტები არ იყვნენ სერიოზული ოპოზიცია“.

საყვარელიძის აზრით, თუ ოპოზიცია საპარლამენტო არჩევნებამდე კი არ მივა, არამედ შეეცდება დესტაბილიზაციამდე მიიყვანოს ეს საპროტესტო აქციები და ასე დაამხოს ხელისუფლება, მაშინ ევროპელი პარტნიორებიც იკარგებიან, პოლიტიკური კავშირები წყდება, ქვეყანაში ინვესტიციები აღარ შემოდის, ეკონომიკური მდგომარეობა უარესდება. ეს გზაც წამგებიანია ქვეყნისთვის, თორემ ტაშისთვის შეიძლება მომგებიანიც იყოსო. „მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ტაშს დაგიკრავს ასეთი პოლიტიკის დროს, ხვალ ქვეგის სრულას დაგიწყებს. კარგად გავიხსენოთ, რომ სწორედ ის მოსახლეობა, რომელიც დღეს უკმაყოფილოა სააკაშვილით, იდგა „ვარდების რევოლუციის“ დროს წვიმაში, ანუ იმ რევოლუციას მხარს უჭერდა ის მოსახლეობა, რომელიც ახლაც შეიძლება რევოლუციას ითხოვს, ოღონდ იმდენი წინდახედულება არა აქვს, მიხვდეს, რომ სააკაშვილში, ნათელაშვილში ან სხვა გვარსა და სახელში კი არ არის საქმე, არამედ იმაში, რომ სახელმწიფო არ შეიძლება რევოლუციით გზით განვითარდეს. ყველა რევოლუცია მათთვისვე იქნება მერე ცუდის მომტანი და ძნელად მოსანელებელი. მაგრამ ეს უცოდინრობა მოსახლეობას ეპატიება, პოლიტიკოსებს კი – არა“.

საყვარელიძე ფიქრობს, რომ თუ თანაბარი საწყისი პირობები შეიქმნება პოლიტიკური ბრძოლისთვის, მაშინ ყველა სხვა დანარჩენი უკან პლანზეა გადასატანი.

„ამას წინათ, ბოლო მიტინგის მოხსნის თაობაზე უკმაყოფილება გაისმა იმ ახალგაზრდების მშობლებისგან, რომლებიც ამ ხელისუფლების მიერ უსამართლოდ დაიღუპნენ. ეს საკითხიც, უდიდესი ადამიანური წყენის მიუხედავად, იმ დროისთვის არის გადასატანი, როცა ხელისუფლება უფრო დაბალანსებული აღმოჩნდება, არა ოპოზიციის ხელში დაბალანსებული, არამედ საერთოდ, – დაბალანსებული. მაშინ შეიძლება მართლმსაჯულება ზეწოლისგან განთავისუფლდეს. ნორმალური გამოძიება ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი. მერე შეიძლება დადგეს უკვე იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, ვისაც უშუალოდ გრალი მიუძღვის ამ ტრაგედიებში.

დღესვე რომ მოხსნას ხელისუფლებამ თანამდებობიდან ის პირები, ვის გათავისუფლებასაც საზოგადოება მოითხოვს, ესეც გარკვეული ზეწოლით გადადგმული ნაბიჯი იქნება, შეიძლება ბევრი პოტენციური დამნაშავე, რომელიც ამ საქმეში მონაწილეობდა და დღეს სხვა საქმეში მონაწილეობს, დაკარგული აღმოჩნდეს, რადგან საჭირო ძიებისა და სკრუპულოზური გამოკვლევის გარეშე აღსრულდება ხალხის ნება, რაც უფრო ლინჩის წესით გასამართლებას დაემსგავსება, ვიდრე ცივილურ სასამართლო პროცედურებს“.

ასეთი მრავალი მაგალითია, რისთვისაც ნორმალური ხელისუფლება გვჭირდება. ჩვენ ერთმანეთისგან უნდა განვაცალკევოთ, დღეს რა არის გასაკეთებელი და ხვალ – რა. დღეს საჭირო იმ ნაბიჯების გადადგმა, რაც მიგვიყვანს ნორმალურ მმართველობამდე, – დაასკვნა რამაზ საყვარელიძემ.

თამარ შაიშმელაშვილი

◎ პროგლემა

გავშვთა და მოზარდთა შორის ძალადობის ფაქტების შემსწავლელი აღიანსი შედგა

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტი მედიასთან თანამშრომლობას იწყებს

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ინიციატივით ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი ბავშვთა და მოზარდთა შორის, არსებული ძალადობის პრობლემასთან დაკავშირებით. პროგრამის კოორდინატორმა პარლამენტარმა ოთარ თოიძემ ამ საკითხის გადაჭრის გზების ძიების თაობაზე მოიწვია დარგის ექსპერტები, მედიიის წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციები. შეხვედრა პარლამენტის საკონფერენციო დარბაზში შედგა.

ოთარ თოიძემ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ „მუშაობის პროცესში გავშვთა და მოზარდთა ძალადობის პროგლემებზე მომუშავე ჯგუფს დაუგროვდა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც საჭიროებენ პროფესიონალთა დისკუსიასა და შედეგების საზოგადოებისათვის ადეკვატურად მიწოდების აუცილებლობას. ამ ორივე მიმართულების განხორციელებაში უდიდესი როლი აქვს საპარლამენტო ჯგუფისა და მედიიის ურთიერთთანამშრომლობას: – **„დღევანდელი შეხვედრა არაფორმალურია, ერთმანეთის გაცნობასა და პრობლემის აქტუალურობის წინ წამოწევას ემსახურება. მოზარდთა ძალადობის, ფსიქოლოგიური მდგომარეობის და მათი უფლებების დაცვის შესახებ საპარლამენტო ჯგუფმა უნდა შეიმუშავოს კანონპროექტი, მაგრამ თუ არ ვიცით, რა ხდება ქვეყანაში, რა ვითარებაა ამ მხრივ, ბუნებრივია, ჩვენი მუშაობა სრულყოფილი ვერ იქნება“.**

ჯგუფში, მედიის წარმომადგენლების გარდა, ჩართულები არიან გავშვთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები, სახალხო დამცველის აპარატი და, რაც მთავარია, ფსიქიატრთა, ფსიქოლოგთა და ნერვოლოგთა ჯგუფი.

ფსიქიატრმა ნინო მახაშვილმა საუბრისას აღნიშნა: **„რომ ბავშვთა და მოზარდთა ძალადობის ფაქტები გახშირდა, თუმცა ეს არ არის მხოლოდ სოციალური პირობებიდან გამომდინარე, მას უფრო გლობალური კუთხით უნდა შეეხედოთ. ჩავწვდეთ ბავშვის ფსიქოლოგიას, უნდა ჩაერთოს ბაღი, სკოლა, ქუჩა, ოჯახი და ეკლესია“.**

ფსიქოლოგებმა განსაკუთრებული ყურადღება ეკლესიის როლზე გაამახვილეს და აღნიშნეს, რომ ბავშვის, მოზარდის აღზრდაში მოძღვარს, სასულიერო პირის რჩევა-დარიგებას ძალიან დიდი ზეგავლენა შეუძლია. რა თქმა უნდა, ასევე მნიშვნელოვანია მშობლის როლი. ფსიქოლოგმა თამარ გაგოშიძემ ილაპარაკა იმაზე, რომ **„როცა მოზარდის ფსიქიკაზე ან მის ძალადობრივ, აგრესიულ გამოვლინებებზე ვამახვილებთ ყურადღებას, არ დაგვავიწყდეს ის სოციალური გარემო, რომელშიც ის ცხოვრობს. აბსოლუტურად ყველა სფერომ: სკოლამ, მედიამ, სამედიცინო დაწესებულებებმა, ოჯახმაც და ეკლესიამაც ხელი უნდა შეუწყოს პრევენციას ანუ წინაპირობას იმასა, რომ ბავშვი არ მივიდეს ფსიქიკურ აშლილობამდე, ის თავიდანვე არ უნდა მიეჩვიოს ძალადობრივ გარემოს, თუნდაც ის, რომ მედია-News“-ები ნეგატიური ინფორმაციით იწყება, ტელეეკრანიდან უყურებენ ფსიქოლოგიურად მძიმედ აღსაქმელ ფილმებს – უკვე ბავშვს უბიძგებს არანორმალური ფსიქიკური მდგომარეობისაკენ. ადამიანის ტვინი „ბომბარდირდება“ ისეთი ინფორმაციებით, რომ ტვინს ექმნება დეფიციტი. ასეთი ნერვოლოგიური ტიპის მდგომარეობა დღეს ნორმად ითვლება, მაგრამ ეს დაავადების „მოსაზღვრე მდგომარეობაა“. ახლა უკვე ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, გავუშვათ ის ავადმყოფობაში თუ ნორმაში დავაბრუნოთ?!“**

თუმცა დისკუსიის დროს აღინიშნა ისიც, რომ ყველა გავშვი თითქმის ერთსა და იმავე გადაცემას უყურებს, მაგრამ ყველა არ არის მოძალადე, ასე რომ ცალმხრივად პასუხს ვერ გავცემთო. ამიტომაც, შეიძლება, მოზარდმა ნახოს ფილმები, მიიღოს ნეგატიური ინფორმაციაც, (რადგან ამის თავიდან აცილება რთულია თუმცა მერე ოჯახს ევალება, იზრუნოს იმაზე, რომ ესაუბროს ნანახზე, წაკითხულზე, შეუქმნას სწორი შთაბეჭდილება. დიალოგი ზოგადი იყო, როგორც აღვნიშნეთ, მას გაცნობითი ხასიათი ჰქონდა, თუმცა გაკვრით მაინც შეეხნენ ქუჩის მათხოვრებს, მაწანწალებს, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოხვედრილ მოზარდებს, სკოლებში არსებულ „უსაფრთხოების“ კონცეფციებს, რომელიც მიუღებელია, რადგან მისი არსიც ძალადობა და დასჯაა და ითქვა, რომ „გავშვთა გაკეთილშობილების წესებზე“ ექსპერტთა ჯგუფები მუშაობენ.

თანამშრომლობა გაგრძელდება, ხოლო ამ თანამშრომლობის პირველი შედეგი 27-28 თებერვალს დაგეგმილ კონფერენციაზე გამოჩნდება. კონფერენციის თემა იქნება „გავშვთა და მოზარდთა შორის ძალადობა – პროგლემის გადაწყვეტის გზების ძიება“. კონფერენციას პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გახსნის მასში. მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივ სამთავრობო, არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლები.

თეა მოსია

№ 36. სამშაბათი, 26 თებერვალი, 2008 წელი.

● **რუსეთმა უნდა ისწავლოს პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან კეთილმეზობლური დამოკიდებულება, განურჩევლად იმისა, რა საერთაშორისო სტატუსით იძნებიან ისინი წარმოდგენილი და რომელ ალიანსში იძნებიან გაერთიანებული. თუ საუბარია ნატოზე, მით უმეტეს, რადგანაც რუსეთს ნატოს მხრიდან რაიმე საფრთხე არ ემუქრება, უფრო პირიქით, ამგვარი დამოკიდებულება, ჩემი აზრით, სრულიად მისაღებია**

◎ **განსჯა**

ირაკლი მენაღარიშვილი: საქართველოს სტრატეგიული არჩევანის გაკეთების უფლება აქვს და ამ არჩევანის ხორცშესხმის აკრძალვა არავის შეუძლია

***გართულებული** ქართულ-რუსული ურთიერთობების ფონზე მოსკოვში საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრაზე „ინტერპრესნიუსი“ საქართველოს საგარეო საქმეთა ექს-მინისტრს **ირაკლი მენაღარიშვილს** ესაუბრა.*

ირაკლი მენაღარიშვილი პრეზიდენტების შეხვედრას დადებითად აფასებს, მაგრამ ორ ქვეყანას შორის არსებული პრობლემების ერთბაშად გადაწყვეტას არ ელის.

მისივე თქმით, მოსკოვსა და თბილისს შორის არსებული პრობლემები სწორედ იმას უკავშირდება, რომ რუსეთმა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან კეთილმეზობლური დამოკიდებულება უნდა ისწავლოს. რაც შეეხება საქართველოს ნატოში გაწევრიანებისაკენ სწრაფვაზე რუსეთის დაუფარავ გაღიზიანებას, ექს-მინისტრის თქმით, „საქართველოს აქვს სტრატეგიული არჩევანის გაკეთების უფლება და არავის აქვს უფლება, აუკრძალოს მას ამ არჩევანის ხორცშესხმა.“

— ბატონო ირაკლი, როგორ შეაფასებდით საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრას და მხარეების მიერ შესვედრის დასრულების შემდეგ გაკეთებულ განცხადებებს?

— იმ დაძაბული მდგომარეობის გათვლისწინებით, რომელიც ორ ქვეყანას შორის არსებობს, პრეზიდენტების შეხვედრის თავად ფაქტი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. რაც შეეხება მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას, ამაზე სჯობია იმ პრაქტიკული შედეგების მიხედვით ვიმსჯელოთ, რაც ამ შეხვედრას მოყვება. მინდა ოპტიმისტი ვიყო, მაგრამ სიტუაცია მეტად დაძაბულია და სადავო საკითხების ასე ადვილად გადაწყვეტა მოსალოდნელი არ არის.

თუმცა, ზოგიერთი საკითხი, მაგალითად, საჰაერო მიმოსვლის აღდგენა, უახლოეს მომავალში ალბათ რეალური უნდა იყოს. არის ასევე სხვა საკითხებიც, რომელშიც შედეგის მიღწევა შესაძლებელია.

— რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებით, პუტინმა საკაშვილთან შეხვედრაზე აღნიშნა, რომ რუსეთის პრეზიდენტი საქართველოს ნატოში გაწევრიანების მიზეზს ვერ ხედავს და იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ნატოში შევა, მან საქართველოს პრეზიდენტს რუსეთისგან მოსალოდნელი საფრთხეები შეახსენა. რამდენად სახიფათოა პუტინის მუქარანარევი გაფრთხილება?

— ზუსტად ასეთივე ინფორმაცია გავრცელდა პუტინის უკრაინის პრეზიდენტთან ვიქტორ იუშენკოსთან შეხვედრის შემდეგ. საქართველოს მიერ ნატოს სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანი, რა თქმა უნდა, ქართულ-რუსული ურთიერთობების სერიოზული პრობლემაა.

რუსეთს აქვს მოსაზრებები და უფლება, ეს მოსაზრებები გამოთქვას, მაგრამ საქართველოს სუვერენული უფლება აქვს, მიიღოს გადაწყვეტილება თავისი სტრატეგიული არჩევანის შესახებ და არავის აქვს უფლება, აუკრძალოს მას ამ არჩევანის რეალიზაცია.

რაც შეეხება საფრთხეს, არა მგონია, რაიმე სერიოზულ საფრთხეს ვხედავდეთ. უფრო მეტიც, კეთილმეზობლურად განწყობილ რუსეთს სტაბილური, ევროატლანტიკურ სისტემაში ინტეგრირებული საქართველო უფრო უნდა აძლევდეს ხელს, ვიდრე არასტაბილური და ნატოს გარეთ დარჩენილი საქართველო.

— აშკარაა, რომ რუსეთი საქართველოსგან ნატოში გაწევრიანების საკითხში სტრატეგიული კომპრომისის გაკეთებას ითხოვს. თბილისისაგან ამგვარი გადაწყვეტილების მიღებას გამორიცხავთ?

— რუსეთმა უნდა აღიაროს, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნები ისეთივე სუვერენული სახელმწიფოებია, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის სხვა სუბიექტები, რომლებსაც თავისი სუვერენული უფლებები და თავისი ბედის განკარგვის უფლება აქვთ.

რუსეთმა უნდა ისწავლოს პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან კეთილმეზობლური დამოკიდებულება, განურჩევლად იმისა, რა საერთაშორისო სტატუსით იძნებიან ისინი წარმოდგენილი და რომელ ალიანსში იძნებიან გაერთიანებული. თუ საუბარია ნატოზე, მით უმეტეს, რადგანაც რუსეთს ნატოს მხრიდან რაიმე საფრთხე არ ემუქრება, უფრო პირიქით, ამგვარი დამოკიდებულება, ჩემი აზრით, სრულიად მისაღებია.

— რუსეთი არ მალავს, რომ იგი თავის საგარეო პოლიტიკაში რადიკალური ცვლილებების შეტანას არ გეგმავს, ეს განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებს ეხება.

— მდგომარეობა რთულია და დღეს რაიმე საფუძველი იმისა, რომ რუს-ქართულ ურთიერთობებში სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება, სამწუხაროდ, არ გვაქვს.

თუმცა, ორივე მხარის ინტერესებიდან გამომდინარე, კატეგორიულად აუცილებელია, რომ ორივე მხარემ მაქსიმალური ძალისხმევა მიმართოს გართულებული ურთიერთობების განსამუხტად და რუს-ქართული დიალოგის უფრო ცივილიზებულ და კონსტრუქციულ სივრცეში გადასაყვანად.

საქართველოს სრული უფლება აქვს, თავისი ბედი განკარგოს და რუსეთმა თავის სამხრეთ მეზობელთან თანამშრომლობა სწორედ საქართველოს სუვერენული გადაწყვეტილების პატივისცემის საფუძველზე უნდა ააგოს.

კობა გენდელიანი

◎ **დუმა**

„რუსეთმა უნდა იზრუნოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები თავისი მოქალაქეების დაცვაზე“

რუსეთის **დუმის თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ბაბაკოვი აცხადებს, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადების პირობებში რუსეთმა აუცილებლად უნდა იზრუნოს აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის ტერიტორიებზე მცხოვრები თავისი მოქალაქეების უფლებების დაცვაზე.**

დეპუტატი ბაბაკოვი რუსეთის კონსტიტუციას იშველიებს და აცხადებს, რომ „რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 72-ე მუხლის 1 ნაწილის მიხედვით, სადაც საუბარია რუსეთისა და მისი სუბიექტების ერთობლივ ხელვასა და საერთაშორისო და საგარეო ურთიერთობათა წარმოებაზე და მათ შესრულებაზე, რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს აქვთ უფლება აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობის აღიარების ინიციირების საკითხი დააყენონ“, — აცხადებს ბაბაკოვი და დასძენს, რომ აღიარების ფორმები შესაძლოა სულ სხვადასხვაგვარი იყოს — რუსეთის ფედერაციის სუბიექტთა და ზემოთ ნახსენებ რესპუბლიკათა შორის ხელშეკრულების გაფორმებიდან დაწყებული, ამ ტერიტორიებზე რუსეთის ფედერაციის სუბიექტების წარმომადგენლობების გახსნით დამთავრებული.

„კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება მრავალეროვანი სახელმწიფოების ტერიტორიაზე სუვერენიტეტების აღიარების მარათონად არ უნდა იქცეს, თუმცა არავის აქვს უფლება უგულებელყოს

რუსეთის ფედერაციის ფარგლებს გარეთ მაცხოვრებელი რუსეთის მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები“, — დასძენს დუმის დეპუტატი.

◎ **სეპარატიზმი**

აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი სერგეი ბაღაფში აცხადებს, რომ კოსოვოსა და აფხაზეთის შედარება არ შეიძლება.

სერგეი ბაღაფში: აფხაზეთი ბრძოლის გაგრძელებისთვის მზად არის

— კოსოვოსათვის დამოუკიდებლობა ნაჩუქარია და ეს იმდენად არასერიოზული ფაქტია საერთაშორისო სამართლებრივ ასპექტში, რომ აფხაზეთშიც კი ირონიას იწვევს, — აცხადებს ბაღაფში.

მისივე თქმით, „როგორ შეიძლება კოსოვოს დამოუკიდებლობა, ვინმემ აფხაზი ხალხის დამოუკიდებლობისთვის მრავალსაუკუნოვან ბრძოლას შეადაროს. კოსოვოში უამრავი საერთაშორისო სტრუქტურა მიეგზავრება კანონიერების დასაცავად, რომელიც არ არსებობს. კოსოვოსაგან განსხვავებით, სადაც თითქმის ერთ ღამეში მოხდა გერგისა და დროშის დახატვა — აფხაზეთი უკვე შემდგარი დემოკრატიული სახელმწიფოა, სადაც კანონის უზენაესობა და დემოკრატიული პრინციპები უკვე მომწიფებული საზოგადოების მიერაა მხარდაჭერილი“, — აცხადებს ბაღაფში და დასძენს, რომ ამიერიდან უკვე არც აშშ-ს და არც სხვა რომელიმე ქვეყანას, ან ე.წ. გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფში შემავალ სახელმწიფოებს, ან თუნდაც საქართველოს, არ დარჩა არგუმენტი იმისათვის რომ კოსოვოს აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთთან ან დნესტრისპირეთთან უპირატესობა დაადასტურონ.

— აფხაზეთი დამოუკიდებლობისათვის ხომ ბევრად უფრო ადრე იბრძოდა, ვიდრე მსოფლიო საერთოდ გაიგებდა კოსოვოს პრობლემის არსებობის შესახებ. ჩვენ დამოუკიდებლობის მოპოვებისა სამართლებრივ გზას ვადგავართ და აფხაზურ სახელმწიფოს სულაც არ სურს, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ მისი დამოუკიდებლობა კოსოვოს პროგლემატიკის ჩარჩოებში აღიაროს, — აცხადებს ბაღაფში და დასძენს, რომ აფხაზეთი მზადაა ლოდინისათვის იმდენხანს, რამდენიც საჭიროა ან „მზადაა ბრძოლის გაგრძელებისათვის ზუსტად ისე, როგორც ამას ბოლო ასი წლის განმავლობაში აკეთებდა“.

ლეონიდ რაძიხოვსკი: საქართველოსთან ომი დსთ-ის ელვისებური დასასრული იქნება

პოლიტოლოგი ლეონიდ რაძიხოვსკის საგენტო „ჯიეიჩ-ენთან“ საუბარში აცხადებს, კრემლში მშვენივრად აცნობიერებენ, თუ რატომ არ უნდა აღიაროს რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა.

„ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საერთაშორისო სამართალია. მეორე პრაგმატული მიზეზია — თურუსეთი ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობას აღიარებს, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ რუსეთი საქართველოსთან დე ფაქტო საომარ მდგომარეობაში გადავა. საქართველოსთან ომი რუსეთისთვის საშიში არ არის, მაგრამ საქართველოსთან ომი დსთ-ს ელვისებური დასასრული იქნება. ამით რუსეთი დაუპირისპირდება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ დსთ-ის ყველა ქვეყანას. ამის შედეგად უკრაინას ყირიმის გამო შიში გაუჩნდება, ყაზახეთს — მისი დასავლეთის რაიონების მიმართ და ა.შ. ამასთან, ეს იმის მაუწყებელი იქნება, რომ რუსეთი უგრალოდ აიძულებს საქართველოსა და უკრაინას ნატოში გაწევრიანდნენ და აიძულებს დსთ-ის სხვა ქვეყნებს, მიიღონ ნებისმიერი უცხოქვეყნის სამხედრო დახმარება“, — განაცხადა რაძიხოვსკიმ.

მისივე თქმით, ეს იმის მაუწყებელი იქნება, რომ რუსეთს ძალიან გაუმწვავდება ურთიერთობა დასავლეთის ქვეყნებთან.

პოლიტოლოგი აღნიშნავს, რომ თუ რუსეთი აღიარებს სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, მაშინ, რა თქმა უნდა, ჩრდილოეთ ოსეთი მის მიერთებას მოითხოვს.

„ამ დროს უკვე რუსეთი საერთოდ პირდაპირი აგრესორის როლში გამოდის, ანუ ის ხდება ქვეყანა, რომელიც იტაცებს სხვის ტერიტორიას. ხოლო თუ საუბარი იქნება აფხაზეთის მიერთებაზეც, ესეც უკვე სხვისი ტერიტორის პირდაპირი მიტაცებაა. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთს საერთოდ არაფერში არ სჭირდება“, — განაცხადა „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბარში რაძიხოვსკიმ.

ჯი-ეიჩ-ენი

განსჯა

როგორ ხდება, რომ ეკონომიკა იზრდება, ბიუჯეტი ხუთმაგდება, ხალხი კი ღატაკდება? ჩვენთან ისიც კი არ არის განსაზღვრული, რამდენია სილარიბის ზღვარი, ან თუ არის განსაზღვრული, რამდენი კაცია ამ ზღვარს ქვემოთ? თუ ეს ყველაფერი არ ვიცით, რანაირად უნდა ვებრძოლოთ სილარიბეს?

აი კითხვები, რომლებზეც პასუხი არ გააჩნიათ საქართველოს მთავრობის მესვეურებს და ალბათ ამიტომაც არ სურთ მათ ოპონენტებთან პირისპირ დებატებში გამოსვლა

◎ ინფორმაცია

აზერბაიჯანელები ჩვენი რკინიგზით დაინტერესდნენ

„საქართველოს რკინიგზის“ პრივატიზაციის პროცესში მონაწილეობის მიღებას აზერბაიჯანიც გეგმავს. ამის შესახებ ჟურნალისტებს აზერბაიჯანის ტრანსპორტის მინისტრმა ზია მამედოვმა განუცხადა.

მისივე თქმით, საქართველოს პირველად განაცხადში სარკინიგზო ინფრასტრუქტურაში დაახლოებით 1 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცირება დევს.

რიგი უცხოური კომპანიები, რომელთა შორის 2 ამერიკული და თითო რუსული, შვეიცარიული და ყაზახური კომპანიები არიან, საკუთარი წინადადებები საქართველოს უკვე წარუდგინეს.

აზერბაიჯანი დაინტერესებულია პროექტით და მზად არის, წარადგინოს საკუთარი წინადადებები, – განაცხადა მამედოვმა.

აღსანიშნავია, „საქართველოს რკინიგზის“ პრივატიზების მიზნით ინტერესთა გამოხატვაზე განაცხადების მიღების ვადა 25 იანვარს ამოიწურა.

ჯერ უკრაინული, შემდეგ კი – ყაზახური ხორბალი

აპრილიდან საქართველოში 40 ათასი ტონა უკრაინული ხორბალი შემოვა.

როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილე ბაკურ კვეზერელმა განაცხადა, სოფლის მეურნეობის ქართველი და უკრაინელი მინისტრების შეხვედრა წარმატებით დასრულდა და აპრილიდან საქართველოში 40 ათასი ტონა უკრაინული ხორბლის იმპორტი განხორციელდება.

კვეზერელის ინფორმაციით, საქართველო ერთ ტონა ხორბალში 396 აშშ დოლარს გადაიხდის, რაც, მისივე თქმით, ნორმალური ფასია და პურპროდუქტების გაძვირება მოსალოდნელი არ არის.

რამდენიმე დღის წინათ ბაკურ კვეზერელმა ისიც განაცხადა, რომ საქართველოს ხორბლის ნ-6 თვის მარაგი აქვს, რომლის შევსებაც, უკრაინული ხორბლის გარდა, ყაზახეთიდანაც მოხდება.

ინტერპრესნიუსი

◎ გზად მომავლისკენ

გაგვაგებინეთ, ბატონებო, რას გვთავაგობთ, პროგრამას თუ სადღეგრძელოს?

მთავრობამ მორიგი ტყუილი შემოგვაპარა

***ნამდვილად** ასეა, მთავრობამ მორიგი ტყუილი შემოგვაპარა, უფრო სწორად, უნდა, რომ შემოგვაპაროს, მაგრამ არ გამოსდის. თუმცა რა მაგის ბრალია, ხალხმა დემოკრატიის ისეთ დონეს მიაღწია, რომ საკუთარი ხელისუფლების არა თუ მართალი, ტყუილიც კი აღარ სჯერა. არადა, კაცმა რომ თქვას, ნაციონალურმა ხელისუფლებამ სწორედ იმით მოიპოვა მაღალი რეიტინგი, რომ შინ საკუთარ ხალხს და გარეთ კიდევ ამერიკელ და ევროპელ მეგობრებს სიცრუის რეფორმებით ბერავდა. ჰოდა, ამიტომაც დაიჩუტა ბუშტივით ჩვენი ბაქია მთავრობის პრესტიჟი, რომელიც ახლა ოპოზიციასთან ერთად სამომავლოდ კარვებში შიმშილობისთვის ემზადება.*

ეს კარგია, კარვებში ოპოზიციის მხარდამხარ უპრესტიჟო და ულეგიტიმო ხელისუფლების პრესტიჟიც თუ იშიმშილებს, ეგებების მთავრობა როგორმე გონს მოეგოს და „სიცრუის კარუსელის“ ტრიალს გადაეჩვიოს. დღესდღეობით კი ჩვეულებას ვერ ღალატობს და პარლამენტის არჩევნების წინ ხალხის გულის მოსაგებად მორიგ ტყუილებს „აბოლებს“. ერთი ამათგანია პრეზიდენტის ინიციატივითა და პრემიერის უშუალო შემოქმედებითი პოტენციალით „შეკერილი“ 50-დღიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ქვეყანაში ეკონომიკის აყვავებასა და საძულველი სილარიბის დამარცებას ისახავს.

იცოცხლე, მიზანი ურიგო არ იყოს, მაგრამ პროგრამა ამის რეალიზაციის კონკრეტულ სურათს რომ არ იძლევა? საქმე ის გახლავთ, რომ ეს ეგრეთწოდებული 50-დღიანი პროგრამა არაფერს ეყრდნობა, არა აქვს საძირკველი, რაზეც უნდა აშენდეს შენობა. ამიტომაც ეკონომიკურ ექსპერტ ნიკო ორველაშვილს მიაჩნია, რომ მთავრობის მხრიდან ის მორიგი გლეფია, მისი აზრით პროგრამა სადღეგრძელოს უფრო ჰგავს, თანაც თასით ხელში, ვიდრე ქვეყნის ეკონომიკური აღმშენებლობის დოკუმენტს.

არც პარლამენტის დეპუტატს, ცნობილ მეცნიერ-ეკონომისტ ლადო პაპავას სჯერა ამ პროგრამისა. მისი აზრით, მთავრობამ ისიც კი ვერ გამოითვალა, ეს პროგრამა 50-დღიანია თუ 100-დღიანი? მეცნიერის გამოთვლით, იგი არც ერთია და არც მეორე – პროგრამა ზუსტად 152-დღიანი გამოდის (იმედია, ლადო პაპავას თვლა არ ეშლება!ძ.

თვლას თავი გავანებოთ (ისე, მთავრობამ ეკონომიკა თუ არა, თვლა ხომ მაინც უნდა იცოდეს?ძ, პრეზიდენტი, ხელისუფლება, შინაც და გარეთაც, თავს იმით იწონებენ, რომ უკანასკნელ წლებში ქვეყანაში ეკონომიკა აყვავდა. გატარებული რეფორმების წყალობით, ერთდროს მოჩანჩალე საქართველომ თურმე მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების წინა რიგებში გადმოინაცვლა (!ძ. თუ ეს სინამდვილეა, კითხულობს განცვიფრებული ლადო პაპავა, მაშ რიღასთვის გვჭირდება სილარიბის დაძლევის თუ დამარცხების პროგრამა? როგორ ხდება, რომ ეკონომიკა იზრდება, ბიუჯეტი ხუთმაგდება, ხალხი კი ღატაკდება? ჩვენთან ისიც კი არ არის განსაზღვრული, რამდენია სილარიბის ზღვარი, ან თუ არის განსაზღვრული, რამდენი კაცია ამ ზღვარს ქვემოთ? თუ ეს ყველაფერი არ ვიცით, რანაირად უნდა ვებრძოლოთ სილარიბეს?

აი კითხვები, რომლებზეც პასუხი არ გააჩნიათ საქართველოს მთავრობის მესვეურებს და ალბათ ამიტომაც არ სურთ მათ ოპონენტებთან პირისპირ დებატებში გამოსვლა. ასეთი კითხვა გაუჩნდა ტელეწამყვან ინგა გრიგოლიასაც, რომელმაც პრემიერ-მინისტრ ლადო გურგენიძისგან მოითხოვა პასუხის გაცემა.

– ჩვენ გვყავს ერთადერთი ოპონენტი და ეს სილარიბეა, – მოკლედ მოჭრა პრემიერმა, – ეს პროგრამა სწორედ იმიტომ შევადგინეთ, რომ სილარიბე საქართველოდან ერთხელ და სამუდამოდ გავისტუმროთ. თავს არ ვზოგავთ, დღესა და ღამეს ვასწორებთ იმისათვის, რომ ეს ისტორიული მისია რაც შეიძლება დროის მოკლე მონაკვეთში შევასრულოთ. ამის წანამძღვარი არსებობს, ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკა 2,5-ჯერ გაიზარდა, ბიუჯეტი თითქმის 6-ჯერ, ნელა მაგრამ მაინც იხევს უკან ინფლაცია, მისმა მაჩვენებელმა თუ გასული წლის დეკემბერში 11,5 პროცენტი შეადგინა, წლეულს იანვარში უკვე 11 პროცენტამდე, ხოლო თებერვალში – 10,5 პროცენტამდე დაიწია. ეროვნულ ბანკთან ერთობლივი მუშაობით, მივაღწევთ, რომ ინფლაციამ ერთნიშნა ციფრს ალარ გადააჭარბოსო, – დასძინა ლადო გურგენიძემ.

ოპოზიცია კი საპირისპიროს ამტკიცებს. ის მთავრობას ადანაშაულებს ეროვნული ბანკისთვის დამოუკიდებლობის წართმევის მცდელობაში, რაც ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად დააზარალებს. მარტო ლარის ხელოვნურად გამყარება ეკონომიკას ვერ ააშენებს, დამოუკიდებლობის დაკარგვა ეროვნულ ბანკს, ნიკო ორველაშვილის აზრით, კომერციულ ბანკებთან საქმიანი ურთიერთობის ნიადაგს წაართმევს, რაც ქვეყნის ეკონომიკის საფუძვლებს საგრძნობლად შეარყევს.

არაო, თავს იმშვიდებს პრემიერი, აი ნახავთ, თუ ქუჩის აქციებმა და კარვებმა უცხოელი პარტნიორები არ დაგვიფრთხო, მილიარდობით ინვესტიციებს მოვიზიდავთ, ახალ ჰესებს ავაშენებთ, ჭარბ ელექტროენერგიას მეზობელ თურქეთში გავიტანთ, ბიუჯეტსაც გავჭყიპავთ და ხალხსაც ამოვასუნთქებთო.

– კი მაგრამ, ასე გალაღებული ცხოვრება თუ გაქვთ, – ეჭვი ეპარება ლადო პაპავას, – და ბიუჯეტიც პროფიციტულია, – აბა იმ 500-მილიონიანი ევროობლიგაციის გამოშვებას რიღასთვის აპირებთო? მართლაც გაუგებარია, ხელისუფლებას, რომელმაც უარი თქვა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტრანშის მიღებაზე (უკვე გავმდიდრდით და აღარ გვჭირდებაო!ძ ევროპიდან ამხელა სესხის აღება რისთვის დასჭირდა, არც ის არის გასაგები, მთავრობა ყველაფერს რომ ყიდის, მათ შორის წყალსა და რკინიგზასაც, მასში აღებულ ფულს ინვესტიციად რატომ ნათლავს? თუ თვითონ არ იცის, გვინდა შევახსენოთ, რომ ამას ინვესტიცია კი არა, ქვეყნის ქონების გაყიდვა და იქიდან აღებული ფულის შეხრამუნება ჰქვია.

არადა, ინვესტიციების წყალობით უკვე რამდენი რამ შეახრამუნეს. კიდევ დარჩა რამე? რა თქმა უნდა, დარჩა, მაგრამ გულის გასატეხი არაფერია – დარჩენილს ახალი პროგრამით საპაკაშვილის პრეზიდენტობის მეორე პერიოდში აითვისებენ. ახლა მთავარია წინასაარჩევნო ჰიარი არ ჩავშალოთ და დანარჩენს ყველაფერს შესანიშნავად მოევლება. მათ შორის თავად ამ ეგრეთ წოდებულ 50-დღიან პროგამასაც, რომელიც თუ ვერ შესრულდება, უმუშევრობა და სილატაკე ხომ მაინც დაგვრჩება? მთავარია, სილარიბემ არ გვიღალატოს, თორემ მის დასაძლევად, მთავრობამ თუ ივარგა, პროგრამა კიდევ მრავალი გამოჩნდება!

ოთარ ხუციშვილი

◎ ინფორმაცია

აფხაზები და ოსები ერთნაირად აჭიკჭიკდნენ

აფხაზეთის **თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლება ფსოუს საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე ქართულ მხარეს არ დაუშვებს.**

ამის შესახებ დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ განაცხადა.

მოვისმინე საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილის კომენტარი, რომ საკითხი არა აფხაზეთს, არამედ საქართველოსა და რუსეთს ეხებოდა. ამ შეთანხმებას არანაირი რეალური შედეგი არ მოჰყვება, ჩვენ აფხაზეთის ტერიტორიაზე არც ერთი ქართული სამსახურის მუშაობას არ დავუშვებთ, – აღნიშნა სერგეი შამბამ.

მისივე თქმით, ყველა საკითხი, რომელიც აფხაზეთს ეხება, რა დონეზეც უნდა განიხილებოდეს, სოხუმის თანხმობის გარეშე არც ადრე წყდებოდა და არც მომავალში გადაწყდება.

რა ფორმატი და დონეც არ უნდა იყოს ეს – დსთ-ს ფარგლებში თუ საქართველო-რუსეთის მოლაპარაკება, ჩვენს ზურგს უკან და ჩვენი თანხმობის გარეშე არც ერთი საკითხი არ გადაწყდება, – განაცხადა შამბამ.

ქართულ და რუსულ მხარეებს შორის საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მონაკვეთებზე საბაჟო პუნქტების ერთობლივად გაკონტროლების შესახებ წინასწარი შეთანხმება ჟენევაში, გასულ კვირას გამართულ შეხვედრაზე შედგა. კონტროლის მექანიზმებსა და შეთანხმების ვადებზე მოლაპარაკება, სავარაუდოდ, აპრილში გაიმართება.

* * *

ცხინვალი **როკის გვირაბთან საკონტროლო გამშვებ-პუნქტზე ქართული მხარის წარმომადგენლების დაშვებას არ აპირებს. ამის შესახებ სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის დე ფაქტო შინაგან საქმეთა მინისტრმა მიხეილ მინძაევმა განაცხადა.**

ამ საკითხის შესახებ შეთანხმება ვის შორისაც არ უნდა შედგეს, უპირველესად, ჩვენი რესპუბლიკის ხალხის აზრი უნდა გაითვალისწინონ. ამდენად, ქართულ-რუსულ შეთანხმებაზე ჩვენი პოზიცია უკიდურესად უარყოფითია. ვიდრე ჩვენს რესპუბლიკას არ აღიარებენ, არანაირ ერთობლივ პუნქტებზე საუბარი არ შეიძლება იყოს. ამ შემთხვევაში ვსაუბრობ არა სამხრეთ ოსეთზე, არამედ ერთიან ოსეთზე და ეს რესპუბლიკა ჩვენი ხალხის ნების დარღვევას აღარასოდეს დაუშვებს“, – განაცხადა მიხეილ მინძაევმა.

მისივე თქმით, აღნიშნულ საკითხზე რუსეთის თანხმობის შესახებ მისთვის არაფერია ცნობილი.

მსოფლიო სამხრეთ ოსეთის საკითხს ორმაგი სტანდარტებით უდგება. დამოუკიდებლობის აღიარებისთვის კოსოვოზე გაცილებით მეტი საფუძველი გვაქვს, თუმცა, კოსოვო აღიარეს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ვიღაცას აწყობდა. ასეთი ორმაგი სტანდარტებით მიდგომა უნდა შეწყდეს, – განაცხადა მინძაევმა.

ინტერპრესნიუსი

PAATA BURCHULADZE'S INTERNATIONAL FOUNDATION IVANANA
პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი იავნანა

● და ვით ქრისტემ
გალილეა აირჩია,
მე ტფილისი ავირჩიე ბებერი

ფუნიკულიორი. მხატვარი ფიროსმანი

პოეტების საქეიფო

ეს წიგნი თითოეული თბილისელის, თითოეული ქართველის ოჯახში უნდა იდოს. არადა, ჯერჯერობით ოდენ 1500 ეგზემპლარი დაიბეჭდა.

წიგნის იდეის ავტორები არიან **პაატა ბურჭულაძე** და **გურამ ახალაია**.

გამოცემის გენერალური სპონსორია საინვესტიციო კომპანია „მეტეხი ჯგუფი"; რედაქტორ-შემდგენელია **ემზარ კვიტაიშვილი**, მხატვარი — **გიორგი წერეთელი**, გამომცემლობის („ბაკმის") რედაქტორი **რუსუდან მოსიძე**, მხატვრული რედაქტორი **გონდო მაცაბერიძე**, კომპიუტერული უზრუნველყოფა — **ლევან ბეგლარიშვილი**.

„თბილისი ქართულ პოეზიაში" იხსნება ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ჭაბუა ამირეჯიბის წერილით, რომელსაც (რამდენიმე ლექსთან ერთად) აქვე გთავაზობთ და მთავრდება რედაქტორ-შემდგენლის **ემზარ კვიტაიშვილის** ერთობ შთამბეჭდავი მიმოხილვით — „ქალაქი ფენიქსი".

თბილისისადმი მიძღვნილ რჩეულ ლექსებს ამშვენებს გამოჩენილ ქართველ მხატვართა ფერადი ილუსტრაციები.

წიგნის მხატვრულ ღირებულებაზე არაფერს მოგახსენებთ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კრებული ხელიხელსაგოგმანები, „ვეფხისტყაოსანივით" ძვირფასი საჩუქარია ყოველი გონიერი მკითხველისთვის. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ იავნანა", თბილისის მერია, მეტეხი ჯგუფი და ქორთიარდ მარიოტი დღეს, 13 საათზე გიწვევთ თბილისისადმი მიძღვნილი წიგნის — „პოეტების საშეფოს" პრეზენტაციაზე.

წიგნის გაყიდვით მიღებული შემოსავალი მოხმარდება მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.

როგორც „იავნანა" მოგვიწოდებს: **ერთად გადავარჩინოთ მომავალი!"**

სპარტაკ ქოგულია

თბილისო, ჩემო სიცოცხლევ!

სამოცი წელიწადია, სულობით მწერალი ვარ. რას არა ვჭიდე გულისკური, რას არ გავედგამოვედე... სამოცდაათზე მეტი მიძღვნა, მილოცვა და სამძიმარი აღმომაჩნდა დაწერილი. ჩემო თბილისო, ახლა, როცა სიცოცხლის მეცხრე ათეულს ვასურდავებ და ქვათა, თქმათა და ნაქმნართა შეკრებას მივუპვი სელი, თურმე შენთვის არაფერი მითქვამს მაშინ, როდესაც შენი სიყვარული დაბადებითვე დამეოლა მაღალმა ღმერთმა და ჩემში ამ მადლის განვითარება, სრულეოფა და თავანისცემა, მე კი არა, შენ თავად შესძელი.

ჯერ იეო და ისეთ უბანში დავიბადე, სადაც ეროვნული კუთვნილება არავის გაგვირჩევია, ერთმანეთს „კაი ბიჭობით" ვემეგობრებოდით და, როცა სმა გავარდა, რომ სიონის დიდი ზარის ჩამოგდება განიზრახეს ბოლშევიკებმა, სხვა უბნის ბიჭებთან ერთად მეც ჩვენი ქუჩის ბოლოს მივაშურე და ის საბედისწერო ჯახანი დღესაც ყურებში მიდგეს... მაშინ ვნახე და მიუხედავად სიმაწვილისა, სათანადო დასკვნაც გამოვიტანე იქიდან, რომ სულ რადაც ახიოდ ნაბიჯში ერთმანეთისგან, შემწეწარებლობითა და სიყვარულით განალაგე — მართლმადიდებელთა ტაძარი, ებრაელთა სინაგოგა, გრეგორიანელთა ეკლესია, შიიტთა და სუნიტთა მეჩეთები და მაშინვე ვიკითხე, სხვა ქალაქებშიც თუ ასვა-მეთქი?

როცა განსაცდელმა მიწია, შენგან ბავშვობაშივე მიღებულმა გაკეთილებმა ტანჯვაში გამძლეობა მომცეს, შენს წიალში დაბრუნება მარგუნეს.

ჩემო თბილისო, ჩემი კაცობის ნიჭო, ფუძეე და სიხარულო, შენმა სიყვარულმა მიმაღებინა მონაწილეობა ბოლშევიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მზადებაში, ორი სასიკვდილო განაჩენის მოსმენასა, ექვსჯერ ტყვეობაში გაქცევაში და იმაშიც, ჩემი სიცოცხლის უმნიშვნელოვანეს მოვლენად რაც მიმაჩნია, — რომ სწორედ შენს შემოგარენსა და ქუჩებში ერთადერთი დღის მანძილზე იმ ექვსიდან — სამჯერ ზედიზედ მოვასწარეს თავგზასელაღებული გაქცევა... ასეთ კაცად გამაჩინე, აღმზარდე და ჩამომავალიბე, ჩემო თბილისო.

შენი სიყვარული რომ არა, შენს კალთას მოწყვეტილ, გაციმბირებულ მე და ჩემს სამშობლო რა გრძნობა დაგვაბრუნებდა და კვლავ გვაზიარებდა შენს მამადავითთან, მტკვართან, რუსთაველის პროსპექტთან, შენი აიუნებიდან გადმომდგარ გოგო-ბიჭებთან, შენს ნუშისფერი-ლა გაზაფხულთან და შენს ღირსეულ მოქალაქეებთან ურთიერთობას.

მიეკარსარ იმისთვისაც, რომ რვა-ათი წლისას გამაბედინე ქართულ სიტყვას შეებრძოლებოდი და იმისთვისაც, რომ ისეთი კოჭობანა მასწავლე, რომლის წვალობითაც სუთი თუ ექვსი წლის მანძილზე შინიდან სკოლის საუზმის ფული არ წამიღია და „შატალოებისას" კინოში ძმაკაცები ჩემი სარჯით მიტარებია.

ღმერთმა იცის, სად მათრია ბედისწერამ თექვსმეტ წელიწადს, მაგრამ მაინც გაუმჯობესებულ კაცად დაგიბრუნდი, რადგან გამუდმებულმა საფრთხემ შიშის გრძნობა სიფრთხილის ღირსებად მიქცია.

აგერ, მუსლმა მიმტეკუნა, აღარც სმა მაქვს, და ამ წერილს რომ ვწერ, ვხედავ, რომ ებრმავდები კიდეც და მაინც, გკადრებ და გეტყვი, ბედნიერი ვარ, რომ მიტევების ფასს მაზიარებ და იმითაც, რომ არა შემთხვევითობას, არამედ შენს სიყვარულს შეეწირა ჩემი უფროსი ვაჟი ირაკლი ამირეჯიბი, როგორც მამულისა და წინაპრებისთვის ვალის მიმღები რაინდი, მაგრამ ამაკი ვარ, რომ კიდეე სუთ შვილს გიტოვებ სიკეთის მქმნელებად.

მიეკარსარ, თბილისო, შენ მაზიარე ქართველი აშუღების, ჰოეტების, მწერლების მიერ შექმნილ მშვენიერებას და ამით მომეცი შესაძლებლობა, სიცოცხლეში არავინ და არაფერი მძულებოდა.

მიეკარსარ, თბილისო, ვერიდებოდი შენი სიყვარულის ღაღადისს და მაპატიე, თუ სხვებზე ნაკლები ილაჯი გამოვიჩინე ამ უფაქიზესი გრძნობის გამოსატყვაში.

ჭაბუა ამირეჯიბი.

მკათათვე, 2007, თბილისი

ერთი სიმღერაც თბილისზე

შენ ჩემო ბაღნარო,
შენ ჩემო სამყარო,
შენ ჩემო ზეცაში ფრენავ,
შენ ჩემო ქალაქო
სულ ახლად-ახალო,
შენ მზე და ვარდების ფენა!

შენ მარად სულდიდო,
შენ მარად ამაყო,
სიტყვა და მახვილო მჭრელო,
შენ თბილის-ქალაქო,
რუსთველის ქალაქო,
შენ ჩემო ფუძევ და ჭერო.

მზე შენი დიდების
სულ ზემოთ გეძახდეს,
სულ ზემოთ, მაღლა და ზემოთ;
მშვიდობა შენ ქუჩებს,
მშვიდობა შენს სახლებს,
ჭაღარა თბილისო ჩემო!

ირაკლი აბაშიძე.

ეთიმ გურჯი

საიათნოვა მესათნოვა,
შეჯიბრება ლექსად მთხოვა...
საიათნოვა, დამეხსენი,
შენს ლექსებთან მე სად მოვალ!?

საიათნოვა, დამეხსენი,
შენს ლექსებთან მე სად მოვალ!?
სიტყვას იტყვი, ლექსად მოვა,
სიმს ჩამოჰკრავ, კვესად მოვა...
საიათნოვა, დამეხსენი,
შენს სიტყვასთან მე სად მოვალ!?

არც ერეკლეს აშუღი ვარ,
არც კრწანისზე დაჭრილი ვარ,
შენი შუქის ნაშუქი ვარ,
შენი ჩრდილის ნაჩრდილი ვარ,
რა ვქნა, გვიან დავიბადე —
ცხელ ასფალტზე გაზრდილი ვარ...
შენმა ლექსმა ამამღერა,
მომეტკბო და მესათნოვა.
საიათნოვა, დამეხსენი,
შენს ქართულთან მე სად მოვალ!?

ისევ ეტრფის თბილის-ქალაქს
საქართველოს ზეცა ლურჯი...
მისმა ცქერამ გამაქვავა,
მის სიყვარულს ვერ გადვურჩი,
ეს რა ცეცხლი წამეკიდა,
ვერც ავმღერდი, ვერც დავმუნჯდი,
დამეხსენი, საიათნოვა,
შენს ტრფიალთან მე სად მოვალ!?

მაინც ვმღერი ლექსის ურჩი,
ბედის ურჩი — ეთიმ გურჯი!

გიორგი შატბერაშვილი.

არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა!

ყველა ხევსური და ყველა სვანი,
ქართველი ქალი თვალეგმაყვალა,
ჩემი თბილისი და ფიროსმანი,
არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა!

მოკვდა თუ არა, ყველამ აცხონა,
ცოცხალი არვინ არ მიიკარა,
მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ
და ყოველ დილით ვხედავ ნიკალას!

ძილგატეხილი და არეული
ჭიქა არაყით გაიხსნის მადას,
მერე შეკრთება, ვით მთვარეული
და ორთაჭალის ლამაზებს ხატავს.

ქართული ზეცა, ქართული ზვარი,
მტკვარი მღვრიე და
მტკვარი ანკარა...
ჩემი თბილისი და ფიროსმანი,
არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა!

ლადო ასათიანი.

მაშ, რა ვუყოთ, პოეტებო...

გადეყარა ნარიყალას
ნაცრიანი ბური...
ხაში,
ხილი
და თონიდან ამოყრილი პური,
თამახი და საზანდარი,
მზე შინა და გარეთ —
ეგებება მზეს თბილისი
თავისი ექვსი კარით...
...
მიეგებეთ, ვინც დამწვარა,
როგორც საათნავა!
განა გიცდის სიყვარული,
ადგება და წავა!
მაგრამ ისევ ილაპლაპებს
მტკვარის ლურჯი გავა,
ქაშუეთის ჩუქურთმები
ფასკუნჯების თავად!
განა გასძლებს სიჭაბუკე,
ვაი, შენი ბრალი!
ხელებშუა გაქანდება,
ვით ნიაღვრის წყალი,
ისევ ისე დამწიფდება
ვერის ბაღში ბალი,
აბანოდან ამაივლის
თვალციმციმა ქალი.
...
განა ლექსი ლექსი არი,
თუ დარჩება მუნჯი?
პოეტებო,
გულსაც უნდა
ბერტყვა, როგორც ხურჯინს!..
ჰკივის თათრულ სიმღერებით
მწველი ეთიმ-გურჯი,
სწვეთს ღვინოში ჩაწობილი
ფიროსმანის ფუნჯი.
...
მიეგებეთ ოქროს მტვერში,
სიტყვა უნდა განდაგანა,
ბესიკსა და საათნავას
სიყვარული სწამდათ განა?
ხმაში უნდა ვეფხის ძალი —
სამაია სამთაგანა!
...
მაგრამ ლექსი გადურჩება
იმ ძველ ნააჩრდილარს?
სახედარზე წითელ ბოლოკს
და ჭიანურს მტირალს,
მეტივეს და თივის ურემს,
წყნეთურ მაწვნის ქილას? —

მაშ, რა ვუყოთ, პოეტებო,
ამ თბილისის დილას?

გიორგი ლეონიძე

დღეს და ხვალ

მარჯანიშვილის თეატრში მონატრებული ქალაქური სიმღერების საღამო

დასაწყისი: დღეს — 22 საათზე
ხვალ — 20 საათზე

პიროვნება

გურამი ადამიანებთან ურთიერთობაში იყო საოცრად გულისხმიერი და ყურადღებიანი, ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. მას ნახავდით თითქმის ყველგან,– საქართველოს ყველა ქალაქში, ყველა სოფელში, სადაც ის თავის მისვლას საჭიროდ მიიჩნევდა. მიკითხავს კიდეც, – როგორ ასწრებდა ყველასადმი თანადგომისა და თანაგრძნობის გამოხატვას. ალბათ ამიტომაც ვერაზე, მის სასაფლაოსთან ხშირად ახლოგლებსა და მეგობრებს გარდა, ნახავთ იმ ადამიანებსაც, რომელთათვისაც გურამს დახმარება აღმოუჩენია ცალკეულ შემთხვევებში

სიმართლის მსახური

ნამდვილად ძნელია ამ პატარა წერილით იმ დიდი ტკივილის გამოხატვა, რასაც სინამდვილეში განიცდი. ძნელია შეეგუო იმ აზრს, რომ გურამ ქარქაშაძე ჩვენ შორის აღარ არის, ძნელია წარსულ დროში ისაუბრო იმ ადამიანზე, ვისთანაც ვი წელზე მეტი ხნის მეგობრობა და ერთობლივი საქმიანობა გაკავშირებდა. გურამის მოულოდნელი გარდაცვალებით უმძიმესი სულიერი ტრავმა მიიღო მისმა შესანიშნავმა ოჯახმა, ახლობლებმა და მეგობრებმა. საქართველომ კი დაკარგა გამორჩეული პიროვნება, რომელმაც კეთილსინდისიერად, გასაოცარი თავდადებით, უხმაუროდ იღვაწა ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

დიდმა ილიამ ბრძანა: ადამიანს ორი სახელი უნდა ჰქონდესო – ერთი აქ დასატოვარი, მეორე – თან წასატანი. და თითოეული ჩვენგანი უნდა მოუფრთხილდეს იმ სახელს, რომელსაც აქა სტოვებს, რომლის ირგვლივაც შთამომავლობა იმსჯელებსო... მართლაც, სიცოცხლე ხანმოკლეა, სახელი კი შეიძლება იყოს მარადიული, უკვდავი. მარადისობაში გადასვლა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. გურამ ქარქაშაძე სწორედ იმ რჩეულთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც პატივისცემა და აღიარება არც სიცოცხლეში დაჰკლებია და გარდაცვალების შემდეგ დატოვა საყოველთაო სიყვარული, მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი პიროვნება, ამით გურამმა დაგვანახა, რომ ადამიანი კი არ კვდება, არამედ გარდაიცვლება, გარდაისახება, ეს გახლავთ მარადიული სახეცვლილება მარადიული სიცოცხლისა. ეს არის იმედი, რწმენა იმისა, რომ სიცოცხლე გრძელდება – იგი უსასრულოა და მარადიული.

გურამ ქარქაშაძე სამართალს ემსახურებოდა, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება იგი გამოძიების მსახური იყო. განვლო რთული და საინტერესო თანამდებობრივი გზა გამომძიებლიდან საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარეობამდე. შემდეგ იყო შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე – გამოძიების კურატორი. გურამმა, საგამოძიებო ორგანოებში ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული საგამოძიებო სკოლის ჩამოყალიბება-განვითარებაში, გამომძიებლების პროფესიულ დაოსტატებაში.

ჩვენი ქვეყნის ისტორიის ურთულეს პერიოდში მოუწია გურამს მოღვაწეობა, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განვითარებულ მოვლენებში, თბილისის სამოქალაქო დაპირისპირება-ომში თუ სხვა ცხელ წერტილებში, არაერთ ექსტრემალურ სიტუაციაში, ყოველთვის მაღალი პასუხისმგებლობითა და თავდადებით ემსახურებოდა მინდობილ საქმეს. უმწიკვლოდ და უხინჯოდ გამოიარა გურამმა ეს რთული და გრძელი გზა, ღირსებაც შეინარჩუნა და საყოველთაო პატივისცემა და სიყვარულიც დაიმსახურა. მისი ასეთი თავდადება შეუმჩნეველი არ დარჩენილა, ქვეყანაში მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის იგი დაჯილდოებული იყო „ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით“, “ღირსების ორდენით“ და სხვა სახელმწიფო ჯილდოებით. მინიჭებული ჰქონდა გენერალ-ლეიტენანტის წოდება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ მუშაობის პერიოდში გურამი იმავდროულად იყო საპარლამენტო მდივანი. იგი ხშირად იმყოფებოდა

კაცი, რომელსაც ორი სახელი ჰქონდა...

26 თებერვალი გურამ ქარქაშაძის დაბადების დღეა

პარლამენტში და აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა კანონპროექტის განხილვაში. გურამი ბუნებით მშვიდი ადამიანი იყო, მაგრამ შეუვალი ხდებოდა, როდესაც საკითხი ეხებოდა სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დაუსაბუთებელი და ხარვეზიანი ცვლილებების შეტანის მცდელობას. ის, როგორც მეცნიერი და დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე იურისტი, ყოველთვის მხარს უჭერდა წინასწარი გამოძიების გამარტივება-დაჩქარების პროცესს, რაც ხელს უწყობს მართლმსაჯულების სწრაფად და ეფექტურად განხორციელებას.

პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად იგი ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციების კურსს სისხლის სამართლის პროცესსა და კრიმინალისტიკაში. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად მუშაობდა დისერტაციაზე „ორგანიზებულ დანაშაულთა გამოძიების პრობლემები“, გამოაქვეყნა კიდევაც რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის ჟურნალ „სამართალში“: 1. „აჩაღობის მიზეზების ხელშემწყობი გარემოებებისა და მისი სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური დახასიათების ზოგიერთი პრობლემა“; 2. „ძარცვისა და აჩაღობის დროს მძევლად აყვანილის გამოხსნაზე მომლაპარაკებელი ხელმძღვანელის როლი და მნიშვნელობა“. სამწუხაროდ, გურამმა ვერ მოასწრო მეტად საინტერესო და აქტუალური სადისერტაციო ნაშრომის დასრულება, ისე როგორც ბევრი სხვა მნიშვნელოვანი ჩანაფიქრის განხორციელება.

2000-2004 წლებში გურამი მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიის რექტორად. იმავდროულად არჩეული იყო საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების – უნივერსიტეტების რექტორთა საბჭოს წევრად. ეს იყო ახალი ეტაპი გურამ ქარქაშაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში. აკადემიაში მუშაობის დაწყებისთანავე მან საოცრად თბილი და მეგობრული ურთიერთობა დაამყარა პროფესორ-მასწავლებლებთან, სტუდენტებთან. იგი მუდამ სიახლეების ძიებაში იყო და ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა აკადემიაში სასწავლო პროცესების სრულყოფისათვის, სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის.

სამართალდამცავი და უშიშროების ორგანოების რეფორმების კომისიაში მუშაობის პერიოდში, 2002 წელს ერთად ვიმყოფებოდით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, გავეცანით ქვეყნის სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მუშაობის პრინციპებს, სტრუქტურასა და მეთოდებს. ჩემთვის ძალზე დასამახსოვრებელი აღმოჩნდა ბერლინის პოლიციის აკადემიაში ვიზიტი, სადაც გურამმა უამრავი საინტერესო კითხვა დაუსვა ჩვენს მასპინძლებს, აზრთა გაცვლა-გაზიარების შემდეგ ჩამოყალიბდა მეგობრული ურთიერთობა, დაისახა ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივა.

საერთოდ ძალზე საინტერესო და სასიამოვნო იყო გურამთან ერთად მოგზაურობა საზღვარგარეთ, მახსენდება მოსკოვში, სტრასბურგში, ბუდაპეშტში, ვენაში და სხვა ქალაქებში ერთად ყოფნის პერიოდი, რაც სასიამოვნო მოგონებად დარჩება ჩემს მეხსიერებაში.

საყოველთაოდ ცნობილია გურამის დამოკიდებულება კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის მოღვაწეებთან, მათ შესანიშნავ ურთიერთობებზე ბევრი თქმულა და დაწერილა კიდეც. იგი იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ქართული ფეხბურთისა და ფეხბურთელების დიდი ქომაგი. მას საოცრად თბილი და მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა თითქმის ყველა მომღერალთან და თვითონაც შესანიშნავად მღეროდა. სადღესასწაულო სუფრასთან ან წვეულებებზე იგი სიამოვნებით (ზოგჯერ ჩვენი თხოვნით) ასრულებდა თავის სიმღერებს, ასევე სიყვარულით უმღეროდა იგი თავის შესანიშნავ და სათნო მეუღლეს ქალბატონ მარიკას. გურამი ბედნიერი იყო თავისი კარგი ოჯახით, ქალბატონ მარიკასთან ერთად აღზარდეს ორი ღირსეული შვილი – ნინო და დათო. გურამი უსაზღვროდ იყო შეყვარებული თავის სამშობლოზე, საქართველოზე, უყვარდა იმერეთი და თავისი მშობლიური სოფელი ღვანკითი, რომლის კეთილდღეობისთვის მან მართლაც ბევრი რამ გააკეთა. ღვანკითელებმაც არ დააყოვნეს – სიყვარული და მეგობრობა ორმხრივიაო და გურამის სახელობის ღვანკითის საშუალო სკოლას გურამ ქარქაშაძის სახელი მიაკუთვნეს. გურამის ბოლო პერიოდის მოღვაწეობაც თერჯოლის რაიონს უკავშირდებოდა, სადაც ის გამგებლად მუშაობდა, მან რაიონისა და მისი მოსახლეობისათვის მაქსიმუმი გააკეთა, რისი გაკეთებაც იმ დროისათვის იყო შესაძლებელი.

გურამი გახლდათ ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ამ უნიკალურ შემთხვევაზე ბევრი დაიწერა, მაგრამ მაინც აღვნიშნავ, რომ ბავშვობაში ის ოცნებობდა, გამხდარიყო თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი, თუმცა შემდეგ იგი იურისტის პროფესიას დაეუფლა, მაგრამ თეატრისადმი სიყვარული არ განელებია. თითქმის შეუძლებელი შეძლო, თეატრისა და კინოს უდიდეს მსახიობს ბატონ აკაკი ხორავას მიუძღვნა ფუნდამენტური ნაშრომი, რასაც წინ უძღოდა ხანგრძლივი კვლევა და მუშაობა, სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტული მისი კინოფილმების მოძიება, აღდგენა და სამშობლოში დაბრუნება, რითაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართულ კულტურას, საქართველოს და თვით ბატონი აკაკი ხორავას ხსოვნას.

გურამი ადამიანებთან ურთიერთობაში იყო საოცრად გულისხმიერი და ყურადღებიანი, ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. მას ნახავდით თითქმის ყველგან,– საქართველოს ყველა ქალაქში, ყველა სოფელში, სადაც ის თავის მისვლას საჭიროდ მიიჩნევდა. მიკითხავს კიდეც, – როგორ ასწრებდა ყველასადმი თანადგომისა და თანაგრძნობის გამოხატვას. ალბათ ამიტომაც ვერაზე, მის სასაფლაოსთან ხშირად ახლობლებსა და მეგობრებს გარდა, ნახავთ იმ ადამიანებსაც, რომელთათვისაც გურამს დახმარება აღმოუჩენია ცალკეულ შემთხვევებში.

კიდევ მეტის გახსენება შეიძლებოდა, თუმცა გურამ ქარქაშაძეზე სათქმელსა და მოსაგონარს რა გამოლევს. დარწმუნებული ვარ, გურამზე კვლავაც ბევრი დაიწერება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი კეთილი სული.

ნუგზარ გაბრიჩიძე

დედაქალაქის ზურგზე

● რაულ კასტრო მხარს უჭერს სტრუქტურულ რეფორმებს ეკონომიკაში და აღიარებს, რომ ქვეყანაში მეტად ბევრი აკრძალვაა კერძო მეწარმეობისათვის

ფიდელ კასტროს მემკვიდრე მისი 76 წლის ძმა რაული გახდა

კუბის პარლამენტმა რაულ კასტრო კუბის უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობაზე — ქვეყნის სახელმწიფო თავმჯდომარედ აირჩია. რაული 1959 წლიდან კუბის უცვლელი ლიდერის ფიდელ კასტროს ძმა და თანამებრძოლია. ფიდელ კასტრომ 18 თებერვალს გამოაცხადა, რომ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის და კუბის ჯარების მთავარსარდლის პოსტიდან გადადგა.

ჯერ კიდევ 2006 წლის ივლისში ავადმყოფობის შემდეგ კასტრო დროებით გადადგა ყველა უმაღლესი სახელმწიფო პოსტიდან და მმართველობის სადავეები თავის ძმას რაულს გადასცა.

როგორც 81 წლის კასტრომ ხალხისადმი მიმართვაში განაცხადა, რომ იგი ვერ დათანხმდებოდა განეგრძო სახელმწიფოს ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობა, რადგან ამ შემთხვევაში ის „ულალატებდა თავის სინდისს, იკისრებდა პასუხისმგებლობას, რომელიც მოგილურობას და სრულ თავდადებას მოითხოვდა, რაც მას ფიზიკურად აღარ შეეძლო“, — იტყობინება რია ნოვოსტი.

ხანგრძლივი ავადმყოფობის მიუხედავად, ფიდელი კუბის სახალხო ხელისუფლების ეროვნული ასამბლეის (პარლამენტის) დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს. 20 იანვრის არჩევნებში ფიდელ კასტრომ რაულთან შედარებით ერთი პროცენტით ნაკლები ხმა მიიღო. რაული კასტრო ფიდელზე ხუთი წლით უმცროსია და თავისი უფროსი ძმის მმართველობისას ეკავა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, კუბის კომპარტიის მეორე მდივნის და ქვეყნის შეიარაღებული ძალების მინისტრის პოსტები.

ფიდელმა თავისი ძმა მემკვიდრედ ჯერ კიდევ 2001 წელს დაასახელა მას შემდეგ, რაც ჰავანაში გამართულ მიტინგზე გონება დაკარგა. ფიდელ კასტროს აზრით, „რაული ყველაზე უკეთაა მომზადებული და ყველაზე დიდი გამოცდილება აქვს“.

რაულ კასტრო მხარს უჭერს სტრუქტურულ რეფორმებს ეკონომიკაში და აღიარებს, რომ ქვეყანაში მეტად ბევრი აკრძალვაა კერძო მეწარმეობისათვის. მისი ინიციატივით, კუბაში დაუშვეს საკოლმეურნეო გაზრები ნამეტი სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაყიდად. სწორედ მას ეკუთვნის ცნობილი ფრაზა „ქვეყნისათვის პური უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ქვემეხები“.

კუბის ახალი ლიდერი არც ისე მჭევრმეტყველია, როგორც მისი ძმა ფიდელი, და არც გრძელი სიტყვების წარმოთქმა უყვარს.

კუბაში მეორე კაცი გახდა 77 წლის ხოსე რამონ მაჩადო ვენტურა, რომელსაც მანამდე კუბის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და კომპარტიის პოლიტბიუროს წევრის პოსტი ეკავა.

როგორც არგენტინელი ანალიტიკოსები აღნიშნავენ, კუბის ხელმძღვანელობის საჭესთან ტექნოკრატი მოხუცები დარჩნენ და ამაოა ჰავანაში რაიმე მკვეთრი მოძრაობის მოლოდინი. ფიდელ კასტროს წასვლით კუბის პოლიტიკურ ცხოვრებაში ბევრი არაფერი შეიცვლება, გაგრძელდება სოციალისტური კურსი, ხელმძღვანელი როლი კვლავ კომუნისტურ პარტიას ეძნება.

გარდა ამისა, არ არის გამორიცხული, რომ ქვეყანაში შეღავათები მიეცემა კერძო მეწარმეობას, რათა გაუმჯობესდეს კუბის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

დიდი შვიდეულის ქვეყნების მცხოვრებნი პუტინს აკრიტიკებენ

დიდი შვიდეულის მცხოვრებთა შორის ბი-ბი-სის მსოფლიო სამსახურის შეკვეთით ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, პრეზიდენტმა პუტინმა „უარყოფითი გავლენა მოახდინა რუსეთში დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ მდგომარეობაზე“.

ასეთ აზრს იზიარებს ბრიტანეთში, შეერთებულ შტატებში, კანადაში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიასა და იაპონიაში გამოკითხულთა 56 პროცენტი. 26 პროცენტი მიიჩნევს, რომ ვლადიმერ პუტინმა დადებითი როლი შეასრულა. 47 პროცენტი ნეგატიურად აფასებს პუტინის პოლიტიკას ალანეტაზე მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის სფეროში, 38 პროცენტი ამ პოლიტიკით კმაყოფილია. გამოკითხულთა უმრავლესობას (45 პროცენტს) მიაჩნია, რომ ვლადიმერ პუტინმა გააუმჯობესა რუსეთის ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან, 40 პროცენტი კი თვლის რომ გააუარესა. გამოკითხულთა 49 პროცენტმა განაცხადა, რომ პუტინმა გააუარესა რუსეთში ცხოვრების დონე, 39 პროცენტი კი აღნიშნავს, რომ მისი წყალობით რუსეთში ცხოვრება გაუმჯობესდა.

თანამედროვე მსოფლიოში რუსეთის როლის შესახებ კითხვას 44 პროცენტმა უპასუხა, რომ იგი ნეგატიურად მიაჩნია, ხოლო 30 პროცენტი კი დადებითად მიიჩნევს.

დიდი შვიდეულის ქვეყნების გამოკითხულ მცხოვრებთა აზრი მკვეთრად განსხვავდება მრავალი სხვა ქვეყნის მოქალაქეთა აზრისგან. მაგალითად, ჩინეთის ქალაქების მცხოვრებთა 70 პროცენტი ფიქრობს, რომ პუტინმა დადებითი გავლენა მოახდინა რუსეთში ცხოვრების დონეზე.

მსოფლიოში რუსეთის როლი დადებითად შეაფასა ეგვიპტელთა 78 პროცენტმა და ჩილელთა 69 პროცენტმა. მას უარყოფითი შეფასება მისცეს გერმანიაში (56 პროცენტი), იტალიაში (53 პროცენტი) და ისრაელში (53 პროცენტი).

გამოკითხულ რუსეთელთაგან პრეზიდენტის პოსტზე ვლადიმერ პუტინის მუშაობით უმრავლესობა კმაყოფილია. 86 პროცენტმა მაღალი შეფასება მის საგარეო პოლიტიკას, 37 პროცენტმა — ცხოვრების დონის ამაღლებაზე მის გავლენას, 76 პროცენტმა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის სფეროში პოლიტიკას, 64 პროცენტმა რუსეთში დემოკრატიის განმტკიცების სფეროში მის მოქმედებას მისცა.

გამოკითხვაში მონაწილეობდა 31 ქვეყნის თითქმის 16 ათასი მცხოვრები.



კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულია დიმიტრის ხრისტოფიასი

კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული კომუნისტური პარტიის კანდიდატმა დიმიტრის ხრისტოფიასმა გაიმარჯვა კვიპროსის რესპუბლიკაში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში. კვიპროსის საარჩევნო კომისიის მონაცემების თანახმად, ბიულეტენების 100 პროცენტის დათვლის შემდეგ, მას ხმა მისცა ამომრჩეველთა 53,4 პროცენტმა.

კუნძულის მთავარ საჰელმწიფო პოსტზე მეორე კანდიდატმა, რესპუბლიკის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა იოანის კასულიდისმა ამომრჩეველთა 46,6 პროცენტის მხარდაჭერა მიიღო. ამომრჩევლების მონაწილეობის დონე თითქმის 90 პროცენტს შეადგენდა.

61 წლის ხრისტოფიასი კვიპროსის რესპუბლიკის ისტორიაში სათვალავით მეექვსე პრეზიდენტი გახდება. მისი გამარჯვება დიდი სენსაციაა კვიპროსისათვის, რადგან ის იქნება კვიპროსის პირველი პრეზიდენტი, რომლის კანდიდატურაც არჩევნებში ადგილობრივმა კომუნისტურმა პარტიამწამოაყენა.

საარჩევნო კამპანიის დროს ხრისტოფიასმა არაერთგზის გაუსვა ხაზი, რომ სასწრაფოდ აღადგენს თემთა შორის მოლაპარაკებას კვიპროსის საკითხის მოწესრიგებისათვის გაეროს მხარდაჭერით.

დღეს ნიკოზიაში საარჩევნო უბანში ხმის მიცემისას მან განაცხადა, რომ „მეგობრულ წერილს უგზავნის კვიპროსელ თურქებს, რათა გააერთიანოს ქვეყანა, რომ მან თავად განაგოს საკუთარი ბედი“.

ერაყელმა კამიკაძემ მლოცველთა შორის თავი აიფეთქა

მლოცველთა შორის თავი აიფეთქა კამიკაძემ, და ამ აფეთქების შედეგად 40 კაცი დაიღუპა და სულ ცოტა 60 კაცი დაშავდა.

ეს შემთხვევა ბაღდადიდან სამხრეთით ქალაქ ისკანდარიაში მოხდა. მლოცველები შიიტთა ქალაქ ქერბელისაკენ მიემართებოდნენ, სადაც რელიგიური ფესტივალი იმართება. ადრე სხვა ინციდენტის დროს, რომელიც ერაყის დედაქალაქის ერთ-ერთ სამხრეთ რაიონში მოხდა, სამი მლოცველი დაიღუპა და თითქმის 50 კაცი დაშავდა, როცა ბოევიკებმა ნაღმი ააფეთქეს, მერე კი ცეცხლსასროლი იარაღი დაუშინეს ხალხს.

ქერბელისაკენ შიიტები იმისათვის მიემართებიან, რომ პატივი მიაგონ წინასწარმეტყველ მუჰამედის შვილიშვილის იმამ ჰუსეინის ხსოვნას, რომელიც ოჯახთან ერთად 681 წელს მოკლეს.

როგორც ვარაუდობენ, ამ კვირას რელიგიურ ფესტივალზე მილიონობით ადამიანი ჩამოვა, ამასთან ბევრი მლოცველი ამ ქალაქისკენ ფეხით მიემართება, რაც საგრძნობლად ართულებს მათი უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანას.

ამჯერად ხელისუფლება აცხადებდა, რომ გაითვალისწინებდა გასული წლების შეცდომებს. ახლა მლოცველებს ტანკების დახმარებით კი იცავენ, თუმცა ამას ჯერ ეფექტი არ მოჰყოლია.

ანტარქტიდაში მყინვარებმა შეიძლება მკვეთრად გაზარდოს მსოფლიო ოკეანის დონე

ანტარქტიდაში მომუშავე მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ დასავლეთ ანტარქტიდაში მყინვარების ოკეანისკენ მოძრაობის სიჩქარე მკვეთრად გაიზარდა.

თუ ეს ტენდენცია შენარჩუნებული იქნა, ამან შეიძლება მკვეთრად ასწიოს მსოფლიო ოკეანის დონე, მიაჩნიათ მკვლევარებს ჯულიან სკოტს და რობ ბინგენს, რომლებმაც ნაკლებად შესწავლილ მატერიკზე კარვებში 97 დღე გაატარეს.

მათ გამოიკვლიეს მყინვარი, რათა აღმოეჩინათ მატერიკის ზედაპირზე ყინულის მასის მოძრაობის კვალი. შესრულდა აგრეთვე სეისმური გამოკვლევები და თანამგზავრიდან დაკვირვება. დაკვირვების შედეგად გაირკვა, რომ 1990-იან წლებში მყინვარის მოძრაობა ყოველწლიურად ერთი პროცენტით ჩქარდებოდა, მაშინ, როცა ამ სეზონზე მაჩვენებელი 7 პროცენტს შეადგენს.

თუ მყინვარი კვლავაც ასეთი სიჩქარით იმოძრავებს, ამტკიცებენ მეცნიერები, ანტარქტიდის დასავლეთში ყველაზე დიდმა მყინვარმა — პაინ აილენდმა შეიძლება მსოფლიო ოკეანის დონე 25 სანტიმეტრით ასწიოს. მეზობელი მყინვარებიც დაჩქარებული ტემპით მიემართება ზღვისკენ და თუ მთელი ეს ზონა ზღვაში აღმოჩნდა, ოკეანის დონე 1,5 მეტრით აიწევს.



ივანე ამირხანაშვილი წერილში „მომავალი წარსულის მასალით შენდება“ აღნიშნავს, რომ საქართველომ ვერ მოიცალა ილია ჭავჭავაძის იუბილესთვის, თუმცა ეს გამონაკლისი არ არის, რადგან ასევე ვერ მოიცალა დავით გურამიშვილის თუ სხვა ღირსეულ მწერალთა გასახსენებლად. რატომ? რა ხდება? პასუხი მწარე და პირდაპირია: „დავკარგეთ ჩვენი თავი, და რა გასაკვირია, დავკარგეთ საიუბილეო ცნობიერება, რომელიც ბოლო დროს ისედაც მომაბეზრებელ ტვირთად აწვებოდა ჩვენს გვარიანად აწეწილ, გამოშიგნულ, გაყალბებულ ცხოვრებას“



◎ ჟურნალის ახალი ნომერი

ჟანრია თუ ვლოგალიზაცია?

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ (მთავარი რედაქტორი — როსტომ ჩხეიძე) ახალი ნომერი (№4) არც ამჯერად გააწბილებს მკითხველს, რომელიც მის ფურცლებზე მრავალფეროვან სახელოვნებო მასალას, თანამედროვე კულტურული ცხოვრების სიახლეებს გაეცნობა.

ბოლო დროს გახშირდა საუბარი კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფო მოდელის შესახებ. ზოგი ეთანხმება საქართველოს ამ მოდელით მოწყობას, ზოგი—არა. მთავარია გამოთქმული თვალსაზრისები დასაბუთებული იყოს და კამათიც ტაქტიანად წარიმართოს. სწორედ ამით გამოირჩევა პაატა ჩხეიძის წერილი „გამოწვევა“. იგი ეხმიანება გიორგი გაჩეჩილაძეს, რომელმაც ერთ ინტერვიუში აუგით მოიხსენია კონსტიტუციური მონარქიის მომხრეები. ბატონი პაატა, ჩვეულებისამებრ, ღრმად და არსებითად, სათანადო არგუმენტების მოხმობით, დინჯი მსჯელობით გლობალიზაციის კონტექსტში ასაბუთებს საქართველოსთვის ამ მოდელის საჭიროებას. მისი აზრით, „მონარქიამ უნდა გააცოცხლოს და გამთლიანოს ჩვენი ისტორიული მეხსიერება და ყოფიერება. მონარქიამ უნდა განამტკიცოს კანონიერება და დაიცვას კონსტიტუცია. მონარქია უნდა გახდეს შემწე ეკლესიისა ქართული ზნეობის დაცვის საქმეში“. ეს წერილი მრავალმხრივ არის საყურადღებო, რადგან მასში წარმოჩენილია ზოგადად დემოკრატიისა და გლობალიზაციის არსი, ეს უკანასკნელი მიჩნეულია იაკობინიზმისა და კომუნიზმის მემკვიდრედ. საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ 1990 წელს ოთარ ჩხეიძემ გამოაქვეყნა წერილი „პარლამენტური სამეფო ხელისუფლებისთვის“, რომელიც გატონ პაატას საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის პროექტის მონახაზად მიაჩნია. ასე რომ, კითხვა — მონარქია თუ გლობალიზაცია? — მნიშვნელოვანი და აქტუალურია, ამიტომ კამათი გაგრძელდება.

როსტომ ჩხეიძე წერილში „ქარაგმად: 28 აგვისტო“ ყურადღებას ამახვილებს ვასილ გარნოვის რომანის „არმაზის მსხვრევის“ დაწერის თარიღზე: „1925 წ.მარიამ. 28“. რას შეიძლება ნიშნავდეს ეს თარიღი? „შესაძლოა მართლაც დაემთხვა რომანის დამამთავრებელი ფრაზა 28 აგვისტოს“, მაგრამ „თარიღი დოკუმენტურ ჩვენებაზე მეტად მხატვრული დანიშნულებისაა“, მაშ, რას უნდა ნიშნავდეს? ავტორი ძიებას ერთგვარი დეტექტიური მეთოდით წარმართავს. ჯერ წარმოაჩენს გარკვეულ „ვერსიებს“, თუ რას შეიძლება მიანიშნებდეს ეს თარიღი. იხსენებს სხვათა თვალსაზრისებს (ოთარ ჩხეიძე, აკაკი ბაძრაძე იმის თაობაზე, რომ რომანი გამოძახილია 1924 წლის აჯანყებისა და მაშინ დატრიალებული რგვეა-სისხლისღვრისა, რომელიც ალეგორიულად, მხატვრულ სახეებშია წარმოჩენილი. როსტომ ჩხეიძე საინტერესო პარალელებს პოულობს ამ რომანსა და ილიას „კაცია-ადამიანს?!“ შორის და მახვილგონივრული კვლევა-ძიების შემდეგ დაასკვნის, რომ რომანის ბოლოს ვითომ და სასხვათა შორისოდ მიწერილი „1925 წლის 28 მარიამობა“ ქარაგმაა და მასში შეფარულად მინიშნებულია 1924 წლის ტრაგედიის წლისთავი.

თამაზ ვასაძემ „ქართული მოთხრობის ანთოლოგია“ გამოსცა. როგორ იძმნება და გამოიცემა ანთოლოგიები? რა პრინციპით შეირჩევა ესა თუ ის მოთხრობა? ამ საკითხებზე თამაზ ვასაძეს ნინო დეკანოიძე ესაუბრება.

ჟურნალში თანამედროვე ქართულ პოეზიას რეზო ესაძე წარმოადგენს. მის ლექსებში ჩანს ცხოვრების ავ-კარგნაგემი, დაღლილი, მაგრამ მაინც შეუდრეკელი კაცი. „რეზო ესაძე გონებაა, რომელიც განუწყვეტლივ თხზავს თბილ, საყვარელ პარადოქსებს, ისე, რომ არასოდეს ზარალდება რეალობის განცდა. გასაოცარია მისი ემოციის ინტენსიური სიჭარბე, რაც მთავარია, გული, მუდამ მხურვალე და ქარიშხლიანი“, — ასე ლამაზად და ზუსტად შენიშნავს მაკა ჯოხაძე „პირველ შთაბეჭდილებაში“.

ექსპერიმენტულობით გამოირჩევა შოთა ბოსტანაშვილის პოეზია. მისი პოეტური ტექსტები გასული საუკუნის დასაწყისის დადაისტებისა და ფუტურისტების ნაწარმოებებს ეხმიანება. ამ ავტორისთვისაც მთავარია სიტყვის არა მხოლოდ სემანტიკური მნიშვნელობა, არამედ უპირველესად მუსიკალური ჟღერადობა და ემოციური მუხტი, ლექსის გრაფიკული მონახაზი.

ამ ნომერში სრულდება ზურაბ ლავრელაშვილის მრავალმხრივ საყურადღებო რომანის „მღვიძარების“ ბეჭდვა. მწერალი თანამედროვეობას ალეგორიულად წარმოაჩენს და ცხოვრებას რომანტიკულ-რეალისტურად ხატავს.

2007 წელს ნოგელის პრემია ლიტერატურაში ფემინისტური ლიტერატურის კლასიკოსად აღიარებულ ინგლისელ მწერალ ქალს დორის ლესინგს მიენიჭა. ჟურნალი გვთავაზობს მისი ლექციის „არა ნოგელის პრემიის მიღების გამო“ თარგმანს (თარგმნა გია ჯოხაძემ). მწერალი ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო პრემიების გადაცემის საზეიმო ცერემონიას.

მოგონებათა სკივრის რუბრიკით წარმოჩენილია ორი გენიალური ადამიანის, კომპოზიტორ იგორ სტრავინსკისა და პოეტ ტომას სტერნზ ელიოტის შეხვედრები და საუბრები (თარგმნა ლილი მჭედლიშვილმან).

ოთარ ჩხეიძის „შეუფარავ რეალიზმზე“ საუბრობს ნესტან ფიფია წერილში „სულის პურისთვის“. იგი მწერლის 90-იანი წლების რომანებს მიმოიხილავს და წარმოაჩენს, თუ როგორ აისახა მის შემოქმედებაში ეროვნული სულის სტრუქტურის რღვევა: „ეს საზოგადოების ცნობიერების ავადმყოფობის ისტორიაა. მწერლის ფიქრი კი განუწყვეტლივ დასტრიალებს ადამიანის შინაგან თავისუფლებას“.

ივანე ამირხანაშვილი წერილში „მომავალი წარსულის მასალით შენდება“ აღნიშნავს, რომ საქართველომ ვერ მოიცალა ილია ჭავჭავაძის იუბილესთვის, თუმცა ეს გამონაკლისი არ არის, რადგან ასევე ვერ მოიცალა დავით გურამიშვილის თუ სხვა ღირსეულ მწერალთა გასახსენებლად. რატომ? რა ხდება? პასუხი მწარე და პირდაპირია: „დავკარგეთ ჩვენი თავი, და რა გასაკვირია, დავკარგეთ საიუბილეო ცნობიერება, რომელიც ბოლო დროს ისედაც მომაბეზრებელ ტვირთად აწვებოდა ჩვენს გვარიანად აწეწილ, გამოშიგნულ, გაყალბებულ ცხოვრებას“.

იოსებ ჭუმგურიძე თემურ ჩხეიძესთან დიალოგში შეეცადა რეჟისორის პორტრეტი წარმოეჩინა. ძუნწი დიალოგებითა და ვრცელი ინტერმედიებით მან ეს მოახერხა. ასე რომ, მკითხველი გაეცნობა თემურ ჩხეიძის შეხედულებებს თანამედროვე თეატრალურ ცხოვრებაზე.

მანანა ტურიაშვილის წიგნის „მიხეილ თუმანიშვილის ძიებები კინომასახიობთა თეატრში“ ღირსებებს წარმოაჩენს რიტა გაინდურაშვილი წერილში „მისი და ჩვენი... მიხეილ თუმანიშვილი“:

შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტში თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების ამსახველი ჟურნალის „კრიტიკის“ განხილვა გაიმართა. ეკა ბუჯიაშვილი რეპორტაჟის სახით გვთავაზობს ამ მეტად საინტერესო დისკუსიის მასალებს.

ჟურნალი არ ღალატობს ტრადიციას და დეტექტიურ მოთხრობასაც ბეჭდავს. ეს არის თანამედროვე გერმანელი მწერლის კორნელია ჰაიზე-ერნსტის „შურისძიება ტაბილისი“. ჩახლართული სიუჟეტი და ბოლომდე გაუხსნელი საძმე უთუოდ დაინტერესებს ამ ჟანრის მოყვარულთ (თარგმნა ირმა ქიმერიძემ).

ჟურნალში გრძელდება გუსტავ ფლობერის ერთგვარი პაროდიული ლექსიკონი საყოველთაოდ მიღებული აზრებისა.

მოზაიკის რუბრიკა კინოსა და ფეხბურთის ამბებს ეთმობა. ცნობილმა რეჟისორმა კარენ შახნაზაროვმა თავის ფილმს „ამერიკელი შვილი“ იმგვარი ჰეფიენდი მოუფიქრა, ჰოლივუდელებსაც გადააჭარბა.

მოკლედ, „ჩვენი მწერლობა“ ბოლოერ მკითხველს ნამდვილად არ მოაწყენს.

ლუკა სალია

№ 36. სამშაბათი, 26 თებერვალი, 2008 წელი.

◎ ინფორმაცია

გაზსადენი საბაბი ხომ არ არის?..

რუსეთის პირველი ვიცე-პრემიერი, პრეზიდენტობის კანდიდატი დმიტრი მედვედევი ვიზიტით ბელგრადში ჩადის, — ამის შესახებ იუწყება რადიო „თავისუფლება“.

მედვედევი სერბეთის ხელისუფლებასთან ერთად გაზსადენის „სამხრეთ ნაკადის“ მშენებლობის საკითხებს განიხილავს, რომლის მიხედვითაც რუსული საწვავი ევროპაში იქნება ტრანსპორტირებული.

შეგახსენებთ მოსკოვი, ისე როგორც ბელგრადი, კოსოვოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გამოდის.

ბრძოლდება ქართულ-რუსული მოლაპარაკებები

თბილისი და მოსკოვი ფსოუსა და როკის გვირაბთან საბაჟო პუნქტების ერთობლივად გაკონტროლების შესახებ ტექნიკურ მოლაპარაკებებს მარტში გამართავენ.

შეხვედრები აღნიშნულ თემაზე, ქართულ-რუსული წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, სოხუმისა და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებების გაღიზიანების მიუხედავად გაგრძელდება.

ჟენევაში მხოლოდ პრინციპული შეთანხმება დაფიქსირდა. მარტიდან კი ტექნიკური შეხვედრები გაგრძელდება, რომლებზეც კონკრეტულ ღონისძიებებს შეევათანხმებთ. ჯერ არ არის საუბარი მოლაპარაკებებში სოხუმისა და ცხინვალის წარმომადგენლების შესაძლო ჩართვაზე. ზოგადად, მოლაპარაკებათა ფორმატიც არ არის განსაზღვრული, — განაცხადა საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ თამარ კოვზირიძემ, რომელიც რუსულ მხარეს ჟენევაში შეხვდა.

ინტერპრესნიუსი

შორიდან - ახლოს

● ბევრი გულსაკლავი ამბავი მესმის სამშობლოდან, მაგრამ გასახარიც გამოერევა.

ასეთ დროს გამიელვებს: – იქნებ არც ისე ცუდადაა საქმე, რაკი ლექსისთვის იცლიან, რაკი სვეგამწარებული ტერენტი ახსოვთ-მეთქი.

◎ ფიქრები საქართველოზე

2006 წლის მაისში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ წერილი დავგეძდე ამერიკაში მოღვაწე ცნობილი მხატვრის ცისანა ჯანაშვილის შესახებ.

იმ წერილიდან ერთ ფრაგმენტს გავიხსენებ:

„ – რამდენიმე წლის წინათ თბილისიდან ძვირფასი საჩუქარი მივიღე, – მიამბო მაშინ ცისანამ.

– ჩემმა ახალგაზრდა მეგობარმა, მსახიობმა ქეთევან რატიანმა ტერენტი გრანელის ლექსების კრებული ჩამომიტანა წიგნის შემდგენელ-რედაქტორისა და გამომცემლის, გატონ ლერი ალიმონაკის ავტოგრაფით.

ნეტავ იცოდეს გატონმა ლერიმ, რაოდენ მადლობელი ვარ მისი...

ტერენტი გრანელის შემოქმედების გაცნობა ნამდვილი აღმოჩენა იყო ჩემთვის. 70-იან წლებში, როდესაც ჩვენი ოჯახი საქართველოდან წავიდა, ტერენტი გრანელის შესახებ არაფერი ვიცოდი. ტერენტი გრანელის „მიმართვა ხისადმი“ რომ წავიკითხე, საოცარი გრძნობა დამეუფლა, უსაზღვრო მადლიერებით აღვივსე პოეტისადმი; ათეული წლების შემდეგ, თითქოს, მისი სულიერი განწყობილების თანაზიარი გავხდი, საქართველოდან ეგზომ შორს, უკიდეგანო ამერიკაში...

საერთოდ, ხელოვნების ნიმუშებს თავისი ენერგია აქვს, რომელიც არ იკარგება, იგი სამყაროში ტრიალებს.

ის ენერგია, ის ძლიერი სული რომ არა, პოეტმა რომ ჩააქსოვა ლექსებში, როგორღა აგვალელვებდა მისი ნაწერები ათეული წლების შემდეგ? ამ წიგნის კითხვისას ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს, ტერენტი გრანელის სულმა ნიუ-იორკს ჩამოუქროლა“...

„ – პოეტი მაინც ერთი ლექსიოგლის ცრემლივით ცამდე მართალი“, – წერდა შესანიშნავი პოეტი და ჟურნალისტი ლაშა გახარია.

ტერენტი გრანელის წიგნში მრავლადაა სულის შემძვრელი სტრიქონები, მაგრამ მე მაინც ერთ ლექსს გამოვარჩევ, „მარადისობის ლაჟვარდებს“...

„სული გაფრინდა თეთრი მტრედივით,
სხეული დარჩა ცოდვილ მიწაზე“...

„ – ვფიქრობ, მოვა წამი და აღარ ვიქნები ცოცხალი.

მე მაინც მჯერა პოეზის უკვდავება. მე პოეზიამ მაგრძნობინა, რომ სადღაც შორს არსებობს უკვდავების ცისფერი მხარე, სადაც დაფრინავს ჩემი მწუხარე სული“...

ახლა პოეტის წინასწარმეტყველება.

მისი დაბადებიდან 100 წლის შემდეგ, პოეტის სტრიქონებს იხსენებენ საქართველოშიც, ამერიკაშიც, ისრაელშიც; ვინ იცის, კიდევ სად და სად...

ეს უკვე უკვდავებაა!

ტერენტი გრანელის შესახებ აზრის გაზიარება ვთხოვე საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, გატონ ოთარ სეფიასშვილს, რომელიც ათ წელზე მეტია ნიუ-იორკში ცხოვრობს და მოღვაწეობს.

– ტერენტი გრანელის შემოქმედება დიდხანს იყო წნეხის ქვეშ, – გაიხსენა გატონმა ოთარამ; თბილისში ტერენტის ორი წიგნი მაქვს, 20-იან წლებში დასტამბული. ერთი წიგნის ტიტულზე ტერენტის პორტრეტი იყო ლადო გუდიაშვილის შესრულებული, არაჩვეულებრივი პლასტიკური ხაზებით... – ძალიან მიყვარდა ის წიგნი, მუდამ მახსოვდა სად იდო. დროდადრო გადმოვიღებდი, მოვეფერებოდი და შევინახავდი. ვნანობ, რომ ის წიგნები აქ აღარა მაქვს, ჩემს არქივთან ერთად თბილისში დარჩა, – თქვა დანანებით.

– ლერი ალიმონაკს ძალიან ვაფასებ. მან დიდი ღვაწლი დასდო ტერენტი გრანელის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას, ფაქტობრივად, ტერენტი გრანელის შემოქმედება ლერი ალიმონაკმა იხსნა დავიწყებისაგან, – ბრძანა გატონმა ოთარამ.

ზოგიერთი დეტალის დასაზუსტებლად თბილისში, გატონ ლერი ალიმონაკს დავურეკე.

გატონმა ლერიმ მართლაც დიდი ღვაწლი დასდო მე-20 საუკუნის გამოჩენილი პოეტის ტერენტი გრანელის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლასა და წარმოჩენას; გამოსცა პოეტის რამდენიმე წიგნი. ასევე ბიოგრაფიულ-ესეისტური რომანი. ტერენტის პირველი წიგნი „სული და საფლავები“ 1922 წელს დაისტამბა, – მითხრა გატონმა ლერიმ; მეორე – „მემენტო მორი“ – 1924 წელს, რომელსაც ირაკლი თოიძის მიერ შესრულებული პორტრეტი ამშვენებდა; მესამე – „ლექსები“ – 1926 წელს გამოიცა. სწორედ ამ წიგნის ტიტულზეა ლადო გუდიაშვილის მიერ შესრულებული ტერენტი გრანელის გრაფიკული პორტრეტი.

გატონო ლერი! 70-იან წლებში, ერთ ხანს ჩემთან ცხოვრობდა შესანიშნავი პოეტი, ჩემი ნათესავი არჩილ ფირცხალავა. სიმართლე გითხრათ, სწორედ არჩილმა შემაყვარა ტერენტი გრანელის შემოქმედება. იგი საათობით მიკითხავდა გალაკტიონის, გრანელის, ლადო ასათიანის, ალექსანდრე საჯაიას, მირზა გელოვანის ლექსებს. ფენომენალური მეხსიერების პატრონი იყო. თავადაც მშვენიერ ლექსებს წერდა.

არჩილს უგით დაჭქონდა ერთადერთი წიგნი, ხშირი ფურცვლისაგან ერთიანად გაცრეცილი, რომელსაც არც ყდა ჰქონდა, არც სარჩევი, მაგრამ კარგად მახსოვს, წიგნს ერთვოდა ცისკენ მზირალი ტერენტის ფოტო.

– ხომ ვერ მეტყვით, ის წიგნი როდის დაიგეძდა?

გატონი ლერი მშვიდად მისმენდა, შეკითხვა არ გამაწყვეტინა.

– არჩილი ჩემი მეგობარი გახლდათ, – მითხრა.

იგი მართლაც უნიჭიერესი კაცი იყო. სამწუხაროდ, ლადო ასათიანივით, არჩილსაც ჭლექმა მოუღო ბოლო.

– წიგნი, რომელიც თქვენ ახსენეთ, გახლავთ „რჩეული“, რომელიც მე გამოვეცი 1972 წელს. სწორედ იმ წიგნს ერთვოდა ცისკენ მზირალი ტერენტის ფოტო.

– გატონო ლერი! ახლახან, ცნობილ მხატვარს რეზო ადამიას ტერენტისადმი მიძღვნილი ესეების წიგნი დაუსტამბავს, ცხადია, გეცოდინებათ.

– რეზო ჩემი უახლოესი მეგობარია. მან ტერენტის მრავალი წერილი უძღვნა. სამწუხაროდ, ჩემმა პროგლემებმა დროებით ჩამომაშორეს შემოქმედებით საქმიანობას, მაგრამ რეზოს წიგნის პრეზენტაციაზე აუცილებლად მივალ, და დაამატა: – რაკი ტერენტის ახალ წიგნებზე ვსაუბრობთ, გარემ აქვე გეტყვი: – ამას წინათ, „საქართველოს უნივერსიტეტში“ მიმიწვიეს ჩემი წიგნის – „ლაო ძის“ თარგმანის გამოცემასთან დაკავშირებით.

ყველაფერზე შევთანხმდით.

დასასრულ, უნივერსიტეტის კანცლერმა (ასეგამაცნეს თარჯიმნებმაძ ინგლისურად დასტამბული ტერენტი გრანელის ლექსების წიგნი დამიდო წინ. ცხადია, გამიხარდა, თან გავოცდი.

– ნეტავ, ვინ თარგმნა-მეთქი, – ვკითხე თარჯიმანს.

– მე ვთარგმნე, – ქართულად მიპასუხა უნივერსიტეტის კანცლერმა, გატონმა ედუარდ რაუპმა.

როდესაც გატონ ედუარდს ავუხსენი, რომ ტერენტის რამდენიმე წიგნი მქონდა გამოცემული, გაიოცა.

ეს ყველაფერი ძალიან მისტიკურად მეჩვენა...

გატონი ედუარდი ამერიკელია... რამდენიმე წელია ჩვენს ქვეყანაში მოღვაწეობს. ძალიან მოსწონს საქართველო, ვაჟა-ფშაველას თარგმნა განუზრახავს.

ასე რომ, შესაძლოა, ჩვენი თანამშრომლობა გატონ ედუარდ რაუპთან ნაყოფიერი გამოდგეს, – ბრძანა დასასრულ გატონმა ლერი ალიმონაკმა.

* * *

თბილისიდან ჩემმა მეგობარმა ივანე ჯაფარიძემ მაცნობა, – ამ დღეებში ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილი რეზო ადამიას ესეების წიგნის პრეზენტაცია გაიმართებაო... წიგნი რეზოს ნახატებითაა დამშვენებული.

გავიხარე...

ბევრი გულსაკლავი ამბავი მესმის სამშობლოდან, მაგრამ გასახარიც გამოერევა.

ასეთ დროს გამიელვებს: – იქნებ არც ისე ცუდადაა საქმე, რაკი ლექსისთვის იცლიან, რაკი სვეგამწარებული ტერენტი ახსოვთ-მეთქი.

ღმერთმა ინებოს, გადარჩეს მავანთა ძალისხმევით უფსკრულის პირას მიყვანილი ჩვენი წამებული სამშობლო...

ძვირფასო გატონო რეზო! გულწრფელად მახარებს თქვენი შემოქმედებითი ძიებანი...

...როგორ გაიხარებდა იმ სალამოზე ჩვენი ძვირფასი მეგობარი, წყაროსთვალივით სუფთა, სანთელივით წმინდა, გაჯაღლო გულის კაცი და დიდებული პოეტი ლაშა გახარია, რომელმაც ტერენტი გრანელს მრავალი გულწრფელი სტრიქონი უძღვნა...

საოცრად მორიდებული კაცი კი იყო, მაგრამ იმ სალამოზე უთუოდ ტერენტისადმი მიძღვნილ ერთ ლექსს წაიკითხავდა, – „იცის, რომ ლექსით სამთაწმინდეა“...

ვინ იცის...

– გატონო რეზო! მადლი უფალს, კუთხურობას ვერავინ დაგვწამებს, ამერ-იმერი გულით გვიყვარს, საქართველოს მთასაც და ბარსაც ვეთაყვანებით, მაგრამ მუდამ გვახსოვს ჩვენი ოდაგადე – სენაკი... ჩვენთვის სამყარო ხომ სენაკიდან იწყება... არადა, კაცს თუ თავისი სიყრმის წმინდა ალაგი არ უყვარს, სამყაროს როგორღა შეიყვარებს?

გფარავდეთ ღმერთი!

დიდი პატივისცემით
ჯუმბერ ჯიშკარიანი
აშშ, ფლორიდა.

◎ რაგბი

„ლოგუშებს“ სტუმრადაც სძლიეს

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ევროპის ერთა თასის გათამაშების მეორე წრის შეხვედრა ლისაბონში პორტუგალიის ეროვნულ გუნდთან გამართა. მატჩი ბორჯღალოსნების შეტევებით დაიწყო და მეორე წუთზე ირაკლი ჩხიკვაძის ლელოთი დაგვირგვინდა – 5:0. პირველი ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა ზუსტი დარტყმით ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს – 3:5.

შესვენების შემდეგ ბრძოლის სურათი არ შეცვლილა. ერთგვარ უპირატესობას ქართველები ფლობდნენ, რომლებმაც 6 ქულა მიითვალეს, „ლოგუშებმა“ კი მხოლოდ 3 ქულის მოპოვება შეძლეს. ძნელ პაექრობაში ტიმ ლეინის შეგირდებმა ზედიზედ მესამე გამარჯვება (11:6ძ მოიპოვეს.

ამავე დღეს რუმინელებმა სტუმრად ესპანელებს აჯობეს – 17:11.

შვიდი ტურის შემდეგ 6 მოგებით ევროპის ერთა თასის გათამაშებას საქართველოს ნაკრები ლიდერობს. 8-8 ქულით მეორე-მესამე ადგილებს რუსები (5 თამაშიდანძდარუმინელები იყოფენ.

თასის გათამაშების მომდევნო შეხვედრები გაზაფხულზე გაიმართება: **1. მარტი.** რუსეთი – პორტუგალია, **8 მარტი.** რუმინეთი – პორტუგალია, რუსეთი – ესპანეთი. **15 მარტი.** რუსეთი – რუმინეთი. **22 მარტი.** რუმინეთი – ჩეხეთი. **29 მარტი.** ჩეხეთი – საქართველო. **12 აპრილი.** რუსეთი – საქართველო. **19 აპრილი.** ჩეხეთი – რუსეთი. **26 აპრილი.** საქართველო – ესპანეთი. **10 მაისი.** ესპანეთი – პორტუგალია.

* * *

გაიმართა საქართველოს რაგბის კავშირის ყრილობა. ამიერიდან ამ ორგანიზაციას ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი გიორგი ნიჟარაძე უხელმძღვანელებს.

* * *

გთავაზობთ ექვსი ერის თასის გათამაშების III ტურის შედეგებს: უელსი – იტალია 47:8, ირლანდია – შოტლანდია 34:13, საფრანგეთი – ინგლისი 13:24.

6 ქულით უელსი ლიდერობს.

◎ ტურნირები

შაგათ-კვირის მონაგარი

გასულ უძმეებზე მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირები გაიმართა, რომლებშიც ქართველი ფალავნებიც მონაწილეობდნენ. თითო ოქრო-ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი – ასეთია მათი მონაგარი.

თავისუფალი ჭიდაობა. კიევში საქართველოს ნაკრები ძირითადი შემადგენლობით გაემგზავრა, რადგან ეს შეჯიბრება სასტარტო ტურნირი იყო ევროპის ჩემპიონატისა და სალიცენზიო ორთაბრძოლებისთვის მოსამზადებლად. 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში ყველას აჯობა გიორგი გოგშელიძემ, რომელმაც ფინალში ირანელ ამირ განჯის სძლია. მსოფლიო ჩემპიონი რევაზ მინდორაშვილი (84 კგ.ძ მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მომავალ შაგათ-კვირას ჩვენს „კლასიკოსებს“ გუდაპეშტში მსოფლიო თასზე უწევთ გამოსვლა, ამიტომ სერგეთის საერთაშორისო ტურნირზე მხოლოდ მანუჩარ ცხადაია (66ძ და გენადი გოგიშვილი (74 კგ.ძ გაემგზავრნენ. თავიც არ შეურცხვენიათ – გოგიშვილი მეორე იყო, ცხადაია კი მესამე ადგილზე გავიდა.



სამგზო. ბელარუსის პრეზიდენტის ალექსანდრ ლუკაშენკოს სახელოვნების საერთაშორისო ტურნირს მინსკმა უმასპინძლა. ქართველები ამ შეჯიბრებაში მეორე შემადგენლობით ჩაებნენ. 62 კილოგრამ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი ლევან ქოჩიევმა დაიკავა, დანარჩენები კვარცხლბეკს მილმა აღმოჩნდნენ.

ძიუდო. ჰამბურგის სუპერთასის გათამაშებაზე, ფაქტობრივად, ახალგაზრდული შემადგენლობით გამოდიოდა საქართველოს ნაკრები. სამწუხაროდ, გამოცდილ მეტოქეებთან ჩვენებმა ვერაფერი გააწყვეს და კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზებს ადრევე ჩამოშორდნენ.

გუშინ ჰამბურგში ერთკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე გაემგზავრა საქართველოს ეროვნული ნაკრები, რომელიც 1-2 მარტს სეზონის ბოლო სალიცენზიო მსოფლიო თასზე იასპარეზებს. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ ნესტორ ხერგიანი, მინდია ხომიზური (ორივე – 66 კგ.ძ, ზაზა კედელაშვილი, ზურაბ დილეგაშვილი (73ძ, გიორგი შინჯიკაშვილი, საბა გავაშელიშვილი (81ძ, ირაკლი ცირეკიძე, ზურაბ ზვიადაური (90ძ, ლომერ ჟორჟოლიანი (100ძ, ლაშა გუჯეჯიანი (მძიმე წონაძ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებს პეკინის ოლიმპიადის საგზურები შვიდივე წონაში აქვს მოპოვებული.

„მარადისობის ლაჟვარდები“

გასახსენებელსა და მოსათხრობს რა გამოულევს ქართული კალათბურთის საამაყო წარმომადგენელს, გულისხმიერ პიროვნებას, რომელსაც დღეს 80 წელი უსრულდება.

ჩვენი რედაქციისა და გულშემატკივართა სახელით ბატონ ვაჟა ჟღენტს იუბილეს ვულოცავთ!

ჯემალ კასრაძის ფოტო

◎ ორბიტაზე

როცა პირველი წრე გასრულდა

მართალია, მსოფლიო ჩემპიონმა ვიში ანანდმა მექსიკურ მორელიაში მიმდინარე 21-ე კატეგორიის საჭადრაკო სუპერტურნირის პირველი წრის ბოლოს, მე-6-7 პარტიებში მხოლოდ ყაიმებს (ტოპალოვთან და ივანჩუკთან) მიაღწია, მაგრამ 7 შესაძლებლიდან 4,5 ქულით ტურნირის ლიდერობა მაინც შეინარჩუნა.

მეექვსე ტურში რაჯაბოვმა კარლსენი დაჯაბნა, ყაიმზე შეთანხმდნენ ივანჩუკი-შიროვი, არონიანი-ლეკო.

მეშვიდე ტურში შიროვმა რაჯაბოვი დაამარცხა, კარლსენმა – არონიანი, ლეკო კი ტოპალოვთან დამარცხდა.

პირველი ტურის შემდეგ ტურნირზე ასეთი მდგომარეობაა: ანანდი – 4,5, ტოპალოვი და შიროვი – 4, არონიანი და კარლსენი – 3,5, ივანჩუკი და რაჯაბოვი – 3, ლეკო – 2,5.

იმპიჩმენტი ინდურად

ჩოგბურთში ინდოეთის ნაკრების კაპიტანს ლეანდერ პაესს უნდოგლობა გამოუცხადეს ინდოელმა ჩოგბურთელებმა და ქვეყნის ჩოგბურთის ასოციაციას მოსთხოვეს პოსტიდან მისი გადაყენება.

სპორტსმენების განცხადებით, კაპიტანი გუნდში მიკროკლიმატს არღვევს. ეს განსაკუთრებით გამოიხატა უზბეკეთის ნაკრებთან შეხვედრისას, როდესაც მანნაკრებში არ შეიყვანა პრაკაშამრიტრაჯა.

ახლა, როცა ნაკრები პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება, საპროტესტო წერილს ამრიტრაჯის გარდა, ხელი მოაწერეს ისეთმა ცნობილმა ჩოგბურთელებმა, როგორნიც არიან მახეშ ბხუპატი, როხან ბოპანა და კარან რასტოგი. თანაც ბხუპატი დიდხანს პაესთან ერთად წყვილში თამაშობდა და წარმატებებსაც აღწევდა (სურათებზე სწორედ ისინი არიან მორიგი პრიზის გადაცემისას). თუ ინციდენტი დროზე არ მოგვარდება, მაშინ ნაკრებმა, შესაძლოა, უარი თქვას დევისის თასის გათამაშებაზე მონაწილეობაზე.

◎ ფეხბურთი

აქეთური, იქითური

მასპინძელთა პრეზიდენტის ბადრი პატარკაციშვილის ნათელი ხსოვნისადმი მიძღვნილი წუთიერი დუმილით დაიწყო ფეხბურთელთა XIX ეროვნული ჩემპიონატის II წრის სასტარტო ტურის ცენტრალური შეხვედრა თბილისის „დინამოსა“ და ქვეყნის ჯერაც მოქმედ ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპს“ შორის.

ვერ გეტყვით, კლუბის მფლობელის გარდაცვალებით გამოწვეული ფსიქოლოგიური დარტყმა თუ ბურუსით მოცული მომავალი იყო იმ უსახური

თამაშის მიზეზი, გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა რომ შესთავაზა მეტოქეს, თუ სხვა რამ, მაგრამ ფაქტი ერთია – დუშმან უგრინის გუნდი საკუთარ თავს არ ჰგავდა და ლოგიკურადაც დამარცხდა – 1:2.

სტუმრებმა მალე მიაგნეს ფავორიტის სუსტ წერტილს – დაცვის მარცხენა ფლანგს, სადაც დოგეშს სისტემატურად უძნიდნენ პრობლემებს. სწორედ ამ პოზიციაზე გაინავარდს ყველაზე ნაყოფიერად ანატოლი პისკოვეცის შეგირდებმა და დევდარიანის ძალისხმევით საწადელსაც მიაღწიეს. მან ჯერ თვითონ დააგვირგვინა ზუსტი დარტყმით სტეფანიშვილის გადაცემა, ხოლო შემდეგ ოდელიანოს გაატანინა გადამწყვეტი გოლი.

XVI ტურის კიდევ ერთი ცენტრალური მატჩი „ვიტ ჯორჯიამ“ მცხეთაში „ზესტაფონს“ მოუგო – 2:1, თუმცა ამ შედეგს მოულოდნელს ნამდვილად ვერ უწოდებს კაცი – გულშემატკივარს კარგად მოეხსენება ვეტერინართა ძალა და აღნიშნულმა დუელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ნესტორ მუმლაძის ბიჭების საჩემპიონო ამბიციების საფუძვლიანობა.

დანარჩენი შედეგები: „ბათუმი“ – „დილა“ 0:0, „მერანი“ – „ბორჯომი“ 1:0, „ამერი“ – „ლოკომოტივი“ 1:1. დიდთოვლობის გამო გადაიდო ზუგდიდის „მგლეებისა და ახალკაცის „მესხეთის“, აგრეთვე „ცხინვალისა“ და ბოლნისის „სიონის“ შეხვედრები.

სატურნირო მდგომარეობა: „დინამო“ – 36, „ვიტ ჯორჯია“, „ზესტაფონი“ – 34-34, „ოლიმპი“ – 27, „ბორჯომი“ – 25, „ამერი“ – 22, „მესხეთი“ – 20, „სიონი“, „მგლეები“ – 15-15, „მერანი“ – 13, „ცხინვალი“ – 12, „ლოკომოტივი“ – 10, „დილა“ – 8, „ბათუმი“ – 6 ქულა.

* * *

იტალია. XXIV ტური. „სამპდორია“ – „ინტერი“ 1:1, „რომა“ – „ფიორენტინა“ 1:0, „რეჯინა“ – „იუვენტუსი“ 2:1.

ლიდერთა ჯგუფი: „ინტერი“ – 60, „რომა“ – 51, „იუვენტუსი“ – 47 ქულა.

შემდეგი ტური: „ინტერი“ – „რომა“, „იუვენტუსი“ – „ტორინო“.

ესპანეთი. XXV ტური. „რეალი“ – „ხეტაფე“ 0:1, „ბარსელონა“ – „ლევანტე“ 5:1, „ბილბაო“ – „ვილიარეალი“ 1:2.

ლიდერთა ჯგუფი: „რეალი“ – 56, „ბარსელონა“ – 54, „ვილიარეალი“ – 46 ქულა.

შემდეგი ტური: „უელვა“ – „რეალი“, „ატლეტიკო“ – „ბარსელონა“, „ვილიარეალი“ – „ოსასუნა“.

ინგლისი. ლიგის თასის ფინალი. „ტოტენჰემი“ – „ჩელსი“ 2:1 (დამატებით დროშიძ.

XXVII ტური. „ბირმინგემი“ – „არსენალი“ 2:2, „ნიუკასლი“ – „მანჩესტერი“ 1:5.

ლიდერთა ჯგუფი: „არსენალი“ – 64, „მანჩესტერი“ – 61, „ჩელსი“ – 55 ქულა.

შემდეგი ტური: „არსენალი“ – „ასტონ ვილა“, „ფულჰემი“ – „მანჩესტერი“, „ვესტ ჰემი“ – „ჩელსი“.

გერმანია. XXI ტური. „ბაიერნი“ – „ჰამბურგი“ 1:1, „აინტრახტი“ – „ვერდერი“ 1:0, „ლევერკუზენი“ – „შალკე“ 1:0.:

ლიდერთა ჯგუფი: „ბაიერნი“ – 44, „ვერდერი“ – 40, „ლევერკუზენი“, „ჰამბურგი“ – 38-38 ქულა.

შემდეგი ტური: „შალკე“ – „ბაიერნი“, „ვერდერი“ – „ბორუსია“, „ბოხუმი“ – „ლევერკუზენი“, „ჰამბურგი“ – „აინტრახტი“.

საფრანგეთი. XXVI ტური. „ლიონი“ – „მეცი“ 2:0, „ბორდო“ – „ლილი“ 0:0, „ნანსი“ – „ლანსი“ 2:1.

ლიდერთა ჯგუფი: „ლიონი“ – 52, „ბორდო“ – 49, „ნანსი“ – 44 ქულა.

შემდეგი ტური: „ლილი“ – „ლიონი“, „ბორდო“ – „პარი სენ-ჟერმენი“, „ლორიანი“ – „ნანსი“.

◎ იუბილე



ქართულ კალათბურთს არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩაუწერია სამამულო სპორტის ისტორიაში. რვა ათეულ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები დაუვიწყარ გამარჯვებებს ჭედდნენ. იმ ხუთ ქართველ კალათბურთელს შორის, რომლებმაც სამ-სამჯერ დაიმსახურეს ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ოქროს მედლები, გახლავთ თავაზიანი, წლების სიმძიმის მიუხედავად ვერცხლისწყალივით მოძრავი პიროვნება ვაჟა ჟღენტი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, საპატიო დინამოელი, სსრკ თასის ორგზის მფლობელი, სოციალისტური ქვეყნების 1957 წლის დინამიადის გამარჯვებული, საკავშირო დინამიადების, ამიერკავკასიისა და საქართველოს ჩემპიონატების მრავალგზის ჩემპიონი, რომელმაც თანაგუნდელებთან ერთად 1952 წელს საბჭოთა კავშირის 10 ქალაქის პირველობა მოიგო, ხოლო ორი წლის შემდეგ გუდაპეშტში მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

კალათბურთის დიდოსტატი

სხვა მრავალი ჯილდოც ამშვენებს ვაჟა ჟღენტის სპორტულ კოლექციას, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს ზნეკეთილი, მეგობრებისა და ახლობლებისთვის თავგადადებული, ულალატო პიროვნება საოცრად უხდება ჩვენს დედაქალაქს.

ყველა ქართველი ჭაბუკის დარად, მისი სპორტული ბიოგრაფიაც ფეხბურთით დაიწყო. დიდხანს დასდევდა ტყავის ბურთს თანატოლებთან ერთად, სანამ ერთმა შემთხვევამ არ შეუცვალა სპორტული „პროფილი“.

– უნივერსიტეტთან უბელი ბიჭები შემხვდნენ ტრამვაის გაჩერებაზე, – იგონებს ბატონი ვაჟა. – ჯიმშერ ენუქიძე, თამაზ შავგულიძე, ნოდარ კობიძე, ჯემი სანეგლიძე, რევაზ სალუქვაძე ბესიკის ქუჩაზე „დინამოს“ დარბაზში კალათბურთის სავარჯიშოდ მიდიოდნენ. ოფიცერთა კლუბის საბილიარდოში მიმეჩქარებოდა და მათთან ერთად ვიმგზავრე. გზად ჯიმშერ ენუქიძემ გადამიბირა – არ გაინტერესებს, რას ვაკეთებთო, მითხრა. ჰოდა, გავყევი. დარბაზში მიხეილ კეკელიძემ ერთი შემათვალიერა და მეც ჩამართო საქმეში, ვნახოთ, რა გიჭი ხარო. თამაშს რომ მოვრჩით, ძია მიშამ მკაცრად გამაფრთხილა, ვარჯიშის გაცდენა არ გაგედოო. დედა მყავდა კეკელიძის ქალი და მწვრთნელს ხათრს როგორ გავუტეხდი. მერე მეც შემოყვარდა კალათბურთი.

ეს იყო 1944 წელს. ვაჟა ჟღენტი მალე გამოირჩა თანატოლებში და „ნორჩი დინამოელიდან“ 1948 წელს „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში აღმოჩნდა, სადაც წლების განმავლობაში ოთარ ძორძიას, ნოდარ ჯორჯიკიას, ალექსანდრე კილაძის, გურამ მინაშვილისა



და სხვების გვერდით ერთგულად იცავდა მშობლიური გუნდის ღირსებას.

ყველაზე მეტად რომელი მატჩი დაგამახსოვრდათ-მეთქი, რომ ვკითხე, ჩემმა რესპონდენტმა გაიღიმა. ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ ერთ-ორ შემთხვევას მოგიყვებითო, მიპასუხა.

– ჩემთვის ყველაზე დაუვიწყარია 1950 წელი, რადგან მაშინ პირველად გავხდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ტურნირს ვილნიუსმა უმასპინძლა. ფავორიტად წინა წლის გამარჯვებული „ჟალგირისი“ მიაჩნდათ. სწორედ, გალტიისპირელებს შევხვდით ბოლო ტურში და გავიმარჯვეთ. ჩემი მოკრძალებული წვლილიც ურევია იმ წარმატებაში.

1951 წელს ლენინგრადში გათამაშდა საკავშირო თასი. რადგანაც ეს საპატიო პრიზი ზედიზედ ორჯერ „დინამოს“ ჰქონდა მოპოვებული, საბჭოთა სპორტის მამებმა გადაწყვიტეს, ამჯერად შეჯიბრებაში რესპუბლიკურ ნაკრებებს ესაპარეზათ. სსრკ ნაკრების წევრებს, რომლებიც მაშინ ევროპის ჩემპიონატზე იმყოფებოდნენ, თასზე თამაში აეკრძალათ. საბჭოეთის დედაქალაქში დაბრუნებულ ოთარ ძორძიას თბილისში გამოსამგზავრებელი ბილეთი აეროპორტშივე დაახვედრეს, ხოლო მოსკოველები – კონევი, მოისეევი, ალექსეევი, კოლპაკოვი და სხვა ცნობილი კალათბურთელები ლენინგრადში გადმოაფრინეს. ფინალში სწორედ მათ შეეხვდით. კი გაგვიჭირდა, მაგრამ მაინც მოვიგეთ და თასი მესამედ დავისაკუთრეთ.

– გული თუ დაგწყვეტიათ რამეზე?

– ასეთი მომენტებიც მრავლად იყო. 1952 წელს საკავშირო დინამიდას ტალინმა უმასპინძლა. სუსხიანი ამინდი იდგა. ერთ-ერთ ვარჯიშზე გავცივდი და საავადმყოფოში აღმოვჩნდი.

მეხუთე დღეს გამომწერეს. ტალინის „დინამოსთან“ გვქონდა გადამწყვეტი შეხვედრა. გიორგი ავალიშვილმა ძირითად ხუთეულში დამაყენა. მწვრთნელისთვის იმედები არ გამიცრუებია – 22 ქულა შევძინე გუნდს. ცხადია, გავიმარჯვეთ. გალტიისპირეთიდან მოსკოვს გავემგზავრე, რადგან საკავშირო ნაკრებში ვიყავი გამოძახებული. ექიმების ბრალია, რომ საბჭოთა გუნდში ვერ მოვხვდი და ჰელსინკის ოლიმპიადაზე ვერ გავემგზავრე. ეს ჩემს სპორტულ კარიერაში ყველაზე დიდი იმედგაცრუება იყო...

გასახსენებელსა და მოსათხრობს რა გამოულევს ქართული კალათბურთის საამაყო წარმომადგენელს, გულისხმიერ პიროვნებას, რომელსაც დღეს 80 წელი უსრულდება.

ჩვენი რედაქციისა და გულშემატკივართა სახელით ბატონ ვაჟა ჟღენტს იუბილეს ვულოცავთ!

ვაჟა დანელია

◎ კალათბურთი

იმედგაცრუებული მასპინძლები

ჯემალ კასრაძის ფოტო

ამ სეზონში „მაკაბიმ“ უკვე გაიგო რუსთავის „ენერჯი ინვესტთან“ გამარჯვების გემო. სპორტის სასახლეში შეკრებილი მცირერიცხოვანი გულშემატკივარი ამჯერადაც საინტერესო ბრძოლას ელოდა აღნიშნულ გუნდებს შორის, მაგრამ მათ იმედები გაუცრუვდათ. მიზეზი განალურია – ავადმყოფობის გამო ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდს ირაკლი ბერიშვილი და ვაშაკიძე აკლდნენ, სათადარიგოთა სრულფასოვანი სკამის გარეშე კი ფავორიტთან ლირსეულად გამკლავება მასპინძელთათვის შეუძლებელი აღმოჩნდა – 63:72.

საპირისპირო სურათს წავაწყდით თბილისის „დინამოსა“ და „ვითას“ შეხვედრაში – მართალია, ტრავმის გამო სარგებელზე ვერ გამოვიდა „თეთრლურჯთა“ ლიდერი სანიკიძე, მაგრამ მისმა პარტნიორებმა დიდი ბრძოლა გაუმართეს მოწინააღმდეგეს და მხოლოდ დასკვნით პერიოდში გატყდნენ – 83:100.

XVII ეროვნული ჩემპიონატის XVII ტურის ცენტრალური მატჩი თსუ-მ ბოლო წუთზე მოუგო „ავიამშენს“ – 85:77.

ნაირფერი კაბადონი

● იმ დღეს ადგილის დედაზეც მესაუბრა გატონი გიორგი. გეგეჭკორეგის საძვალე მარტვილში ყოფილა. კედელზე გამოფენილ სურათებზე მითითებს: ეს გაბუაა – მარტვილის ბოლო დეკანოზიო

კადრი სპექტაკლიდან „სამანიშვილის დედინაცვალი“

◎ ფიქრები ტელეეკრანთან

„ქართული სასწაული“ — გაუთავებელი ქიმპი

საზოგადოებრივ მაუწყებელზე გვიან მივუსწარი დოკუმენტურ ფილმს იაპონელთა კიდევ ერთი სასწაულის შესახებ. სხვა გამოსავალი რომ არ ჰქონდეთ, თუ როგორ ააგეს ამ „უცხოპლანეტელებმა“ (ერთ-ერთ ჩემს მეგობარს, მაგალითად, არ სჯერა, რომ იაპონელები ჩვეულებრივი დედამიწელები არიანან), თავიანთი ერთ-ერთი ქალაქის (ველარ დავიმახსოვრეთ სიახლოვეს, ოკეანეში, ხელოვნური კუნძული და როგორ გამართეს იქ მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი და უმშვენიერესი აეროპორტი, როგორ ჩაყარეს წყალში ათეული მილიონობით ტონა ქვა-ქვიშა, მიწა... როგორ აგებდა ამ არქიტექტურულ საოცრებას ერთი მილიონი ინჟინერი და მუშახელი... და როგორ ამაყობს დღეს ამ საოცრებით მთელი იაპონია...

შევყურებ და შევნატრი ამ ხალხს!... მიწის სიმცირის გამო რას არ სჩადიან ისინი. აშენებენ, მიწისძვრები ანგრევს, აშენებენ ქარიშხლები ანგრევს!... მაინც აშენებენ, მაინც უტევენ გუნებას, მაინც გონების, თავდადების, არნახული შრომისმოყვარეობის მაგალითებს უჩვენებენ კაცობრიობას!

ჰოდა, ამ დროს, რა თქმა უნდა, გონების თვალი ჩემს ქვეყანას, ღვთის ნაგოძებ დალოცვილ მიწას უტრიალებს. იაპონიასთან შედარებით, მართლაც რომ არაფერი აკლია საქართველოს, ზღვაც უგოძა ღმერთმა, ფირუზისფერი ცაც და ზურმუხტისფერი ხმელეთიც, ოლონდ იშრომეთ და მოახდინეთ ზედ სასწაულებიო...

ჩვენ კი, სამწუხაროდ, წარსულის სიდიადით ტკბობა გვიყვარს, ეს ვიყავითო, ის ვიყავითო, ამას ვაშენებდითო, იმას ვაშენებდითო, ვტრაბახობთ გაუთავებლად და დღეს, როდესაც საკუთარ სახელმწიფოს მოვესწარით, მის ხარჯზე ცხოვრებას ვაგრძელებთ (ხომ ვცხოვრობდით საბჭოთა სახელმწიფოს ხარჯზეძ, ალარ დამთავრდა ქიშპობა, ალარ დამთავრდა მიტინგობია, დაკა-დაკა უნიათ ხელისუფლებასა და ვაიოპოზიციას შორის! იაპონელები თავიანთ ნიჭსა და ენერგიას აქსოვენ გაკეთებულში, ჩვენი ხელისუფლება, ჩვენ ნიჭს არ „ენდობა“ და უცხოელებს იწვევს სხვადასხვა მნიშვნელოვანი ობიექტების ასაშენებლად!...

... დამთავრდა დოკუმენტური ფილმი იაპონურ სასწაულზე და დაიწყო „მოამგე“ რომელშიც ვნახეთ სიუჟეტი, თუ როგორ გადახადა სახურავი (უკვე მერამდენედ და შემოაძარცვა „სამოსი“ ძლიერმა ქარმა თურქეთის მიერ აშენებულ თბილისის აეროპორტს!

თურქეთის აშენებულს!

ნუთუ ამის ღირსი ხარ, ქართველო!

◎ აჩრდილების გამოხმობა

23 თებერვალი საქართველოს სახალხო არტისტის გიორგი გეგეჭკორის დაბადების დღე იყო – 85 წლისა გახდებოდა ჩვენი საყვარელი მსახიობი. 5 წლის წინათ, მარტის თვეში დაემშვიდობა იგი თავის ოჯახს, თავის ქვეყანას, თავის თეატრს...

მინდა გატონი გიორგის ცხოვრების თანამგზავრი, ცნობილი თეატრმცოდნე, პროფესორი ნათელა ურუშაძე მოვიკითხო, როგორ გრძელდება მისი ცხოვრება საყვარელი მეულლის გარეშე, რასა იქმს ოჯახი...

ტელეფონთან ქალბატონი ნათელაა. ცხადია, ესიამოვნა მოკითხვა. ახლა, უფრო ხშირად, შინ ვარო, ძალიან აკლია ჩემს არსებობას გიორგიო, კი, შვილები, შვილიშვილები კარგად არიან, მაგრამ ჩემთვის, მაინც, გიორგი იყო ყველაფერიო... თეატრალურ უნივერსიტეტში ალარ ვასწავლი, ახალგაზრდებს დავუთმეთ ასპარეზი და ღმერთმა ხელი მოუმართოთო... რამდენიმე თვით იყო გიორგი ჩემზე უფროსი, ამ შემოდგომაზე მე გავხდები 85 წლისაო... გეგეჭკორეგის ბინაში შეხვედრებიც მოვიგონეთ.

25 წლის წინანდელი შეხვედრის გახსენება

კედლებს მშვენიერი ფერტილოები ამშვენებდა. გეგეჭკორეგის ოჯახში თეტრალური ხელოვნების გარდა ხომ დიდ პატივს სცემენ სახვით ხელოვნებას.

კადრი ფილმიდან „აგეზარა“

– ესენი ჩემი ყმაწვილისაა, გიორგი უმცროსის – მეუბნება მსახიობი, – სამხატვრო აკადემიის სტუდენტია, უჩა ჯაფარიძის მოწაფე...

... გარეგნობით, უზადო მეტყველებით, თამაშის ნატიფი მანერით, გიორგი გეგეჭკორი ჩემთვის დღემდე რჩება კულტურული, ინტელიგენტი, გნებავთ, ელეგანტური მსახიობის ნიმუში. აბა, ერთი წამით გონების თვალი გაადევნეთ მის მიერ შესრულებულ როლებიდან ზოგიერთს... მე მგონი, აუცილებლად უნდა დავძინოთ ერთიც – დიდი პროფესიონალი. სწორედ ამის გამო ვეკითხები, პროფესიონალ მსახიობს პროფესიონალიზმის თაობაზე...

– პროფესიონალი რომ მარტო დიპლომიანს არ ნიშნავს, ეს ფაქტია. პროფესიონალია ის, ვინც დილიდან ნაშუადღევამდე კინოკამერის წინ ქმნის რომელიმე სახეს, შემდეგ დროც ალარ რჩება დასასვენებლად და საღამოს თეატრის სცენაზე ხელოვნებისა და დამდგმელი რეჟისორის დიმიტრი ალექსიძის დამსახურებაც არის.

– დიმიტრი ალექსიძეს თქვენ

1983 წლის გაზაფხულის პირი იდგა...

ს ულ სხვა როლს თამაშობს. თანაც, მთელი ენერგიით, რადგან მაყურებლის პატივისცემაც პროფესიონალიზმია...

მოდით, ახლა მწერალ სერგო კლდიაშვილს მოვუსმინოთ:

„გეგეჭკორის გამოსვლა კამერტონივით არის და შესანიშნავია... მოხიბლული ვარ გოგი გეგეჭკორით... დავით კლდიაშვილი ნამდვილად გაიხარებდა, რომ მოესმინა მისი სიტყვა და დაენახა თავისი პერსონაჟები... ეს არის ნამდვილი კლდიაშვილი. ეს იყო საოცარი სევდანარევი იუმორი. ეს იყო ის, რისთვისაც წერდა დავითი“.

– რუსთაველის თეატრში თქვენ მრავალი როლი ითამაშეთ და, რამდენადაც ვიცი, განსაკუთრებით გამოარჩევთ ტატო ბარათაშვილის...

– კი, ასეა... ბარათაშვილის სახე ჩემთვის უძვირფასესია. კარგი დრო იყო, ოცდაექვსი წლისა ვიყავი (სწორედ ამ ხნისა გარდაიცვალა ბარათაშვილიძ და თუ დღეს მიაჩნიათ, რომ ეს როლი კარგად ვითამაშე, ამაში მიხეილ მრევლიშვილის პიესისა ხშირად იხსენებთ დიდი სითბოთი...

– იგი ჩემი პედაგოგი იყო თეატრალურ ინსტიტუტში. ინსტიტუტში გედნიერება გვქონდა აგრეთვე შევხვედროდი გიორგი ტოვსტონოგოვს – არაჩვეულებრივ პედაგოგს და რეჟისორს. ამ ორმა პიროვნებამ გზის დასაწყისშივე განსაზღვრა ჩემი თაობის მსახიობთა მრწამსი, სტილი, მსოფლმხედველობა...

– თქვენი თაობა არა მარტო თეატრში, არამედ, საერთოდ, გამორჩეულია და, შეიძლება ითქვას, დასაყრდენია დღევანდელი ქართული ლიტერატურისა და ხელოვნებისა...

– ეტყობა, დრომ, ხალხის, ქვეყნის გასაჭირმა განაპიროობა ყოველივე. ჩემი თაობა და ჩვენზე ოდნავ უფროსები, სამშობლოს გადასარჩენად იბრძოდნენ სამამულო ომის ფრონტებზე და ჩვენ, შინ დარჩენილებს ყოველდღიური საგმირო ამგებით გვასწავლიდნენ თავგანწირვას...

... იმ დღეს ადგილის დედაზეც მესაუბრა გატონი გიორგი. გეგეჭკორეგის საძვალე მარტვილში ყოფილა. კედელზე გამოფენილ სურათებზე მითითებს: ეს გაბუაა – მარტვილის ბოლო დეკანოზიო, ესეც – მამა – პოეტი და ხალხური მუსიკის მოამაგე ლადო გეგეჭკორიო, ეს კი – ცნობილი მსახიობი, ჩემი ძმა მერაბ გეგეჭკორიო... ვცხოვრობ ასე, ამათი აჩრდილები თან დამყვებაო...

...1983 წლის გაზაფხულის პირი იდგა, დაწყნარებული ქვეყანა გვქონდა, 60 წლის გიორგი გეგეჭკორი „ოჯალეშით“ მიმასპინძლდებოდა...

◎ მეგობრების ნაჩუქარი წიგნები

საქმოსნის ეჩქნობა ვასაკვირველი...



სათაურად მოტანილი გალაკტიონის ცნობილი სტრიქონი, ჭეშმარიტად რომ შეეფერება ნოდარ ჯალალონიას მთელ შემოქმედებას. ამ უპირველესი გრძნობით, ჯერ კიდევ კარგა ხნის წინათ, კომუნისტების ზეობის ხანაში იყო დამუხტული პოეტის სათქმელი, მისი ლექსების უმრავლესობა.

ამ გრძნობას არც თავის ახლახან გამოცემულ ლექსების კრებულში – **„მსაჯული დრო და წლეულია“** ღალატობს გატონი ნოდარი – უკვე პოპულარული პოეტი, დამოუკიდებელი საქართველოს ჭირ-ვარამით გულანთებული და ღამემთევარი. ამ კრებულში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაწერილი ლექსები შეუტანია პოეტს, თუმცა იგი, როგორც ადრე, საკმეველს არავის უკმევს, კოჭს არავის უგორებს და ეს წიგნი მხოლოდ ქვეყნის სატკივარით სუნთქავს.

პოეტს სწამს და სჯერა, რომ ქართველები „არც არასდროს გავქრებით, არც არასდროს დავშრებით, ქართველებად გავჩნდით და ქართველებათ დავრჩებით!“

ღმერთმა გისმინოს, გატონო ნოდარ!

ზნეობა პოლიტიკასა და ეკონომიკასაც სჭირდება

წიგნი „მსოფლიო ზნეობა მსოფლიო პოლიტიკისა და მსოფლიო ეკონომიკისთვის“ გერმანულიდან არის თარგმნილი (მთარგმნელი ზურაბ აბაშიძეა და ეკუთვნის ცნობილ თეოლოგს ჰანს კიუნგს. მას მსოფლიო აღიარება მოუტანა შესანიშნავმა ნაშრომებმა თეოლოგიის საკითხებზე, რომელთაგან გამორჩეულია „ვიყოთ ქრისტიანნი“. გატონმა ზურაბ აბაშიძემ ჯერ კიდევ ათი წლის წინათ, ქართულად თარგმნა და გამოსცა კიუნგის „მსოფლიო ზნეობა“, რასაც დიდი ინტერესით შეხვდა ქართველი საზოგადოება. ალბათ, წინამდებარე წიგნსაც არ მოაკლდება მკითხველი.

◎ გულისთქმა ლექსად

აჰა, მოდის გაზაფხული!

ერთმანეთის გვერდში დგომით,
არა ქიშპობით და ომით,
არა ერთმანეთის წყრომით, –
ამ ქვეყნისთვის ზრუნვა-შრომით...
აივსება ვარდ-ყვავილით

მიწა ზამთრით დაზაფრული,
„მერცხალი რომ კიდეც მოკლან,
მაინც მოვა გაზაფხული“.

ვილენ მარდალეიშვილის საავტორო გვერდი

სხვადასხვა

სულ ახლახან „რუსთავი-2“-ით გვამცნეს, რომ თურმე ექვსი წელია ინახება მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელის მიერ თაბაშირში ჩამოსხმული დიდი მეფის – თამარის ქანდაკება, რომლის ძეგლსაც დიდი ხანია ელოდება ქართველი ერი. იმ დროს, როცა მომლერალ შაკირასა და მისნაირებისთვის მილიონები არ გვენანება, რა გახდა თამარის ძეგლის ბრინჯაოში ჩამოსხმა?.. ამდენ ბიზნესმენსა და ქველმოქმედს შორის არავინ აღმოჩნდა ამ საქმის ხორცშემსხმელი

◎ ინფორმაცია

სპორტი – ყველა უბანს

თბილისის მერიამ სპორტული მოედნების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე ტენდერი გამოაცხადა. როგორც თბილისის მერიიდან განაცხადეს, ტენდერი თბილისში მარტივი ტიპის ხელოვნურსაფარიანი კომბინირებული სპორტული მოედნების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე ცხადდება. იგი 140 ლოტად არის დაყოფილი და დედაქალაქის სხვადასხვა უბნებში არსებულ სპორტულ მოედნებს მოიცავს.

ტენდერით გათვალისწინებული პროექტების შესრულების სავალდებულო ვადა თითოეულ ლოტზე – ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2008 წლის 15 მაისამდეა.

„უბარაკოდ“...

გათუმში ორ წელიწადში ე.წ. ბარაკები აღარ იქნება. გათუმის მერიამ გუშინ ერას ქუჩაზე მდებარე ბარაკული ტიპის სახლები დაანგრია და აქ მცხოვრები 4 ოჯახი საცხოვრებელი ბინით ფეშენებელურ კორპუსში დააკმაყოფილა.

საკუთრების დამადასტურებელი მოწმოებები ფერიანების, პეტროსიანებისა და არუთუნიანების ოჯახებს აჭარის მთავროობის თავმჯდომარემ, ქალაქის მერმა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა გადასცეს და მათ ახალმოსახლეობა მიულოცეს.

გარემონტებული ბინები ამ ოჯახებმა მერიის საბინაო ფონდიდან მიიღეს. მერია აღნიშნულ კორპუსში საცხოვრებელი ფართობის 15 პროცენტს ფლობს, რაც სულ 10 ბინას შეადგენს.

პროექტის მიხედვით, 2 წელიწადში გათუმში არც ერთი ბარაკული ტიპის სახლი აღარ იქნება და ყველა ოჯახი საცხოვრებელი ფართით მერიის საბინაო ფონდიდან დაკმაყოფილდება.

შემოსავლიანი გვირაბი

რიკოთის საულელტეხილო გვირაბის სარგებლობის საფასურიდან ბიუჯეტში 2007 წელს 2,2 მლნ ლარი შევიდა. ამის შესახებ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტში განაცხადეს.

გზების დეპარტამენტი რიკოთის საულელტეხილო გვირაბით სარგებლობის საფასურს გვირაბთან არსებული გამშვები პუნქტის მეშვეობით კრეფს. აღნიშნული საფასური სახელმწიფო ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავალია, – აღნიშნავენ დეპარტამენტში.

ინტერპრესნიუსი

ეროვნულ-ქრისტიანები ბრალს სდებენ

საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ეროვნულ-ქრისტიანული მოძრაობის“ ხელმძღვანელი გიორგი ანდრიაძე გაზეთ „ქრონიკაში“ გავრცელებულ ინფორმაციას ცილისმწამებლურს უწოდებს და აცხადებს, რომ მათ მოძრაობას ძმები კოდუები არ აფინანსებენ.

გიორგი ანდრიაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ეს ინფორმაცია არის იმ შავი პიარის გაგრძელება, რომელიც ეკლესიის წინააღმდეგ დაიწყო და რომელსაც ეს გაზეთი იანვრის თვეში ეკლესიისა და, კონკრეტულად, პატრიარქის მიმართ ახორციელებდა.

მისივე თქმით, საპატრიარქოს ტელევიზია უახლოს პერიოდში მაუწყებლობის გაფართოებას აპირებს, ტელევიზიაში მომზადდება შემეცნებით-გასართობი ხასიათის გადაცემები, რაც, ანდრიაძის აზრით, კოდუებსა და სხვა პირებს არ მოსწონთ.

– გაზეთ „ქრონიკაში“ აღნიშნული ფაქტი შემთხვევით არ მოხვდა. გაზეთს შერჩა იანვარში ცილისმწამებლური განცხადებები პატრიარქის მიმართ, რომელსაც, თითქოს, ერთ-ერთი ბერი აწარმოებდა. ეს ბერი არ არსებობს და იგი მოგონილია, – აღნიშნა ანდრიაძემ.

ანდრიაძემ, ასევე, აღნიშნა, რომ იგი არ აპირებს გიორგი თარგამაძის „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობასთან“ თანამშრომლობას, გაერთიანებას და მიიჩნევს, რომ პარტია მისი მსოფლმხედველობიდან შორს არის.

რუსთავში მიწებს მალე გაყიდიან

როგორც ქალაქის მერმა დავით ნადაშვილმა განაცხადა, სახელმწიფო კომისია გადაწყვეტს, თუ რომელ ნაკვეთებს გაიტანენ აუქციონზე. ჩვენ ჯერ ჩამოვყალიბდებით, რომელ ნაკვეთებს გავიტანთ აუქციონზე, შემდეგ კი ეკონომიკისა და გარემოს დაცვის სამინისტროებს ჩავაყენებთ საქმის კურსში და მარტის დასაწყისში უკვე აუქციონსაც ჩავატარებთ, – აცხადებს ნადაშვილი.

მისი თქმით, ძალიან დიდი მოთხოვნაა სამრეწველო ზონაში არსებული ტერიტორიების შეძენაზე. ჩვენთვის სარეწველო ზონაში არსებული მიწების გაყიდვა უფრო პრიორიტეტულია, რადან უფრო მეტი მოთხოვნაა ახალი ქარხნებისა და საწარმოების მშენებლობაზე. პრიორიტეტი ასევე დასაქმებაა და, აქედან გამომდინარე, სწორედ ამ მიზნით, სამრეწველო ზონის ტერიტორიები გაიყიდება, – აცხადებს დავით ნადაშვილი.

ინტერპრესნიუსი

◎ გზადაგზა

თბილისური სურათები

რა ხიბლი აქვს ამ სიტყვას ასეთი?

პრეზიდენტი! ამ სიტყვის „ჯუფთი“ საქართველოში მანამდეც არსებობდა – მეფე, ხელმწიფე, გენერალური მდივანი, ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი... ყველა ეს სახელწოდება თითქმის ისეთივე დატვირთვისა იყო, რაც დღეს „პრეზიდენტს“ აქვს.

ისე, კარგი იქნებოდა, თუ გაზეთში ისეთი სიტყვების მნიშვნელობას გამოვაქვეყნებდით, რომელთა შესატყვისი ქართველებს ბევრნაირი გვაქვს. პრეზიდენტი – ხელისუფალი – სახელმწიფოს მმართველი... რაც გინდა ის დაარქვით, მთავარია, ღმერთს დღენიადაგ თავისი ხალხის ბედნიერებას შესთხოვდეს!..

გველირსება?

შაკირას – მილიონები, თამარ მეფეს?..

სულ ახლახან „რუსთავი-2“-ით გვამცნეს, რომ თურმე ექვსი წელია ინახება მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელის მიერ თაბაშირში ჩამოსხმული დიდი მეფის – თამარის ქანდაკება, რომლის ძეგლსაც დიდი ხანია ელოდება ქართველი ერი. იმ დროს, როცა მომღერალ შაკირასა და მისნაირებისთვის მილიონები არ გვენანება, რა გახდა თამარის ძეგლის ბრინჯაოში ჩამოსხმა?... ამდენ ბიზნესმენსა და ქველმოქმედს შორის არავინ აღმოჩნდა ამ საქმის ხორცშემსხმელი. ტელევიზიითი ისიც გვამცნეს, ძეგლი 26 მაისის მოედანზე უნდა დაიდგასო.

მართალია, კარგი ადგილია, მაგრამ გმირთა მოედანი ჯობს: იქ არის საქართველოსთვის თავდადებულთა მემორიალი, სკვერში იგხელა ფართია, სულ თავისუფლად ჩაიდგმება ძეგლი დიდებული მეფისა თამარისა. მით უმეტეს, ამავე მოედნიდან იწყება მისივე სახელოგის გამზირი ვაგზლამდე – დიდი ჰაპის დავით აღმაშენებლისა და შვილიშვილიშვილის გამზირები ერთმანეთს ჰკვეთენ. ყოველივე ამის შემდეგ გმირთა მოედანი იერსახეს შეიცვლის და უფრო ლამაზი, საინტერესო და მიმზიდველი გახდება.

მოვითხოვთ მგზავრობის 20-თეთრიან საფასურს

საქალაქო ტრანსპორტში, კერძოდ, ავტობუსებში გამოკრული განცხადება გვაუწყებს, რომ დიდი სამამულო ომის ვეტერანებისა და უსინათლო მგზავრებისთვის უფასო მგზავრობა დაწესდა, მაგრამ, რამდენილა დარჩა ომის ვეტერანი, ვისაც ქალაქში „ბუნჩალი“ შეუძლია? ჩვენი ქვეყნის მესვეურებო, დაუწესეთ შელავათები ყველა გაჭირვებულს – ხეიბარს, ფეხმძიმეს, პენსიონერს. ჰქმენით სიკეთე და მათთვის ისევ უწინდელი საფასური – ოცი თეთრი დააკანონეთ. ხალხს პროდუქტებისა და წამლების სიძვირემ ისედაც თავზარი დასცა.

ვისაც ეს საკითხი ეხება, დააყენოს განსახილველად – იქნებ რამე გვეშველოს.

თავწაკვეთილი ხეები

თბილისში მომრავლდა თავწაკვეთილი ხეების უსულო ქანდაკებები.

როცა ქალაქში რომელიმე ხე „დასაშვებ ზღვარს“ გადასცდება, მას ან გადაჭრიან ან გადაგელავენ. მაგრამ ხომ უნდა ვნახოთ, ამ „ხელფეხმოკვეთილმა“ ხემ გაიხარა თუ გახმა – გარდაიცვალა. სწორედ ეს საკითხია ქალაქში მოსაგვარებელი, თორემ აგერ, საცაა გაზაფხული კარს შემოალებს, ისევ გამწვანდება დედაქალაქის ქუჩები, სკვერები, ხეივნები და გაღები, ხოლო ეს ხეები ქანდაკებებად დარჩებიან. არადა, დედაქალაქს ასეთი ქანდაკებები ნამდვილად არ სჭირდება. გაიარეთ თუნდაც წერეთლის გამზირზე...

თენგიზ თომაძე,
კულტურის დამსახურებული მუშაკი.
ქ. თბილისი.

განცხადება

აუქციონის ჩატარების გაუქმების შესახებ

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მიმდინარე წლის 31 იანვრის ნომერში დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2008 წლის 18 იანვრის №31 ბრძანების საფუძველზე გამოცხადდა აუქციონი დუშეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, სოფ. ქუბრიაანთკარ-ჟოპორტის ტერიტორიაზე განლაგებული 14 კმ. სიგრძის 700 მმ დიამეტრის ყოფილი გაზგამტარი მილის პრივატიზების შესახებ. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო დასახელებული ბრძანება გამოცხადდა ძალადაკარგულად. შესაბამისად აუქციონი ცხადდება ჩაშლილად. აუქციონი გამოცხადდება ხელახლა, ძონების რეალური ღირებულების დაზუსტების შემდეგ და ასევე გამოქვეყნებული იქნება საჯაროდ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

განცხადება

სს „ავტოშემკეთებელის“ (მის. ქ. თბილისი, მექანიზაციის ქ. №1ძ საერთო კრების ჩატარებისათვის, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საარჩევნო თარიღად დადგენილია 2008 წლის 14 მარტი.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები.

აქციონერებს კრებაზე მონაწილეობის უფლება შეუძლიათ შეამოწმონ სს „ავტოშემკეთებელის“ რეგისტრატორთან შპს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებულ რეგისტრატორთან“ მისამართზე: ქ.თბილისი. ი.ჭავჭავაძის გამზ.№74 ა ტელ:91-31-42.

მედიკო, ლამარა მეზვრიშვილები, ვახტანგ, კახა, ზვიად დათიშვილები იზიარებენ დალი აბაშიძის ღრმა მწუხარებას

დედის

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა ქ. თელავში, 9 აპრილის ქ. 39, 28 II, 13 სთ.

ალეკო ასლანიშვილი, რუსლან რუსია, ოთარ ხუციშვილი, სპარტაკ ძოგულია თანაუგრძნობენ ქალბატონ დალი აბაშიძეს

დედის

გარდაცვალების გამო.

შვილი ირინა მიროტაძე, შვილიშვილები ნათია, ზურიკო წოწორიები, დისწულები გულიკო, არჩილ ჩიქოვანები, კისა კაპანაძე ოჯახებით, სიძეები შოთა წოწორია, იუზა ჩხეიძე, გოგა ვასაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

კუკური (შოთაძ მალაქიას ძე მიროტაძე

პანაშვიდი 26, 27 II, 17 სთ. დაკრძალვა 28 II, 14 სთ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №25.

ლევან მიროტაძე ოჯახით იუწყება ბიძის, უსაყვარლესი პიროვნების

კუკური მიროტაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ვალიდა მახარაძე, გრამიტონ კვარაცხელია, თეიმურაზ, ავთანდილ კვარაცხელიები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რევაზ კაპიტონის ძე მახარაძე

პანაშვიდი 26, 27 II, 16 სთ. გამოსვენება 28 II, 14 სთ. ნუცუბიძის 77ა.

სეისმური მონიტორინგის ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღვაწლმოსილი გეოფიზიკოსის

რეზო მახარაძის

გარდაცვალებას.

საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის საგურამოს სახაზო-საექსპლუატაციო ფილიალის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაილუპა ამავე ფილიალის თანამშრომელი

გენადი ოდიშელიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲐᲚᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲘᲡ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲐᲠᲥᲘᲕᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲣᲠᲐᲕᲘᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲘᲡ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ ᲐᲚᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲓᲐᲜ ᲘᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ, ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ ᲤᲝᲢᲝᲐᲚᲑᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲓᲐ № 894 ᲐᲚᲑᲝᲛᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲗᲐᲕᲛᲝᲧᲠᲘᲚᲘᲐ ᲛᲔᲤᲔᲗᲐ, ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲤᲝᲢᲝᲡ ᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ. ᲐᲚᲑᲝᲛᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲐᲠᲥᲘᲕᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ 60-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲘᲜᲐᲮᲔᲑᲐ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲣᲚᲘ ᲜᲐᲮᲐᲢᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲓᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲤᲝᲢᲝᲡᲐᲚᲝᲜ „ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲗ ᲚᲝᲠᲗᲠᲐᲘᲗ“-ᲨᲘ. ᲒᲠᲐᲕᲘᲣᲠᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲣᲠᲐᲕᲘ ᲩᲐᲚᲛᲘᲗᲐᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲘ, ᲠᲐᲪ XVII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲣᲪᲜᲝᲑᲘᲐ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲠᲐᲕᲘᲣᲠᲐ.

ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲒᲐᲙᲔ�თᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ: „ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲣᲠᲐᲕᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲔ“. ᲞᲝᲖᲘᲢᲘᲕᲘᲡ ᲖᲝᲛᲔᲑᲘᲐ 13X18 ᲡᲛ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ

ᲡᲙᲝᲢᲚᲐᲜᲓ ᲘᲐᲠᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲫᲘᲔᲑᲡ?

„ᲚᲔᲘᲑᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ“ ᲨᲐᲚᲕᲐ ᲜᲐᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲕᲔᲕᲘ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲢᲚᲐᲜᲓ-ᲘᲐᲠᲓᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲡ ᲡᲗᲮᲝᲕᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲚᲔᲘᲑᲝᲠᲘᲡᲢᲗᲐ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲛᲐ ᲚᲘᲓᲔᲠᲛᲐ ᲜᲔᲡᲢᲐᲜ ᲙᲘᲠᲗᲐᲫᲔᲛ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ. ᲙᲘᲠᲗᲐᲫᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲨᲐᲚᲕᲐ ᲜᲐᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲑ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲢᲘ�პᲘᲡ ᲖᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲐᲓ ᲐᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲡ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲘᲜᲤᲐᲠᲥᲢᲡ. ᲚᲔᲘᲑᲝᲠᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ ᲐᲚᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲔᲭᲕᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲔᲑᲐ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘᲗᲐᲪ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲡ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲰᲥᲜᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲘᲜᲤᲐᲠᲥᲢᲘ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲔᲓᲘᲐᲡ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲤᲝᲢᲝᲡ ᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ. ᲐᲚᲑᲝᲛᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲐᲠᲥᲘᲕᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ 60-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲘᲜᲐᲮᲔᲑᲐ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲣᲚᲘ ᲜᲐᲮᲐᲢᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲓᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲤᲝᲢᲝᲡᲐᲚᲝᲜ „ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲗ ᲚᲝᲠᲗᲠᲐᲘᲗ“-ᲨᲘ. ᲒᲠᲐᲕᲘᲣᲠᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲣᲠᲐᲕᲘ ᲩᲐᲚᲛᲘᲗᲐᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲘ, ᲠᲐᲪ XVII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲣᲪᲜᲝᲑᲘᲐ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲠᲐᲕᲘᲣᲠᲐ.

ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ: „ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲣᲠᲐᲕᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲔ“. ᲞᲝᲖᲘᲢᲘᲕᲘᲡ ᲖᲝᲛᲔᲑᲘᲐ 13X18 ᲡᲛ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ

ᲡᲙᲝᲢᲚᲐᲜᲓ ᲘᲐᲠᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲫᲘᲔᲑᲡ?

„ᲚᲔᲘᲑᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ“ ᲨᲐᲚᲕᲐ ᲜᲐᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲕᲔᲕᲘ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲢᲚᲐᲜᲓ-ᲘᲐᲠᲓᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲡ ᲡᲗᲮᲝᲕᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲚᲔᲘᲑᲝᲠᲘᲡᲢᲗᲐ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲛᲐ ᲚᲘᲓᲔᲠᲛᲐ ᲜᲔᲡᲢᲐᲜ ᲙᲘᲠᲗᲐᲫᲔᲛ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ. ᲙᲘᲠᲗᲐᲫᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲨᲐᲚᲕᲐ ᲜᲐᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲑ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲢᲘ�პᲘᲡ ᲖᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲐᲓ ᲐᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲡ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲘᲜᲤᲐᲠᲥᲢᲡ. ᲚᲔᲘᲑᲝᲠᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ ᲐᲚᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲔᲭᲕᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲔᲑᲐ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘᲗᲐᲪ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲡ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲰᲥᲜᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲘᲜᲤᲐᲠᲥᲢᲘ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲔᲓᲘᲐᲡ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲤᲝᲢᲝᲡ ᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ. ᲐᲚᲑᲝᲛᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲐᲠᲥᲘᲕᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ 60-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲘᲜᲐᲮᲔᲑᲐ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲣᲚᲘ ᲜᲐᲮᲐᲢᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲓᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲤᲝᲢᲝᲡᲐᲚᲝᲜ „ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲗ ᲚᲝᲠᲗᲠᲐᲘᲗ“-ᲨᲘ. ᲒᲠᲐᲕᲘᲣᲠᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲣᲠᲐᲕᲘ ᲩᲐᲚᲛᲘᲗᲐᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲘ, ᲠᲐᲪ XVII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲣᲪᲜᲝᲑᲘᲐ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲠᲐᲕᲘᲣᲠᲐ.

ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ: „ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲣᲠᲐᲕᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲔ“. ᲞᲝᲖᲘᲢᲘᲕᲘᲡ ᲖᲝᲛᲔᲑᲘᲐ 13X18 ᲡᲛ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ

ᲠᲐᲡ ᲡᲩᲐᲓᲘᲮᲐᲠᲗ, ᲪᲝᲓᲕᲘᲚᲜᲝ?

ᲙᲐᲮᲔᲗᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲔᲑᲡ ᲡᲘᲚᲐᲠᲘᲒᲘᲡ ᲓᲐᲫᲚᲔᲕᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲪᲔᲛᲣᲚ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲗᲔᲑᲡ ᲐᲠᲗᲛᲔᲕᲔᲜ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ „ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ“ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲡ.

– ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲠᲙᲕᲔᲕᲐ, ᲡᲐᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲝ ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲔᲑᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲙᲚᲘᲜᲘᲙᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲣᲑᲡᲘᲓᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡ ᲐᲡᲔᲗ ᲒᲐᲠᲐᲗᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲛ-ᲡᲐᲛ ᲚᲐᲠᲡ ᲣᲮᲓᲘᲐᲜ, ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲜ, ᲒᲐᲠᲐᲗᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲒᲠᲣᲜᲝᲜ. ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲬᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲔᲣᲑᲜᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲗᲐᲜᲮᲚᲘᲗ ᲐᲚᲐᲠᲐ ᲐᲫᲕᲗ, ᲓᲐᲒᲕᲔᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲘᲜᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲜ, Ბ